

N2(82)'24

მართლმსაჯულება



კანონი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი
The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი ნინო ძიდიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერიშვილი
ჯონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უბკ (UDC) 340.11+340.130.5
შ-306

ISSN 1512-259X

5 ლუსინა სტანიშევსკა, უჩა ზაქაშვილი
პოსტინდუსტრიული დაბინძურებული უძრავი ქონება, როგორც
საინვესტიციო მიწა პოლონეთისა და საქართველოს მაგალითზე
POST-INDUSTRIAL CONTAMINATED REAL ESTATE AS INVESTMENT LAND
IN THE EXAMPLE OF POLAND AND GEORGIA
LUSINA STANISHEVSKA, UCHA ZAKASHVILI

27 ია ხარაზი, თამარ დვალისხვილი
საბაჟო დამუშავების სპეციალური პროცედურები და
საქონლის დაბეგვრის მექანიზმების გამოყენება ეროვნული და
საერთაშორისო კონვენციების მიხედვით
SPECIAL CUSTOMS PROCESSING PROCEDURES AND APPLICATION OF GOODS
TAXATION MECHANISMS ACCORDING TO NATIONAL AND INTERNATIONAL
CONVENTIONS
IA KHARAZI, TAMAR DVALISHVILI

51 დავით მაისურაძე, ანნა კახიძე
ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული
გამოწვევები საქართველოში
CHALLENGES RELATED TO THE DEVELOPMENT OF THE SECURITIES MARKET
IN GEORGIA
DAVIT MAISURADZE, ANNA KAKHIDZE

65 ნანა კუთათელაძე
ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობები
და სამართლებრივი რეგულაციები
PREREQUISITES AND LEGAL REGULATIONS FOR ISSUING A WRIT OF
EXECUTION BY A NOTARY
NANA KUTATELADZE

79 ნინო შონია
ფარული საგამოძიებო მოქმედებები და მასთან დაკავშირებული
გოგინერტი აქტუალური საკითხი
UNDERCOVER INVESTIGATIVE ACTIVITIES AND SOME CURRENT ISSUES
RELATED TO IT
NINO SHONIA

- 94 ნინო თაქთაქიშვილი
წინასწარი პატიმრობის ვადები და მათი გაგრძელების
პროცედურები
TERMS OF PRETRIAL DETENTION AND PROCEDURES FOR THEIR EXTENSION
NINO TAKTAKISHVILI
- 108 თამარ იოსელიანი
DE FACTO ოჯახური ურთიერთობები წყვილებს შორის
ევროსასამართლოს პრეცედენტიული სამართლის მიხედვით
DE FACTO FAMILY RELATIONS BETWEEN COUPLES ACCORDING TO
THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF JUSTICE
TAMAR IOSELIANI
- 117 ხათუნა სხირტლაძე
სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერება მისი გასაჩივრებისას
უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის პირობით
SUSPENSION OF THE ENFORCEMENT OF THE JUDICIAL ACT DURING
APPEAL UPON PROVIDING A SECURITY GUARANTEE
KHATUNA SKHIRTLDZE
- 134 ნანო ვაჭარაძე
წამება, როგორც მოხელის მიერ განმარტების, ჩვენების,
დასკვნის მიღების ხერხი
TORTURE AS A MEANS FOR EXTRACTING EXPLANATION, TESTIMONY, AND
CONCLUSION BY THE OFFICER
NANO VACHARADZE
- 146 ნინა გერსამია
„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის
პირველი პუნქტის ჰერმენევტიკული კვლევა
HERMENEUTICAL RESEARCH OF THE FIRST PARAGRAPH OF ARTICLE 13 OF
THE LAW OF GEORGIA „ON MEDIATION“
NINA GERSAMIA
- 153 მონიკა არეშიძე
ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართალში
ARTIFICIAL INTELLIGENCE IN CRIMINAL LAW
MONIKA ARESHIDZE

კოსტინდუსტრიული დაბინძურებული უძრავი ქონება, როგორც საინვესტიციო მიწა პოლონეთისა და საქართველოს მაგალითზე

ლუსინა სტანიშევსკა

*ვარშავის ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლე,
ა. მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი*

ურა გაქაშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

1950-იან წლებში, სოციალისტურ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა აღინიშნებოდა. სიმდიდრისა და ცხოვრების ხარისხის გაზრდის მიზნით, გარემოს ფართო ექსპლუატაციის შესახებ საბაზისო სოციალური კონსენსუსი არსებობდა თუმცა, არ იყო გათვალისწინებული ამ ცალმხრივი მიდგომის სამომავლო შედეგები. „გარემო“ წარმოადგენდა უფასო, ერთი შეხედვით, შეუზღუდავი რაოდენობით ხელმისაწვდომ საქონელს. მიწის აქტივების ამგვარმა აღქმამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაბინძურება როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში.¹ ნიადაგის ხარისხზე განსაკუთრებით

¹ კვლევა შექმნილია პროფ. ლუსინა სტანიშევსკას ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მივლინებისას.

უარყოფითად იმოქმედა პოსტინდუსტრიული ნარჩენების უკანონო ნაგავსაყრელებმა, რომლებიც მიწის ორმოებშია დაფლული, იმ პოტენციური რისკების გათვალისწინების გარეშეც კი, რაც შეიძლება ასეთი პროცესისგან წარმოიშვას, განსაკუთრებით, მიწისქვეშა წყლების (ან სასმელი წყლის მარაგების) და ნიადაგის დაბინძურების გამო. სამწუხაროდ, ამ კუთხით, ქმედების ნეგატიური მაგალითი სწორედ საჯარო სექტორმა აჩვენა. პოლონეთში ნეგატიურ მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქიმიური ქარხნები, რის შედეგადაც მოხდა ნიადაგების დეგრადაცია და დაბინძურება.²

თავის მხრივ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პერიოდში მკვეთრად გამწვავდა გარემოსდაცვითი პრობლემები და ეს პრობლემები დღესაც გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. იმის მიუხედავად, რომ 2000 წლის შემდეგ, ქვეყნის სამრეწველო ქარხნების უმეტესობამ შეწყვიტა ნიადაგის დაბინძურება მძიმე ლითონებით და დღეისათვის ითვლება, რომ წიაღისეულის მოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი საქმიანობის შედეგად, წარმოქმნილი ემისიები არ ახდენს იმავე მასშტაბების გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, როგორც საბჭოთა პერიოდში, საქართველო კვლავ ნიადაგის დაბინძურების³ უაღრესად მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი პრობლემის წინაშე დგას. ორივე ქვეყანაში ძალზე გვიან გაიაზრეს, რომ ნიადაგი არის რესურსი, რომლის განახლებაც ძალიან რთულია მისი გაწმენდის უაღრესად ხანგრძლივი დროის გამო და რომ მის მრავალ ფუნქციას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისთვის.

ვინაიდან ურბანული განვითარება ბუნებრივად ამცირებს ინვესტიციებისთვის ხელმისაწვდომი მიწების რაოდენობას, განსაკუთრებით, ქალაქებში, ინვესტორები უფრო ხშირად მიმართავენ პოსტინდუსტრიული, ოდესღაც დაბინძურებული, დეგრადირებული მიწის შეძენას, რათა შეცვალონ მისი გამოყენების მიზნობრიობა ინვესტიციისთვის. ასეთ ადგილებში საჭიროა კომპლექსური წმენდა. ამგვარ ინვესტიციებს ჩვეულებრივ, brownfield/ უკვე არსებულ საწარმოებში⁴ ინვესტიციებს უწოდებენ, რაც გულისხმობს მიწის, შენობების ან სამრეწველო ინფრასტრუქტურის (ხშირად დეგრადირებული) ხელახლა გამოყენებას და

² ქალაქის ბიდგომჰის ვებსაიტი, განცხადება სათაურით "Zachem-ის ისტორიის მონახაზი, https://www.bydgoszcz.pl/fileadmin/multimedia/aktualnosci/zzz_pojedyncze_Z/Zarys_historii_ZACHEMU.pdf ასევე, პრესრელიზი ადამიანის უფლებათა კომისრის ვებგვერდიდან სახელწოდებით „ყოფილი Zachem-ის ტერიტორიის დაბინძურება“, 2023 წლის 9 მაისი, <https://bip.brpo.gov.pl/pl/content/skazenie-terenu-zachem-wsa-skarga-rpo-wyrok>, [3/11/2023]

³ მგალობლიშვილი მ., ჰენსი ლ., ჰორტონი ჩ., გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საქართველოს რესპუბლიკაში, ჟურნ. ადამიანის ეკოლოგიის მიმოხილვა 1996/97, 3(2), ს. 204–206.

⁴ „მიტოვებული ტერიტორიის“ კონცეფცია 1970-იან წლებში გაჩნდა შეერთებულ შტატებში, როდესაც შენიშნეს, რომ უამრავი სამრეწველო ტერიტორია გამოუყენებელი რჩებოდა და იშლებოდა. ამის საპასუხოდ, ამერიკის მთავრობამ წარმოადგინა პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ სფეროების გამოცოცხლებასა და ინვესტორების მოზიდვას.

მისთვის ახალ ფუნქციის⁵ მინიჭებას. დეგრადირებული მიწის გამოყენება ურბანული ხარვეზების შესავსებად დადებით და აუცილებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მიტოვებული ტერიტორიების ადგილების ხელახალი განაშენიანება ხელს უწყობს ურბანულ განვითარებას და ინარჩუნებს მწვანე სივრცეებს. თუმცა, დაბინძურების და ამგვარ საკუთრებებზე ნიადაგისა და ზედაპირული წყლების ცუდი მდგომარეობის გამო, აუცილებელი ხდება მათი გამოყენების ღირებულების აღდგენა, რაც ძვირადღირებული და რთული პროცესია.⁶ ასეთი ქონება ექვემდებარება მკაცრ რეგულაციებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და ამ კანონიდან გამომდინარე, უძრავი ქონების მფლობელებზე დაკისრებული ვალდებულებების კუთხით. თუმცა, ინვესტორები ყოველთვის არ იწყებენ პროცედურებს ნიადაგის ან ზედაპირული წყლების დაბინძურების აღმოსაფხვრელად, ცდილობენ მოიძიონ მოკლე გზები, რის შედეგადაც მიწა არასაკმარისად მისაღები ხდება განაშენიანებისთვის, განსაკუთრებით, თუ ეს საცხოვრებელი ან კომუნალური ხასიათისაა. კონტროლის უზენაესმა პალატამ 2019 წელს, პოლონეთის საოლქო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში ჩატარებული აუდიტის შედეგად დაადგინა, რომ შემოწმებული საოლქო ოფისებისა და საოლქო უფლებების მქონე ქალაქების ოფისების 28,5 პროცენტმა დაასრულა ან ახორციელებდა საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობების მშენებლობას ან ისტორიულად დაბინძურებულ მიწაზე ან ადგილებზე, სადაც არსებობდა მიწის ზედაპირის დაბინძურების რისკი. გამოვლინდა შემთხვევები მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, რომლებზეც საჭირო „სარეაბილიტაციო სამუშაოები“⁷ არ იყო ჩატარებული; ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საჭირო „აღდგენითი სამუშაოები“ არ იყო განხორციელებული, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი საჯარო ორგანოებისთვის ცნობილი იყო მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურების შესახებ.⁸

⁵ Obńój K., Wąsowska A., საერთაშორისო მენეჯმენტი, Polish Economic Publishing House გამომც., ვარშავა 2014, გვ. 68.

⁶ კ. დე სუზა, მიტოვებული ტერიტორიების რეკონსტრუქცია ახალი ადგილების განაშენიანების წინააღმდეგ: კერძო სექტორის პერსპექტივა მიტოვებული ტერიტორიების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების შესახებ დიდი ტორონტოს რაიონში, „Journal of Environmental Planning and Management, 2000, ტ. 43, ს. 832.

⁷ რეაბილიტაცია 2001 წლის 27 აპრილის გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-3 მუხლის 31ბ პუნქტში განსაზღვრულია, როგორც ქმედებები ნიადაგის, მიწის და მიწისქვეშა წყლების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს რისკის გამომწვევი ნივთიერებების აღმოფხვრას ან შემცირებას, მათ კონტროლს და გავრცელების შეზღუდვას, რათა დაბინძურებული ტერიტორია აღარ უქმნიდეს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს, ტერიტორიის ამჟამინდელი და სადაც შესაძლებელია, დაგეგმილი სამომავლო გამოყენების გათვალისწინებით; რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს თვითწმენდას, თუ ამას მოაქვს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი სარგებელი.

⁸ ინფორმაცია კონტროლის უმაღლესი პალატის აუდიტის შედეგების შესახებ, საცნ. ნომერი: KSI.430.004.2018, რეგისტრაციის #2/2019/P/18/047/KSI, სათაურით „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობა ისტორიული დაბინძურების აღმოფხვრის სფეროში. დედამიწის ზედაპირი, <https://www.nik.gov.pl/plik/id,21303,vp,23937.pdf>, [13.11.2023], გვ. 3.

ასეთი ფენომენი კანონით საკმარისად მკაცრად უნდა იქნას სანქცირებული, რათა ხელი შეუშალოს ინვესტორების უკანონო ქმედებებს. მკაცრი სანქცია უნდა ეწინააღმდეგებოდეს კომპენსაციის მოთხოვნისა და ადმინისტრაციული სანქციების ჩართვას მათი ბიზნეს საქმიანობის ხარჯებში. ხშირად ძალიან რთულია საშიში ნივთიერებების, მათ შორის, ნიადაგში დამარხული ნარჩენების მხრიდან გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების აღმოფხვრის ან შემცირების ვალდებულების აღსრულება, რადგან წლების განმავლობაში შეიცვალა მესაკუთრეები, მოხდა ნაკვეთების გაყოფა ან გაერთიანება და შესაბამისად, შეიცვალა საკუთრების საზღვრები.

კანონმდებელმა აღიარა⁹ ასეთი პრობლემების არსებობა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სამრეწველო ქარხნებით დაბინძურებული მიწების შემთხვევაში, „ფართომასშტაბიანი დეგრადირებული ტერიტორიების შესახებ“ 2023 წლის 16 ივნისის კანონის ამოქმედებით.¹⁰ ეს რეგულაცია, მიუხედავად მისი მიზანშეწონილობისა, არ არის საკმარისი, რადგანაც იგი არ წყვეტს პრობლემებს მთლიანობაში, არამედ ეხება მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქიმიური მრეწველობის მიზეზით დაბინძურებულ მიწას.

I. დაბინძურებული ტერიტორიები და მათი კარტოგრაფია პოლონეთში

წარსულში წარმოქმნილი დაბინძურების ინვენტარიზაციის მიზნით, 2001 წლის 27 აპრილის „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 101c მუხლს დაემატა 2014 წლის 11 ივლისის კანონის (რომელმაც შეცვალა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი)¹¹ 1(12) მუხლი, ასევე, ამოქმედდა ზოგიერთი სხვა კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა ისტორიული დაბინძურების რეესტრის წარმოების ვალდებულება.¹² „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურებით, კანონმდებელი განსაზღვრავს დაბინძურებას, რომელიც წარმოიშვა 2007 წლის 30 აპრილამდე ან ამ თარიღამდე შეწყვეტილი საქმიანობის შედეგად. გარდა ამისა, ზედაპირის ისტორიული დაბინძურების კატეგორიაში

⁹ მათ შორის: „Zachem“ – ქიმიური ქარხნის ტერიტორიები ბიდგოშჩში, „Organika-Azot“ – ქიმიური ქარხანა იავორზნოში, „Tarnowskie Góry“ – ქიმიური ქარხანა ტარნოვსკიე გორიში, „Boruta“ – სამღებრო ქარხანა ზგეჟში და „Wiistom“ – ქიმიური ბოჭკოვანი ქარხანა Tomaszów Mazowiecki-ში. ასევე, საჭიროა მსგავსი ხასიათის სხვა უბნების იდენტიფიცირება თუმცა, ამ ეტაპზე მათთან დაკავშირებული დიაგნოსტიკა არ მოიპოვება.

¹⁰ ინფორმაცია კონტროლის უმაღლესი პალატის აუდიტის შედეგების შესახებ, საცნ. ნომერი: KS1.430.004.2018, რეგისტრაციის #2/2019/P/18/047/KS1, სათაურით „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობა ისტორიული დაბინძურების აღმოფხვრის სფეროში. დედამიწის ზედაპირი, <https://www.nik.gov.pl/plik/id,21303,vp,23937.pdf>, [13.11.2023], გვ. 3.

¹¹ Journal Laws – 2022, პუნქტი 2556, შემდგომში: p.o.ś.

¹² გარემოს დაცვის გენერალური დირექტორის რეესტრი, <https://zdrowie.gdos.gov.pl> [01.12.2023].

ასევე, შედის მიწის ზედაპირის ეკოლოგიური ზიანი, რომლის მიზეზიც გახდა მოვლენა ან ემისია, რომლის წარმოშობიდანაც ოცდაათ წელზე მეტი გავიდა.

ინვესტორისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დაბინძურების ტიპისა და საკუთრების მიმართ ამ დაბინძურების წარმოშობის დროის განსაზღვრა, განსხვავებული სიმკაცრის სამართლებრივი ზომებისა და გარემოსდაცვითი ზიანის შესაძლო პასუხისმგებლობის რეჟიმის გამო. მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურების ხსენებულ რეესტრს აწარმოებს გარემოს დაცვის გენერალური დირექტორი (GDOS); რეესტრი შეიცავს დაბინძურების დონის შესახებ განახლებულ მონაცემთა ბაზას. ეს რეესტრი აგროვებს ინფორმაციას მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურების შესახებ, მათ შორის, მისი მახასიათებლების, წარმოშობის დროისა და ადგილის და მოცემული ტერიტორიის ამჟამინდელი სტატუსის შესახებ, განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების და მიღწეული ეკოლოგიური შედეგების ჩათვლით.¹³ რეესტრში ჩანაწერი მიზნად ისახავს ყველა არსებული საფრთხის ინვენტარიზაციას, რათა გატარდეს მათი აღმოფხვრის ეფექტიანი ზომები. პოტენციური ინვესტორისთვის იგი წარმოადგენს განაშენიანებისთვის გამიზნული მიწის დაბინძურების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს.¹⁴ ჩანაწერის არსებითი სამართლებრივი საფუძველია მუხლი 101c(3), რომლის მიხედვითაც, გარემოს დაცვის რეგიონული დირექტორი მიწის შესაკუთრებზე მიღებული გადაწყვეტილებით ახორციელებს რეესტრში მიწის ზედაპირის პოტენციური ისტორიული დაბინძურების აღრიცხვას, კერძოდ:

- 1) 101-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალი;
- 2) 101-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სიის განახლება;
- 3) 101-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული შეტყობინება.

ციტირებული დებულების შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი არ ეყრდნობა ადმინისტრაციულ დისკრეციას, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ტერიტორიის პოტენციური ისტორიული დაბინძურების შესახებ, ვალდებულია შეიტანოს ჩანაწერი შესაბამის რეესტრში.

ასეთი ჩანაწერის გაკეთების ვალდებულება, სხვა დათქმებს შორის, დაკავშირებული უნდა იყოს „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 101(3) მუხლის შინაარსთან, რომლის მიხედვითაც, მიწის ზედაპირის დაცვა, სხვა დათქმებს შორის, მოიცავს რისკის გამომწვევი ნივთიერებე-

¹³ მონაცემთა დეტალები მითითებულია გარემოს დაცვის მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის დადგენილებაში – მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურების რეესტრის შესახებ (2016 წლის Journal of Laws, პუნქტი 1397, შესწორებული).

¹⁴ ვარშავის პროვინციის ადმინისტრაციული სასამართლოს 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, ref. no. IV SA/Wa 2126/20, LEX No. 3166611.

ბით დაბინძურების პრევენციას და რეაბილიტაციას. გარემოს დაცვის ორგანოების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება კონკრეტულ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირის შესაძლო დაბინძურების შესახებ და შესაბამის რეესტრში დაფიქსირება შესაძლებელს ხდის მომავალში, საბოლოოდ იქნას გამოკვლეული, მოხდა თუ არა ასეთი დაბინძურება, რა პოტენციური შედეგები ჰქონდა მას გარემოზე, რაც შესაბამისად, ასევე შესაძლებელს ხდის გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები, გამოვლენილი დაბინძურების შესაძლო აღმოფხვრისა და მისი გეოქიმედების შედეგების დადგენისთვის აუცილებელი ზომების მიღებისთვის.

გარემოს დაცვის შესახებ 101(დ) მუხლის თანახმად, უფლებამოსილი ორგანო პასუხისმგებელია მიწის ზედაპირის პოტენციური ისტორიული დაბინძურების იდენტიფიცირებაზე, ამგვარი დაბინძურების სიის შედგენასა და ამ სიის წარდგენაზე გარემოს დაცვის რეგიონული დირექტორის წინაშე. რაიონის გუბერნატორი განსაზღვრავს მიწის ზედაპირის პოტენციურ ისტორიულ დაბინძურებას, რა დროსაც იყენებს ყველა ინფორმაციას გარემოს დაბინძურებისა და რაიონის ტერიტორიაზე განხორციელებული ეკონომიკური აქტივობების შესახებ; ასევე, აქტივობებს, რომლებიც სავარაუდოდ, გამოიწვევდა დაბინძურებას განსახილველ არეალში, 2007 წლის 30 აპრილამდე, ადგენს რისკის გამომწვევი ნივთიერებების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს ნიადაგში ან გრუნტში და აანალიზებს ნიადაგის ან გრუნტის დაბინძურების რისკის შესახებ არსებულ ინფორმაციას.

ნიადაგის ან მიწის დაბინძურების რისკის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის წყაროების გარდა, რომლებიც მითითებულია გარემოს დაცვის მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის მიწის ზედაპირის დაბინძურების შეფასების ჩატარების წესის შესახებ რეგულაციის¹⁵ მე-8 პუნქტში, უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციის ნებისმიერი სხვა წყარო და ასევე, ხელმისაწვდომი მონაცემები ნიადაგისა თუ მიწის დაბინძურების შესახებ. თითოეული ტერიტორია უნიკალურია და ერთმანეთისგან განსხვავდება საარქივო მონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ინფორმაციის პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს: არქივები (მაგ.: რეესტრები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმ ადგილების შესახებ, სადაც ვლინდება ნიადაგის ან ნიადაგის ხარისხის სტანდარტების გადაჭარბება), ინფორმაცია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან სუბიექტების შემოწმების შესახებ, დარღვევებისა და გამოვლენილი დარღვევების ჩათვლით. 101c(3)(1) მუხლის შესაბამისად, რაიონის გუბერნატორების მიერ მოწოდებული მიწის ზედაპირის პოტენციური ისტორიული დაბინძურების სიების ანალიზით, გარემოს დაცვის რეგიონული დირექტორები იღებენ გადაწყვეტილებას მიწის ზედაპირის პოტენციური ისტორიული დაბინძურების რეესტრში შეტანის შესახებ.

¹⁵ Journal Laws – 2016, პუნქტი 1395, შესწორებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხორციელდება გარემოსდაცვითი ზიანის პირდაპირი საფრთხეების რეესტრის წარმოებაც „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 26(ა) მუხლის¹⁶ შესაბამისად. აღნიშნული ეხება დაბინძურებას, რომელიც არ წარმოადგენს მიწის ზედაპირის ისტორიულ დაბინძურებას ანუ დაბინძურებას, რომელსაც ადგილი აქვს 2007 წლის 30 აპრილის შემდეგ. რეესტრი შეიცავს: ინფორმაციას შეტყობინებების შესახებ, მათ შორის, ზიანის ტიპის, მასასიათებლების, ადგილისა და დროის შესახებ, ინფორმაციას გატარებული პრევენციული და გამოსასწორებელი ზომებისა და გარემოზე ზემოქმედების კუთხით მიღწეული შედეგების შესახებ. გარდა ამისა, რეესტრი ასევე, შეიცავს მეწარმის იდენტიფიკაციისა და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის დაზუსტებულ მონაცემებს, გარემოს მოსარგებლე სუბიექტის მონაცემებს, რომლის საქმიანობაც წარმოადგენდა გარემოს ან გარემოსდაცვითი ზიანის პირდაპირი საფრთხის მიზეზს და მისი საცხოვრებელი ადგილის ან რეგისტრირებული ოფისის მისამართს, აგრეთვე, ინფორმაციას ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სასამართლო პროცესის შესახებ, გარემოს დაზიანების პირდაპირი საფრთხის კუთხით.

ინვესტორს შეუძლია ზემოაღნიშნულ რეესტრებზე წვდომა მიიღოს „გარემოსა და მისი დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გარემოს დაცვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ კანონის¹⁷ შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე, რაც არ საჭიროებს მითითებულ ინფორმაციაზე¹⁸ წვდომისთვის სამართლებრივი ან ფაქტობრივი ინტერესის დემონსტრირებას. განაცხადი წარედგინება უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც ვალდებულია გააანალიზოს მიწის დაბინძურების რისკის შესახებ არსებული ინფორმაცია, განახორციელოს დაბინძურების წინასწარი ანალიზი აკრედიტებული ლაბორატორიის¹⁹ მეშვეობით და შეადგინოს მიწის ზედაპირის პოტენციური ისტორიული დაბინძურების სია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ახლდება.²⁰

აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის ორგანოების მიერ რეესტრების წარმოების მიუხედავად, მათში შეგროვებული მონაცემების ნეგატიური გადამოწმებაც კი, არ გამოირიგბავს აღმდგენი ან გამოსასწორებელი მოქმედებების განხორციელების ვალდებულებას, თუ

¹⁶ 2007 წლის 13 აპრილის კანონი „გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციისა და მისი გამოსწორების შესახებ“ (კონსოლიდირებული ტექსტი: Journal of Laws, 2020, პუნქტი 2187, შესწორებული), შემდგომში – u.z.s.წ.წ.

¹⁷ 2008 წლის 3 ოქტომბრის „გარემოსა და მისი დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გარემოს დაცვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლი (კონსოლიდირებული ტექსტი: Journal of Laws 2022, პუნქტი 247, შესწორებული), შემდგომში – u.u.i.წ.წ.

¹⁸ ფილიპოვიჩი ტ., 21-ე მუხლის კომენტარი [in:] „გარემოსა და მისი დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გარემოს დაცვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ კანონი, კომენტარი, Filipowicz T., Plucińska-Filipowicz A, Wierzbowski M. (ed.), C.H. Beck, ვარშავა 2020, გვ. 181.

¹⁹ მუხლი 101d p.o.წ.

²⁰ მუხლი 101d ust. 7 p.o.წ.

ფაქტობრივად, სახეზეა საკუთრების დაბინძურება.²¹ სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, სწორედ გამყიდველი ან მეიჯარე, როგორც ეს ენერგოეფექტურობის სერტიფიკატის²² წარდგენის ვალდებულების შემთხვევაშია – უნდა იყოს ვალდებული წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქონების დაბინძურების ექსპერტიზის ჩატარების ფაქტს.

„გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციისა და აღდგენის შესახებ“ კანონის სამართლებრივი სტანდარტები ითვალისწინებს დაბინძურების შესახებ საჯარო ადმინისტრაციის ინფორმირების ვალდებულებას. თუ მიწის მესაკუთრის თანხმობით ან ცოდნით ხდება ზიანის მიყენება გარემოს მიმართ ან იქმნება ამის გარდაუვალი საფრთხე, მიწის მესაკუთრე ვალდებულია მიიღოს პრევენციული და გამოსასწორებელი ზომები გარემოს მომხმარებელ სუბიექტთან ერთობლივად. თანახმად 12(2) მუხლისა, სრული სარეაბილიტაციო ზომების გატარების პასუხისმგებლობა და ვალდებულება ეკისრება ქონების შემძენს (მფლობელს) ინდივიდუალურად და ერთობლივად იმ სუბიექტთან, რომელიც სარგებლობს ზიანის ზემოქმედების ქვეშ არსებული გარემოთი. კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის²³ დებულებაში გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველია, დაბინძურებული მიწის მფლობელისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანის გამოსწორებაზე იმ სიტუაციაში, როდესაც არ იკვეთება მისი უშუალო წვლილი ზიანში.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების ორგანო გამოსასწორებელ ზომებს ატარებს მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც სწორედ გარემოთი მოსარგებლე სუბიექტი არის პასუხისმგებელი ამ გამოსასწორებელი ზომების დროს წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებაზე. „გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციისა და რეაბილიტაციის შესახებ“ კანონში ამგვარი სამოქალაქოსამართლებრივი კონსტრუქციის, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის შეტანა აძლიერებს გარემოს დაცვას და უზრუნველყოფს პრევენციული ან გამოსასწორებელი ღონისძიებების ვალდებულების შესრულებას.²⁴ გასათვალისწინებელია, რომ ეს ინსტრუმენტი საკმარისად იცავს გარემოს მოსარგებლე სუბიექტებს მავნე ქმედებებისგან.²⁵

²¹ A. Kawęcka, ბრაუნფილდის ინვესტიციების სამართლებრივი და გარემოსდაცვითი საკითხები. პოსტინდუსტრიული ქონება ზედაპირის დაბინძურებით, *Folia Iuridica Universitatis Wratislaviensis* 2021, 10 (2), გვ. 114.

²² ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს ინფორმაციის მიწოდებას შენობის ენერგოეფექტურობის შესახებ და მნიშვნელოვანია უძრავი ქონების სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის. დოკუმენტის გაცემის ვალდებულება გათვალისწინებულია 2023 წლის 28 აპრილის კანონით, რომლითაც ცვლილებები შევიდა 2014 წლის 29 აგვისტოს კანონში, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ (2023 წლის კანონთა ჟურნალი, პუნქტი 1762).

²³ Draniewicz B., პასუხისმგებლობა გარემოზე ზიანის მიყენებისთვის „გარემოსადმი ზიანის პრევენციისა და რეაბილიტაციის შესახებ“ კანონში, შერჩეული საკითხები, *Monitor Prawniczy*, 5/2008, http://www.monitorPrawczy.pl/index.php?mod = m_artykuly&cid=20 &id=2128, [15.12.2023].

²⁴ Rakoczy B., კომენტარი „გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციისა და რეაბილიტაციის შესახებ“ კანონზე (კომენტარი მე-12 მუხლის შესახებ), *LexisNexis*, ვარშავა 2008, გვ. 95.

²⁵ Doliwa A., სამოქალაქო სამართლის სტრუქტურები პასუხისმგებლობის სფეროში გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ზიანისთვის, შერჩეული საკითხები, [in:] ადმინისტრაციული სამართლის კრიზისი? ტომი III: ადმინისტრაციული სამართლის ჩანაცვლება სამოქალაქო სამართლით, Doliwa A., Kijowski D., Ryszard D., Prutis S., Suwaj P. (ed.) Wolters Kluwer, Warsaw 2012, p. 48b. Draniewicz, Odpowiedzialność za szkodę w środowisku w ustawie o zapobieganiu szkodom w środowisku ich naprawie, wybrane zagadnienia, *Monitor Prawniczy*, 5/2008 www.index.ly&cid=20 &id=2128, [15.12.2023].

სოლიდარული პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ მიწის მესაკუთრე დაუყოვნებლივ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება გარემოსდაცვითი ზიანის ან ზარალის გარდაუვალი საფრთხის შესახებ, გააკეთებს შეტყობინებას განხილული კანონის 24-ე მუხლის მიხედვით.

II. მიწის მესაკუთრის პრევენციული, გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარებისა და დაბინძურებული მიწის რეაბილიტაციის ვალდებულებები პოლონეთში ინვესტიციებისთვის

სამშენებლო მოედნები იმ მიწებზე, რომლებიც უწინ სამრეწველო ქარხნებს ეკავა, შენე-ლებული მოქმედების ეკოლოგიურ ბომბებად გადაიქცევა სარეაბილიტაციო პროცედურების განუხორციელებლობის შემთხვევაში.²⁶ უფრო და უფრო მეტი საცხოვრებელის განაშენი-ანების პროექტს ესხმება ხორცი, რაც ხშირად დაკავშირებულია მძიმე ლითონებით ან სხვა კარცინოგენური ნივთიერებებით დაბინძურებულ პოსტინდუსტრიულ ობიექტებზე საოფისე და კომერციული ნაგებობების მშენებლობასთან.

ქონების მესაკუთრე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები გარემოსდაცვითი ზიანის თავიდან ასაცილებლად და დაბინძურებული მიწის შემთხვევაში, მიმართოს გამოსასწორებელ ღონისძიებებს, თუკი დაბინძურების თავიდან აცილება ვერ ხერხდება ან თუ ამას მოითხოვს გარემოს მდგომარეობა; აღნიშნულში ასევე, მოიაზრება აღდგენითი სამუშაოები.²⁷ ასეთი მიწის თითოეული მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს გარემოს დაცვის რეგიონულ ინსპექტორს რეკულტივაციის საჭიროების შესახებ. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს ქიმიური დაბინძურების სპეციალიზებული ტესტის ჩატარების ვალდებულე-ბას. პრაქტიკაში ბევრი ინვესტორი არ მიმართავს აღნიშნულ ტესტებს მაღალი ხარჯების ან ტექნიკური შესაძლებლობების სიმწირის გამო. ამგვარად, მესაკუთრე არ არის ვალდებული ჩაატაროს ასეთი ტესტები, მაგრამ მას ეკისრება ვალდებულება აღადგინოს დაბინძურებული მიწის ნაკვეთი, თუ ის ინვესტიციისთვის იქნება გამოყენებული.

შეიძლება ერთგვარი პარადოქსული ვითარებაც წარმოიშვას, თუკი ქონება არ იქნება შესწავლილი დაბინძურების კუთხით და მხოლოდ ინვესტიციების განხორციელების შემდეგ გახდება ცნობილი, რომ იგი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას.

²⁶ აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაგალითზე, იმგვარად ხდება სამშენებლო საინვესტიციო პროექტებზე სამშენებლო დოკუმენტის გაცემა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული არაა, რასაც უამრავი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი უძღვის წინ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბრაუნფილდები თანამედროვე საქართველოში ვითარდება ძირითადად, საცხოვრებელი ფუნქციით აღნიშნული მიმართულებით, კონტროლის და საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების განსაკუთრებული საჭიროება დგება.

²⁷ ვალკოვსკი დ., მელიორაციის აღდგენამდე, 14 ნოემბერი, 2013, <https://codozasadypl/p/od-rekultywacji-do-remediacji>, [29.11.2023].

III. სამართლებრივი სანქციები კოლონეთში დაბინძურებულ მიწაზე ინვესტიციების განხორციელებისთვის

კანონმდებელმა გადაწყვიტა სანქცია დააკისროს რეაბილიტაციის განხორციელებლობის-თვის (ვალდებულება გამომდინარეობს გარემოს დაცვის შესახებ კანონის 101(თ) მუხლიდან),²⁸ თუმცა, დაბინძურების წინასწარი შემოწმებისა და ანალიზის გარეშე მისი განხორციელების გათვალისწინებით, ეს სანქცია არაეფექტიანია. მეტიც, ეს სანქცია შედარებით მსუბუქია და არ წარმოადგენს შემაკავებელ ფაქტორს, განსაკუთრებით, დეველოპერი ინვესტორებისთვის. პირი, რომელსაც რეაბილიტაცია ევალება, მაგრამ არ ახორციელებს მას, ისჯება ჯარიმით²⁹ 5000 ზლოტამდე.³⁰ მეტიც, იგი ასევე, შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც 335d p.p.o. მუხლის დარღვევა (რეაბილიტაციის განხორციელება დადგენილი გეგმის საწინააღმდეგოდ, სარეაბილიტაციო გეგმის პროექტის წარუდგენლობა, რეაბილიტაციის განხორციელების ან ნიადაგისა და მიწის დაბინძურების ტესტების ჩატარებისთვის ხელის შეშლა).

ამასთან, თუ ინვესტორი მიუთითებს, რომ მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურება მიწების თარიღის შემდეგ გამოწვეული იყო სხვა სუბიექტის მიერ, რეაბილიტაციის განხორციელების ვალდებულება დაეკისრება ფაქტობრივ დამნაშავეს.³¹ ამგვარად, საკმაოდ მარტივია პასუხისმგებლობის თავიდან არიდება.

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის პერსონალური და ინდივიდუალური და ეყრდნობა ბრალეულობის პრინციპს, ამიტომ სასჯელი ეკისრება ფიზიკურ პირს და არა კომპანიას. უძრავი ქონების დაბინძურების ტესტის ჩატარებლობა და ეფექტიანი რეაბილიტაციის განხორციელებლობა უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საგანს, რომელიც დამოუკიდებელია ბრალისგან, რადგანაც იგი ეფუძნება რისკის პრინციპს და შეიძლება ასევე, დაეკისროს მეწარმე სუბიექტს (სხვადასხვა ფორმის იურიდიულ პირებს). მხოლოდ მაღალ სანქციებს შეუძლიათ ეფექტურად უზრუნველყონ განაშენიანებისთვის განკუთვნილ უძრავ ქონებაზე დაბინძურების აღმოფხვრის ვალდებულებების შესრულება.

²⁸ ეუმანსკი ჯ., კომენტარი „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 101(თ) მუხლისთვის [in:] „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის კომენტარი, Jerzmański J., Jendrośka J., Bar M. (რედ.), C.H. Beck, ვარშავა 2019, გვ. 277.

²⁹ დაახ. 3400 ლარი.

³⁰ ჯარიმა წარმოადგენს 1971 წლის 20 მაისის კანონის წვრილმან სამართალდარღვევათა კოდექსის 24 § 1 მუხლის ფარგლებში დაწესებულ საჯარიმო თანხას (კონსოლიდირებული ტექსტი: Journal of Laws, 2023, პუნქტი 2119).

³¹ გრუშეცკი კ., კომენტარი „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 335c [in:] მუხლთან დაკავშირებით; კომენტარი, K. Gruszecki (რედ.), Wolters Kluwer, Warszawa 2022, www.sip.lex.pl [11/12/2023].

IV. ფართომასშტაბიანი დეგრადირებული ტერიტორიების შესახებ პოლონეთის სპეციალური აქტი, როგორც კოსტინდუსტრიულ დაბინძურებასთან ბრძოლის საშუალება

კანონმდებელი აღნიშნავს, რომ წლების წინათ, უძრავი ქონების ობიექტებში დაგროვებული ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების აღმოფხვრის ან შეზღუდვის ვალდებულების აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, აუცილებელია სპეციალური აქტით შემოღებულ იქნას ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომელთა მიზანი იქნება ფართომასშტაბურ დეგრადირებულ ტერიტორიებზე გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება.³² აღნიშნული მიზნით, 2023 წლის 16 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „ფართომასშტაბური დეგრადირებული ტერიტორიების შესახებ.“³³ კანონმა განმარტა მიტოვებული მიწის/ბრაუნფილდის იურიდიული ცნება, რომელიც მოცემულია კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში; კერძოდ, იგი გულისხმობს არანაკლებ 10 ჰა ფართობის ტერიტორიას, რომელიც წარმოადგენს ისტორიული სამრეწველო ნარჩენების შესანახ ან შესაგროვებელ ადგილს, აქვე მოიაზრება მიმდებარე ტერიტორიები, სადაც არსებობს ამ ადგილებიდან ან ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი ემისიების მნიშვნელოვანი საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს მიმართ, როგორც ეს გათვალისწინებულია „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით. ამასთან, კანონის დანართი მოიცავს უკვე გამოვლენილი ფართომასშტაბიანი დეგრადირებული ტერიტორიების ჩამონათვალს, სადაც აუცილებელია ზომების მიღება გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კანონმდებლობის მიხედვით, კვლავ პრობლემატურია მისი შეზღუდული შესაძლებლობები, რადგან დებულებები ვრცელდება მხოლოდ იდენტიფიცირებულ ფართომასშტაბიან დეგრადირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც მითითებულია კანონის დანართში. დანართიდან ტერიტორიების სიის გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანის გზით, რა მიზნითაც კანონმა მუნიციპალიტეტებს არაერთი ვალდებულება დააკისრა. მათგან პირველი ვალდებულებაა, მანამდე არაღიარებული ფართომასშტაბიანი დეგრადირებული ტერიტორიების დადგენა, გამოვლენა და ინფორმაციის წარდგენა. კომუნის ხელმძღვანელი, ქალაქის მერი ან პრეზიდენტი, ხოლო დაცული ტერიტორიის შემთხვევაში – გარემოს დაცვის რეგიონული დირექტორი, გარემოს დაცვის კომპეტენტურ ინსპექტორს აწვდის ინფორმაციას კომუნაში ადრე გამოვლენილი ან დახურული ფართომასშტაბიანი დეგრადირებული ტერიტორიების შესახებ. ინფორმაცია

³² ფორმა #3280, მთავრობის კანონ-პროექტი „ფართომასშტაბური დეგრადირებული ტერიტორიების შესახებ“, პროექტის დასაბუთება, გვ. 1-2, <https://www.sejm.gov.pl/sejm9.nsf/druk.xsp?nr=3280>, [30/12/2023].

³³ Journal of Laws, 2023, პოზიცია 1719, dalej: u.w.t.z..

მოიცავს მე-3 მუხლის, მე-11c.t.z. პუნქტში მითითებულ მონაცემებს. უფლებამოსილი ორგანოები ვალდებული არიან ჩაატარონ დაბინძურების ყოვლისმომცველი ტესტები. ამ მიზნით, მე-6 მუხლის, მე-6c.t.z. პუნქტის შესაბამისად, კომუნის აღმასრულებელი ორგანო – ქონების მესაკუთრის მიმართ გაცემული გადაწყვეტილების საფუძველზე უწესებს ვადებს ამ ქონების ხელმისაწვდომობისთვის კომპეტენტურ ორგანოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, ყოვლისმომცველი შეფასების ჩასატარებლად, ტესტების და მისი შეფასების ფარგლებისა და მეთოდების ჩათვლით. ქონების ხელმისაწვდომობის თარიღის დადგენისას, კომპეტენტური ორგანო ითვალისწინებს ქონებაზე განხორციელებული საქმიანობის სახეობას და ქონების ყოვლისმომცველი შეფასებისთვის, მათ შორის, კვლევისთვის მოსამზადებლად საჭირო დროს. გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად, თუ ქონების მფლობელის დადგენა შეუძლებელია, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით მითითებული გადაწყვეტილებით, კომპეტენტური ორგანოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს შევიდეს ამ ობიექტში შეფასების, მათ შორის, კვლევის ჩასატარებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტები აღიჭურვნენ უძრავი ქონების ექსპროპრიაციის ან დროებით ჩამორთმევის ინსტრუმენტით. აღნიშნულის საფუძველი გახდა ის საზოგადოებრივი და საჯარო ინტერესი, რომელიც არსებობს ფართომასშტაბიან დეგრადირებულ ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

უძრავი ქონების მართვის შესახებ 1997 წლის 21 აგვისტოს კანონის³⁴ მე-6 მუხლით, მე-9 მუხლის 2 c.t.z. პუნქტში შეტანილ იქნა მითითება, რომლის თანახმადაც, უძრავი ქონების ექსპროპრიაციის ან დროებით ჩამორთმევის საფუძველი შესაძლოა გახდეს:

- 1) ასეთ ტერიტორიაზე არის საშიში ნარჩენები;
- 2) აღინიშნება მიწის ზედაპირის დაბინძურება;
- 3) აუცილებელია გარემოს გასაწმენდად საჭირო მოწყობილობების ან დანადგარების განთავსება.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, უძრავი ქონების ექსპროპრიაცია ფართომასშტაბიან დეგრადირებულ ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც:

³⁴ უძრავი ქონების მართვის შესახებ 1997 წლის 21 აგვისტოს კანონი (კონსოლიდირებული ტექსტი: Journal of Laws, 2023 პუნქტი 344), შემდგომში – as: u.g.o.

- 1) უძრავი ქონების მფლობელი პირი წარმოადგენს დაბინძურებაში ბრალეულ პირს ან დაბინძურებაში ბრალეული პირის უფლებამონაცვლეს ან პირს, რომელმაც საკუთრებაში ან უვადო უზუფრუქტით მიიღო მფლობელობაში დაბინძურებაში ბრალეული პირის უძრავი ქონება და ექსპროპრიაციის გარეშე გეგმის განხორციელებამ შეიძლება დაარღვიოს კანონის მე-7 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული პრინციპი;
- 2) ფართომასშტაბიან დეგრადირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების მფლობელი არ ასრულებს გარემოს დაცვის საბოლოო გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალდებულებებს ამ უძრავი ქონების მიმართ და ამ ვალდებულებების შესასრულებლად ხდება ქონების ექსპროპრიაცია და:
 - ა) ამ გადაწყვეტილების აღსრულების ვადა ამოიწურა და მის მიმართ არ ხდება სააღსრულებო წარმოების ინიცირება ან ვლინდება, რომ აღსრულება არაეფექტიანია ან
 - ბ) გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული ამ ვალდებულებების შესრულების ვადა და მისი ძალაში შესვლიდან გასულია 10 წელზე მეტი.

ექსპროპრიაციას წინ უძღვის მოლაპარაკებები, რომელსაც აწარმოებენ უფლებამოსილი ორგანოები (კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი). მე-9 მუხლის მე-16c.t.z პუნქტის მიხედვით, იმ დღეს, როდესაც გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გადაწყვეტილება ხდება საბოლოო: 1) ექსპროპრირებული ქონება გადადის შემდეგი სუბიექტების საკუთრებაში: ა) სახელმწიფო ხაზინა – თუ კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს გარემოს დაცვის რეგიონული დირექტორი; ბ) კომუნები – თუ კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს მისი აღმასრულებელი ორგანო; 2) იწურება სახელმწიფო ხაზინის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამუდამო უზუფრუქტის უფლება; 3) იწურება 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებულ უძრავ ქონებაზე სხვა ქონებრივი უფლებები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კანონში მითითებულ საქმიანობებთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები, როგორცაა გარემოს მდგომარეობის ყოვლისმომცველი შეფასება და შემდეგ, მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება. მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯები იქნება საჭირო უძრავი ქონების შესაძენად ან უძრავი ქონების ექსპროპრიაციისა და დროებითი დაკავების ან უძრავი ქონებით სარგებლობის შეზღუდვისა და გეგმის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზარალის საკომპენსაციოდაც (მუხლი 18(1)). კანონი განსაზღვრავს ამ ტიპის პროექტების დაფინანსების წყაროებს; მათ შორის, დომინირებს ევროპული ფონდები, მაგრამ ასევე, შედის კომუნის/მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიც.

საკანონმდებლო რეფორმის და განხორციელებული ცვლილებების მიზანი ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ის ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხ-

ლისთვის არსებული საფრთხეების აღმოფხვრას, მაგრამ ამავდროულად, რჩება გარკვეული ეჭვები კანონის შეზღუდული მოქმედების შესახებ; ამ ამოცანის დაფინანსების ტვირთი ძირითადად, მოდის მუნიციპალიტეტებზე, რომელთაც არა აქვთ ევროპული ფონდებიდან თანხების მიღების გარანტია, რამაც შესაძლოა შეაფერხოს კანონის აღსრულება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პოლონეთში ტერიტორიების 5%-ზე³⁵ მეტი სხვადასხვა სახის დაბინძურების ზემოქმედების ქვეშაა, ზრდის განხილული საკითხის აქტუალობას და აჩენს რაც შეიძლება ეფექტიანი საკანონმდებლო რეგულაციის შემოღების საჭიროებას.

V. ინვესტიციები საქართველოს პოსტინდუსტრიულ სფეროებში

ინვესტიციები საქართველოს პოსტინდუსტრიულ სფეროებში, განსაკუთრებით, მის დედაქალაქ თბილისში, ძალზე აქტუალური თემაა. პოლონეთის მსგავსად, საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, განსაკუთრებით სამშენებლო სფეროში. ეგრეთ წოდებული „ბრაუნფილდები“³⁶ ქვეყნის დედაქალაქის ტერიტორიის 1500 ჰექტარს იკავებს. მათი მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკვე დახურული ყოფილი ქარხნების³⁷ ტერიტორიები, რომელთა ნაწილიც ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს, მაგრამ მიმზიდველია ინვესტიციებისთვის, რადგანაც ამ ტერიტორიებზე განვითარებული საკომუნიკაციო ქსელი არსებობს. ეს გახლავთ ყოფილი მსხვილი ქარხნების პოსტწარმოების ზონები, რომლებიც აღარ გამოიყენება. ეს ქარხნები საბჭოთა ეპოქის დროს, 1991 წლამდე მუშაობდნენ და საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებს აწვდიდნენ პროდუქციას იმ რაოდენობით, რაც ბევრად აღემატებოდა საქართველოს რეალურ მოთხოვნას. აღნიშნულ ტერიტორიებს საბჭოთა ეკონომიკისთვის³⁸ უკიდურეს ექსპლუატაციას უწევდნენ. დღეს ამ მიწების მიმზიდველობა იზრდება: ისინი კარგად არიან დაკავშირებული ცენტრთან, რადგანაც მათი უდიდესი ნაწილი განლაგებულია მთავარი სარკინიგზო გზების გარშემო.

³⁵ გარემოს დაცვის ინსპექცია, პოლონეთის ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის მონიტორინგი 2005/2007 წლებში, გარემოს მონიტორინგის ბიბლიოთეკა, ვარშავა 2008, გვ. 27; Kleta H., ინდუსტრიული ტერიტორიის დეგრადაციის შეფასება, სილენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, <http://www.kleta.neostrada.pl/materialy/Ocena%20degradacji%20terenow%20uprze.pdf>, [16.12.2023], Krupa-Dąbrowska R., დაბინძურებულ ადგილზე ბლოკი ეკოლოგიური ბომბია, კანონი კი, ყოველთვის არ მუშაობს, Prawo.pl pub. 21/10/2021, <https://www.prawo.pl/biznes/budowa-mieszkan-na-skazonam-gruncie,511283.html>, [11.12.2023].

³⁶ „ბრაუნფილდის ტერიტორიები“ – ყოფილი სამრეწველო ტერიტორიები, რომლებიც წარსულში მოქმედებდნენ, მაგრამ ამჟამად არ გამოიყენება. თბილისში დაახლოებით, 60–70 პოსტინდუსტრიული ზონაა 1500–1800 ჰა მიტოვებული ფართობით, ექსპლუატირებული და დანგრეული შენობებითა და ნაგებობებით. ფართო განმარტება დოქტრინის მიზნებისთვის შეტანილია კვლევაში: Ahmad N., Zhu Y., Ibrahim M., Waqas M., Waheed A., ბრაუნფილდის სტანდარტული განმარტების, სახელმძღვანელო მითითებების და შეფასების ინდექსის სისტემის შემუშავება. რედეველოპმენტი განვითარებად ქვეყნებში: პაკისტანის მაგალითი, Sustainability, 2018, ტ. 10(12), <https://doi.org/10.3390/su10124347>, [13.12.2023].

³⁷ <https://mua.ge/ka/blog/industrial-heritage-of-tbilisi>, [01.12.2023].

³⁸ ბეროუზი ჯ., ყოფილი სამრეწველო ზონები (ბრაუნფილდები) თბილისში, 2017, <https://tas.ge/DownloadServlet?downloadCase=56&docId=52056>, [01.12.2023]

საბჭოთა პერიოდში თბილისთან ახლოს (მარტყოფი) ასევე, არსებობდა უზარმაზარი ქიმიური და ტექნიკური ნარჩენების ნაგავსაყრელი; ეს ობიექტი გამოიყენებოდა სამეცნიერო და სამედიცინო-ონკოლოგიური ცენტრებიდან გამოტანილი რადიოაქტიური ნარჩენების გადასაყრელად. ნიადაგი შეიცავს სხვადასხვა სამრეწველო საწარმოების ქიმიურ ნარჩენებს და რამდენიმე სამეცნიერო და სამედიცინო დაწესებულების რადიოაქტიურ ნარჩენებს. აღსანიშნავია, რომ მარტყოფის განაშენიანება და აღნიშნული ტერიტორიების უარყოფითი გავლენა პირდაპირ და უშუალო შემზღუდველ გავლენას ვერ ახდენს სამშენებლო პროცესებზე, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, რაც პოტენციურად დიდი საფრთხის შემცველია. კიდევ ერთი პრობლემა საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიები, ასევე, სამეცნიერო ბირთვული რეაქტორები, რომლებიც ადრე სოხუმსა და მცხეთაში (თბილისთან ახლოს) ოპერირებდნენ. სოხუმის რეაქტორზე ადრე სამხედრო კონტროლი იყო დაწესებული და სახელმწიფო თავდაცვის სისტემას ექვემდებარებოდა. ამჟამად, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რეაქტორის სტატუსისა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ მონაცემები ძნელად მისაწვდომია. 1991 წელს, ასაკისა და პოტენციური დაუცველობის გამო, რეაქტორი საქართველოს მშვიდობა³⁹ ძალისხმევით შეჩერდა. ამ ვითარებაში დაბინძურებული მიწების პრობლემის გადაჭრა პრაქტიკულად არის pars pro toto, რადგანაც კანონის მთავარ სისუსტეს წარმოადგენს დაბინძურებული ადგილების რეკულტივაციისთვის საკმარისად ერთიანი, იურიდიულად კოორდინირებული სისტემის არარსებობა.

2019 წლის 15 მარტის თბილისის ახალ გენერალურ გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა ამ ტერიტორიების გაწმენდა რეკულტივაციის გზით, ასევე, ყოფილი ინდუსტრიული/კომერციული ტერიტორიების ტრანსფორმაცია ან/და რეაბილიტაცია („ბრაუნფილდები“). თუმცა, ამ დოკუმენტს კანონქვემდებარე აქტებში არანაირი ცვლილებები არ მოჰყოლია დაბინძურებული ნიადაგების და შესაძლო ეკოლოგიური საფრთხეების იდენტიფიცირების და აღმოფხვრის მიზნით. ვინაიდან ინვესტორები ამ ტერიტორიებს უმეტესად, განიხილავენ როგორც კომერციულად მომგებიან, საცხოვრებელ ან მრავალფუნქციური კომპლექსების მშენებლობისთვის და ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ობიექტები საქართველოს დიდი ქალაქების შემდგომი განვითარების შესაძლებლობაა, რათა ხელახლა, სასარგებლო და მიზანმიმართული გზით⁴⁰ დაგეგმონ საკუთარი სივრცე, მით უმეტეს, რომ სახიზრება გადაუდებელი აუცილებლობა თბილისსა და ბათუმში დანგრეული

³⁹ მგალობლიშვილი მ.რ., ლ.ჭენსი, ჩ. ზორტონი, გვ. 204-206.

⁴⁰ თბილისის სივრცითი მოწყობის 2019 წლის 15 მარტის გეგმის შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს დეგრადირებული ტერიტორიების ხელახალი გამოყენების პროცესში ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნას და გამწვანების ფუნქციების პრიორიტეტულ დამუშავებას (თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება #39-18, მე-4 პუნქტი).

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებიდან მოსახლეობის გადაყვანისა თანამედროვე, კონსტრუქციულად უსაფრთხო და ენერგოეფექტურ შენობებში. ამიტომ, ქვეყანაში მიმდინარეობს დისკუსია „დეგრადირებული ტერიტორიების,“ როგორც ახალი საინვესტიციო რესურსის შესახებ.

ბოლო წლებში, უკვე შეთანხმდა თბილისში აბრეშუმისა და ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე დიდი მრავალფუნქციური კომპლექსის აშენების კონცეფცია.⁴¹ ამასთან, მოქმედი რეგულაციები დეტალურად არ არეგულირებს ამ ტიპის სფეროებში ინვესტიციებს, ასევე, მათი რეაბილიტაციის მეთოდს; ამ სფეროში ჯერ კიდევ, არ არსებობს ყოვლისმომცველი სამართლებრივი გადაწყვეტილებები.⁴² თუმცა, ბრაუნფილდის ტერიტორიების მასშტაბიდან გამომდინარე, თითოეული ტიპის ინვესტიცია მოითხოვს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას, რომელიც დაარეგულირებს დაგეგმარებასა და ურბანულ მოწყობას, ასევე, საქართველოში სამშენებლო მიზნებისთვის ადგილობრივი ტერიტორიების გამოყოფის პირობებს.⁴³

ამიტომ, დეგრადირებული ტერიტორიების განაშენიანება შესაძლებელია მხოლოდ ასეთი გეგმის მიღების შემდეგ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმვის ორგანოს არ აქვს კანონით გაწერილი მკაფიო ვალდებულება, რომ თავად ან/და ინვესტორის მეშვეობით შეაფასოს ნიადაგის დაბინძურების ხარისხი მოცემულ ტერიტორიაზე თუ მიწის ნაკვეთი არ აკმაყოფილებს სავალდებულო გარემოზე ზემოქმედების შედეგების შეფასების განხორციელებას, ანუ თუ ტერიტორია არ აღემატება 10 ჰექტარს – გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოთხოვნილი არაა. თავად განაშენიანების დეტალური გეგმა მიიღება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს დაგეგმვის კონცეფციის დამტკიცებას, მეორე ეტაპი კი, დეტალური გეგმის დამტკიცებას. თბილისის მაგალითზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დოკუმენტის დამტკიცებას დაახლოებით ნ თვე სჭირდება. ეს გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: ჯერ ერთი, დეტალური გეგმა არის ნორმატიული შინაარსის გეგმა და მისი დამტკიცება მოითხოვს საკრებულოს დადგენილებას. მეორე – ფუნქციური ზონების განსაზღვრის გარდა, დეტალური გეგმა აგრეთვე, ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება, შესაძლო სერვიტუტები, საკომუნიკაციო ქსელები, სივრცითი განაშენიანების პროექტირება,

⁴¹ <https://commerzant.ge/news/busuness/yofili-abreshumis-qarkhnis-teritoriaze-qartu-jgufis-tsatambjenebis-proeq-ti-52-sartulamde-shemtsirda> და <https://www.radiotavisupleba.ge/a/31980875.html>, [02.11.2023].

⁴² თბილისის შემთხვევაში, თუ განაშენიანების ფართობი 7000 მ²-ს აღემატება, მშენებლობა მხოლოდ დეტალური განაშენიანების გეგმის შედგენის შემდეგ დაიშვება, „ბრაუნფილდები“ კი, როგორც წესი, გაცილებით დიდ ფართობებს მოიცავს, ამიტომ მათი განაშენიანება მხოლოდ დეტალური გეგმით არის შესაძლებელი.

⁴³ დეტალური განაშენიანების გეგმა ადგილობრივ ტერიტორიას ჰყოფს ფუნქციურ ზონებად, ადგენს შენობის პარამეტრებს (რომლებიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს/განსხვავდებოდეს განაშენიანების გეგმაში დადგენილისგან), უზრუნველყოფს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებს, მიწის განაშენიანებას და ა. შ.

არსებული ხეების ხელახალი დარგვა/მოჭრა/შენაცვლება, რეკრეაციული ზონები, შენობების სართულიანობა და ძირითადი ტექნიკური და სამშენებლო პარამეტრები, ასევე, ინვესტორების ვალდებულებები დეგრადირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, როგორც დაგეგმილი ინვესტიციის დაწყების პირობა. გემოლნიშნულ საკითხებზე კვლევები, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც თბილისის შემთხვევაში, მთავარი „ბრაუნფილდის“ ტერიტორიას წარმოადგენს ცენტრალური სარკინიგზო ხაზის მიმდებარე ტერიტორია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც გემოთ აღინიშნა, სწორედ დედაქალაქის ცენტრში გადის. თუმცა, კვლავ ღიად რჩება საკითხი, თუ ტერიტორია ძველი საწარმოო ქარხანას მიეკუთვნება და 10 ჰექტარზე ნაკლებია, როგორ უნდა განხორციელდეს სტატიაში განხილული რისკების შემცირება და დაბინძურების წყაროების უტილიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ტიპის ტერიტორიის განაშენიანების დაგეგმვამდე, მერია ვალდებულია დეტალურად გაეცნოს საინვესტიციო პროექტის შინაარსს და დაადგინოს, რა ნეგატიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას არსებულ არა მხოლოდ საკომუნიკაციო კვანძებზე და მოძრაობის უსაფრთხოებაზე ან არსებულ საკომუნიკაციო ქსელზე, ასევე მომავალში, ამ ტერიტორიაზე დასახლებული მოსახლეობისთვის (მიწის შესაძლო დაბინძურების შემთხვევაში).

ხაზგასასმელია, რომ ბოლო წლებში, თბილისმა საინტერესო გზა შეიმუშავა ამ ტიპის ტერიტორიების განაშენიანებისთვის. კერძოდ, მერიას საინვესტიციო მიზნებისთვის ტენდერზე გამოაქვს მსგავსი ნაკვეთები, რომელთა განაშენიანების დეტალური გეგმა უკვე დამტკიცებულია. ინვესტიციის განმახორციელებელი კერძო ინვესტორი კი, უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი და დანგრეული შენობებიდან გამოსახლებული ადამიანებისთვის ბინების კონკრეტულ კვოტას, რაც ასევე, ემსახურება საზოგადოებრივ მიზანს. ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებული კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას სტატიაში განხილულ საკითხებზე, მათ კონტროლზე, შემოწმებაზე, სანქცირებაზე და უტილიზაციაზე დაწესდეს მკაფიო მოთხოვნები. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია „ბრაუნფილდების“ სწორი დაგეგმვის და განვითარების კონცეპტუალური საკითხების გარდა, ყურადღება გამახვილდეს სწორედ დაბინძურების კონტექსტში.

დასკვნა

ინვესტიციები დეგრადირებულ და ზოგჯერ, დაბინძურებულ ტერიტორიებზე აუცილებელია საინვესტიციოდ მიმზიდველი მიწის ნაკვეთების რაოდენობის მკვეთრი შემცირების გამო. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ტერიტორიები ზრდის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკს.

ინვესტორისთვის ამგვარ უძრავ ქონებაში ინვესტიცია დაკავშირებულია გაზრდილ ხარჯებთან ან/და ინვესტიციის ფინანსურ გაუმართლებლობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო დებულებებში გათვალისწინებულ იქნას ნორმები, რომლითაც მოხდება ტერიტორიის „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანისა და დარღვევის შემთხვევაში – ეფექტური, ეფექტიანი და პროპორციული სანქციის ვალდებულების დაწესება. ამავდროულად, საქართველოს მაგალითზე, სავალდებულოა ამგვარი ტერიტორიების წინასწარი იდენტიფიცირება,⁴⁴ მისი ასახვა შესაბამის დარგობრივ, დეტალურ ან/და მიწათსარგებლობის გეგმებში ან როგორც მინიმუმ, შესაბამისი, დაგეგმარების და ნებართვის გამცემი ორგანოების ინფორმირება შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით.

იმავდროულად, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კანონმდებელი პოლონეთის მაგალითზე მართალია, შეეცადა სპეციალური კანონმდებლობის მიღებით საკითხის დარეგულირებას, მაგრამ აღნიშნულით პრობლემა სრულად არ გადაჭრილა. უფრო მეტიც, სპეციალური კანონი მუნიციპალიტეტებს ურიცხვ ვალდებულებებსა და ფინანსურ ტვირთს აკისრებს, რასაც ისინი სავარაუდოდ, თავს ვერ გაართმევენ, დაფინანსების გარე წყაროების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონური კანონმდებლობის დებულებები ითვალისწინებს დაბინძურებული მიწების რეკულტივაციის ვალდებულებებს, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა შეიძლება ვერ შეიტყონ მიწის დაბინძურების შესახებ შესაბამის რეესტრებში ამგვარი ობიექტების შეტანასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ეკოლოგიურად საზიანო დამაბინძურებლების არსებობის დასადგენად, ნიადაგის ტესტირების ვალდებულების არარსებობის გამო. ზოგიერთი დამაბინძურებელი მაგალითად, მძიმე ლითონები, სერიოზულ საფრთხეს უქმნის გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, თუმცა, მათი გამოვლენა ყოველთვის არ იწვევს ქონების დისკვალიფიკაციას ინვესტიციის თვალსაზრისით. ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ პოლონეთის კანონმდებლობა მკაფიოდ არ არეგულირებს ნიადაგის ტესტირების ჩატარების საკითხს. ეს არის სამართლებრივი ხარვეზი, რომლითაც სარგებლობენ დევლოპერები და არ ატარებენ მსგავს კვლევას, ხოლო რეკულტივაციის ჩატარებლობის ან არასწორად ჩატარების გამო, დაწესებულ სანქციებს მინიმალური პრევენციული ფუნქციაც კი, არ გააჩნია არაპროპორციული ოდენობის გამო.

ასევე, იმ პრობლემების ჩვენება, რომელსაც აწყდება ისეთი განვითარებადი ქვეყანა, როგორც საქართველოა – საბჭოთა კავშირის დროინდელი განადგურებული სხვადასხვა

⁴⁴ აღნიშნულის კარგი მაგალითია, თბილისის 2019 წლის 15 მარტის გენერალური გეგმა, რომლითაც დაიდენტიფიცირდა გულისაშიშროების ზონები და შესაძლებელი გახდა ამგვარი საფრთხეების მშენებლობის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინება.

საფრთხის შემცველი საწარმოს გამო – საშუალებას გვაძლევს მივუთითოთ, რომ განაშენიანებისთვის მიმზიდველი ტერიტორიების აღდგენის ერთ-ერთი საშუალებაა დაგეგმვის ინსტრუმენტები, პოლონეთში ეს შეიძლება იყოს ინტეგრირებული საინვესტიციო გეგმა ურბანული დაგეგმარების ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს ინვესტორის ვალდებულებებს ტერიტორიის რეკულტივაციის კუთხით, რაც თავის მხრივ, განაშენიანების წინაპირობაა.


ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დეგრადირებულ ტერიტორიებზე ინვესტიციების ყოვლისმომცველი რეგულირება მოითხოვს დაფინანსებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტრუმენტების მკაფიო განსაზღვრას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ღირებული ტერიტორიების რეკულტივაციის დაჩქარებას. ხელახალი გამოყენებისთვის დაბინძურებული ტერიტორიების აღდგენა მოითხოვს სახელმწიფოს და სხვა საჯარო ინსტიტუტების ფინანსურ ვალდებულებას და დაგეგმვის საჭირო ინსტრუმენტების მიღების ვალდებულებას. მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია სამეცნიერო დაწესებულებების ჩართვა დაბინძურებული ზედაპირების შეფასებაში და მათი დანიშნულების შეცვლის შესაძლებლობაში, რათა ის უსაფრთხო იყოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. ზემოთ წარმოდგენილი დასკვნების ფონზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც პოლონეთში, ისე საქართველოში საჭიროა თანმიმდევრული სამართლებრივი პოლიტიკა, რათა ეფექტიანად განხორციელდეს დაბინძურებული ტერიტორიების განახლება და ეკონომიკურ ციკლში ხელახალი ჩართვა. ეს შეიძლება მიღწეული იქნას დაბინძურებული ტერიტორიების სისტემატური აღრიცხვით ან დაზიანებული ტერიტორიების რეკულტივაციის შესახებ კანონების მიღებით, იმისდა მიუხედავად, თუ რა სუბიექტები აბინძურებენ ნიადაგს და მიუხედავად ნიადაგში აღმოჩენილი მავნე ნივთიერებებისა, ამასთან, ეს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს და უზრუნველყოფას უკავშირდება. ასევე, სამშენებლო კანონმდებლობამ შეიძლება უფრო მიმზიდველი გახადოს კომპანიების მიერ დაბინძურებული ტერიტორიების რეკულტივაცია (მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა რეკულტივაციის მოთხოვნით), თუ დაწესებული მოთხოვნები ამგავრი მიწის ნაკვეთებს საინვესტიციო პოტენციალს შეუნარჩუნებს ან/და გაზრდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ahmad N., Zhu Y., Ibrahim M., Waqas M., Waheed A., Development of a Standard Brownfield Definition, Guidelines, and Evaluation Index System for Brownfield Redevelopment in Developing Countries: The Case of Pakistan, Sustainability, 2018, vol. 10(12);
2. Burrows J., Former Industrial Areas ("Brownfields") in Tbilisi, Tbilisi 2017;
3. De Sousa C., Brownfield redevelopment versus greenfield development: A private sector perspective on the costs and risks associated with brownfield redevelopment in the Greater Toronto Area, Journal of Environmental Planning and Management 2000, vol. 43;
4. Doliwa A., Civil law structures in the field of liability for environmental damage and damage caused by environmental impact – selected issues, [in:] Administrative law crisis? Volume III: Displacement of administrative law by civil law Doliwa A., Kijowski D, Prutis S., Suwaj P. (ed.), Wolters Kluwers, Warsaw 2012;
5. Draniewicz B., Liability of environmental damage in the Act on the prevention of environmental damage and its repair – selected issues, Monitor Prawniczy, 5/2008;
6. Jerzmański J., Commentary on art. 101h, [in:] Environmental protection law. Comment, Górski M., Pchatek M., Radecki W. (ed.), Warsaw, 2019;
7. Filipowicz T., Commentary on art. 21, [in:] Act on providing information on the environment and its protection, public participation in environmental protection and on environmental impact assessments. Comment, (ed.) Filipowicz T., Plucińska-Filipowicz A., Wierzbowski M., Warszawa, 2020;
8. Gruszecki K., Commentary on art. 335c, [in:] Environmental protection law. Comment, Gruszecki K. (ed.), Warszawa, 2022;
9. Kabata-Pendias A., Piotrowska M., Basics of assessment of chemical contamination of soil. Heavy metals, sulfur and PAHs. Environmental Monitoring Library, PIOŚ, IUNG, Warsaw, 1995;
10. Kawęcka A., Legal and environmental issues of brownfield investments. Post-industrial properties with land surface contamination, Folia Iuridica Universitatis Wratislaviensis, 2021, No. 10 (2);
11. Kleta H., Assessment of the degradation of industrial areas, Silesian University of Technology;
12. Krupa-Dąbrowska R., A block of flats on contaminated soil is a ticking ecological bomb, and the law does not always work, Prawo.pl op. 21/10/202;
13. მგალობლიშვილი მ.რ., ჰენს ლ., ჰორტონ ჩ., გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საქართველოს რესპუბლიკაში, Human Ecology Review 1996/97, 3(2);
14. Obńj K., Wąsowska A., International management, Warsaw 2014;
15. Rakoczy B., Commentary on the Act on preventing and repairing environmental damage, Warsaw 2008;
16. Wałkowski D., From reclamation to remediation, November 14, 2013;

სამართლებრივი აქტები და სასამართლო პრაქტიკა:

1. 1997 წლის 21 აგვისტოს კანონი „უძრავი ქონების მართვის შესახებ“;
2. 2003 წლის 27 მარტის კანონი „სივრცითი დაგეგმარებისა და განაშენიანების შესახებ“;
3. 2007 წლის 13 აპრილის კანონი „გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციისა და მისი გამოსწორების შესახებ“;
4. 2023 წლის 16 ივნისის კანონი „ფართომასშტაბიანი დეგრადირებული ტერიტორიების შესახებ“;
5. 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონი „გარემოსა და მისი დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გარემოს დაცვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“;
6. გარემოს დაცვის მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის დადგენილება მიწის ზედაპირის ისტორიული დაბინძურების რეესტრის შესახებ;
7. ვარშავის საგოევიდოს აღმინისტრაციული სასამართლოს 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, ref. #IV SA/Wa 2126/20, LEX No. 3166611.



POST-INDUSTRIAL CONTAMINATED REAL ESTATE AS INVESTMENT LAND IN THE EXAMPLE OF POLAND AND GEORGIA

LUSINA STANISHEVSKA

*Judge of the Warsaw Administrative Court,
Adam Mickiewicz University Professor*

UCHA ZAKASHVILI

Professor of the Georgian American University

The study presents legal issues concerning land contaminated to varying degrees by human activity. Contaminated areas refer to former areas of extensive industrial use or waste dumps. The problem of contaminated land is one of the main challenges of environmental policy in the modern world – from a technical, financial, and, above all, legal point of view. Remediating contaminated sites usually involves significant costs, which naturally entails substantial problems in performing these obligations by those who aim to change the use of such land.

The article points out selected problems arising from the legal regulation of the remediation of contaminated land. Even if the responsible entities are identified, in many cases, public authorities cannot carry out remediation for economic or technical reasons. The article points out that the current Polish regulations and those of other post-communist countries using

Georgia as an example are still insufficient to protect future generations using such land. In this respect, legal instruments such as keeping records indicating contamination are discussed, and legal obligations on the part of the landowner and the municipalities where such properties are located are shown. The article lists ways of carrying out preventive and remedial measures concerning environmental damage that has occurred or may occur and historical contamination of the earth's surface, including the remediation issue, i.e., the procedure for cleaning up the land. The authors will attempt to assess the legal status and resolve the problems related to the unsuccessful remediation process of contaminated land.

საბაჟო დამუშავების სპეციალური პროცედურები და საქონლის დაბეგვრის მექანიზმების გამოყენება ეროვნული და საერთაშორისო კონვენციების მიხედვით

ია ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის პროგრამის მიწვეული პროფესორი

თამარ დვალისვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის პროგრამის მავისტრი

შესავალი

ქართული საბაჟო რეგულაციები სულ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს, რომელიც უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.¹ დღეისათვის, საბაჟო კოდექსში ცვლილებები მრავალფეროვანი და ჯეროვანია. მასში თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, ახლებურადაა გააზრებული „საბაჟო პროცედურები.“ გლობალიზაციის პროცესი, ვაჭრობის ხელშეწყობის ინიცი-

¹ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 18.

ატივები და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევები 21-ე საუკუნეში, საბაჟოების როლთან დაკავშირებით, მოითხოვს განახლებული, პროფესიონალური მიდგომების დანერგვას, საბაჟო ადმინისტრაციების მართვასა და საბაჟო ოპერაციებზე ახალი სტანდარტების გაზიარებას მთელს მსოფლიოში.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით ბევრი სასიკეთო საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა ქვეყანაში და ერთ-ერთი უპირველესი იყო 2019 წლის დამოუკიდებელი საბაჟო კოდექსის და მასთან მიბმული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების ამოქმედება. მიუხედავად საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში არსებული გარკვეული ხარვეზებისა, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირთან მიახლოებულია საბაჟო კოდექსი, რომელიც პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს. ევროკავშირის საბაჟო სამართლის პრაქტიკა საბაჟო ადმინისტრაციების მუდმივი მოდერნიზაციის პარალელურად იქმნება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებს, საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობები დაარეგულირონ საერთაშორისოდ აღიარებული საბაჟო პრინციპების საფუძველზე. ეროვნული მიზნების გათვალისწინება და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა კომპლექსურად ხორციელდება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, მოდერნისტული, საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს აკისრებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით, სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებას. საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, საქართველოში საბაჟო საქმიანობის, ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ასოცირების შეთანხმება კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area- DC FTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.²

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება დამოკიდებულია კონკურენტუნარიანი და დინამიკურ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებასთან, რომელიც „ლისაბონის დღის წესრიგის“ მთავარი მიზანია. საბაჟო კავშირი ეფუძნება საერთო კომერციულ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ერთიანი საბაჟო ნორმებითა და კანონებით საბაჟო ურთიერთობების რეგულირებას, რის გამოც ევროპის საბაჟო კოდექსი შეიქმნა. თუმცა, დღესდღეობით საბაჟო ურთიერთობები ჯერ კიდევ, ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული

² საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გამკვეთი (ხშირად დასმული კითხვები), თებერვალი, 2014, 7.

კანონებით რეგულირდება და მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ, რაც ხელს უშლის მათ სახელმწიფო ტერიტორიები ერთ მთლიან საბაჟო ტერიტორიად აქციონ და მათზე ერთნაირი საბაჟო ტარიფები და რეჟიმები გაავრცელონ. ძირითადად, აღნიშნული პრობლემა ეხება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ჯერ კიდევ, არ არიან ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თუმცა, ამისკენ მიისწრაფიან. ასეთ შემთხვევაში, ისინი სამართლებრივ ურთიერთობებს მათ შორის, საბაჟო ურთიერთობებს არეგულირებენ ეროვნული კანონმდებლობით და უპირატესი იურიდიული ძალის მქონედ სწორედ ამ კანონმდებლობას მიიჩნევენ. მოვაჭრეებს დღესაც კი უჭირთ იმის აღქმა, რომ სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება ერთ დიდ საბაჟო ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ერთნაირი საბაჟო ნორმები, რის გამოც უარს ამბობენ საქონლის ტრანსპორტირებაზე, თუ მათ დანიშნულების ადგილზე არ ეყოლებათ საკუთარი წარმომადგენელი ან აგენტი. სავაჭრო ურთიერთობებში მხარეთა შორის უნდობლობის არსებობა საბაჟო ტერიტორიებზე იწვევს მთელ რიგ შეფერხებებს. OECD-ის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მსგავსი ტიპის შეფერხებებს მოჰყვება შესაბამისი მატერიალური ზიანი, რომელიც საქონლის ღირებულების 15%-ს შეადგენს.³

I. ქართული საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება და მისი ადგილი საერთაშორისო საბაჟო სისტემაში. საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა და საქართველო

საქართველო გლობალიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ. ევროკავშირის მიერ მიღებული პრინციპებისა და ღირებულებების გასაზიარებლად, აუცილებელი იყო ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის პარალელურად, საქართველო დიდ დაინტერესებას იწვევდა მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორებისთვის. ისინი ქმნიდნენ საწარმოებს და ფუძნდებოდნენ მცირე თუ მსხვილი ბიზნესებით საქართველოში, რაც ეკონომიკურად აძლიერებდა სახელმწიფოს. საქართველო მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრდა, ფაქტობრივად იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საერთაშორისო მასშტაბებით იქნა აღიარებული. ტექნიკური დახმარების პროგრამის – „ტასისის“ მეშვეობით საქართველოს მიეცა შესაძლებლობა განევიტარებინა თავისუფალი ბაზარი, რაც ეკონომიკური სიძლიერისა და მდგრადობის გარანტი გახდებოდა. არსებობს რამდენიმე ნიშანი იმისა, რომ ევროკავშირის ხედვა ნამდვილად ითვალისწინებს თანამედროვე მიწოდების ჯაჭვურ ბუნებას, რომელიც

³ OESD – Organization for Economic Co-operation and Development.

კომპლექსურად აერთიანებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისთვის საჭირო ყველა რეგულაციას. მომავლის სტრატეგია, რომელიც პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის არის საჭირო, ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: სახელმწიფოები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ, ორიენტირებული უნდა იყვნენ ზუსტად შეასრულონ საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი რეგულაციები, ისე რომ არ დაივიწყონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა და ტრადიციები.

საბაჟო სფეროში კანონმდებლობის დაახლოების შედეგად, საქართველოს საბაჟო რეგულაციები დაუახლოვდა ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს. განხორციელებული მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, ხელის შეწყობია საქართველო-ევროკავშირის შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებისა, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნისა.⁴ ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით, დგინდება გამარტივებული საბაჟო პროცედურები საქართველო-ევროკავშირის ქვეყნების საბაჟო საზღვრებზე საქონლის გადაადგილებისას. DFC (თავისუფალი და ღია სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან) სავაჭრო ურთიერთობებში, სახელმწიფოები თანხმდებიან საბაჟო პროცედურები კიდევ უფრო გაამარტივონ და დააჩქარონ, რადგან ამ პროცესებით უზრუნველყოფილი იქნება ნაკლებ დროში, დიდი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობა. საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებში, პაქტებსა და კონვენციებში მოცემულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოების საბაჟო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენენ ეროვნული საბაჟო კანონმდებლობით რეგულირებული საბაჟო თანამშრომლობის საქმეში. სახელმწიფოები, მათ შორის დადებული საბაჟო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, ახორციელებენ სავაჭრო ურთიერთობებს. კერძოდ, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ხორციელდება ნაწარმი პროდუქციის გატანა საბაჟო ტერიტორიის გავლით, შესაბამისი ბაჟისა და მოსაკრებლის გადახდით ან მის გარეშე. სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე საქონლის შეტანას, გატანას და ტრანზიტს ახორციელებენ დაბეგვრის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, აწესებენ შეღავათებს სახელმწიფო ბაჟზე და მოსაკრებლებზე, რადგან სწორედ ეს უზრუნველყოფს თავისუფალ ვაჭრობასა და მონოპოლიის აკრძალვას.⁵ შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების ერთი მხარე, რომელიც შეიტანს საქონელს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, თავისუფლდება ნებისმიერი შიდა სახის გადასახადისაგან, რომელიც პირდაპირ ან

⁴ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021, 17.

⁵ იხ.: 1947 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება, General Agreement On Tariffs And Trade. <http://student.manupatra.com/Academic/Conventions/ConInternTraDeve/GenAgTaT.pdf>.

ირიბად გამოიყენება ეროვნული წარმოშობის მსგავს პროდუქტზე. უფრო მეტიც, თუ კონკრეტულ სახელმწიფოში, სადაც იმპორტირებული საქონელი შევიდა, არ გამოირჩევა ამავე პროდუქციის ადგილობრივი წარმოებით, შეთანხმების მონაწილე არც ერთი სახელმწიფო არ გამოიყენებს ახალ ან გაზრდილ შიდა გადასახადებს შემოტანილ პროდუქციაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გადასახადების გაზრდა გამართლებული იყოს ეროვნული პროდუქციის დაცვის მიზნით.⁶ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების საფუძველზე (GATT), მისი ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან იმპორტირებულ საქონელზე გაავრცელონ ეროვნულ პროდუქციაზე არსებული რეგულაციები და მოთხოვნები, რაც თანაბარ პირობებში რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული შეთანხმების გაზიარება მომგებიანია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც განვითარებულია ინდუსტრია და პროდუქტების წარმოება. თუმცა, განვითარებადი ქვეყნებისთვის, მაგალითად, საქართველოსთვის, სადაც ექსპორტი არ იბეგრება, ხოლო იმპორტი ექვემდებარება დაბეგვრას, რთული წარმოსადგენია რამდენად მომგებიანი იქნება საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტი იგივე პირობებში ვამყოფოთ, რაც გულისხმობს სარეალიზაციო ფასების დარეგულირებაზე უარის თქმას და იმპორტირებული საქონლის იგივე ფასში რეალიზაციას, მსგავსად ადგილობრივი წარმოების პროდუქტისა, რადგან ეს გამოიწვევს ადგილობრივი ბიზნესის დაზარალებას.⁷

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული სახელმწიფოების შიდა საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში.

საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციებს, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, საკოორდინაციო ფუნქცია აკისრიათ. სახელმწიფოების მთავარ ამოცანად რჩება ისეთი საბაჟო სისტემის შექმნა, რომელიც ხელსაყრელი და ეკონომიკურად მომგებიანი იქნება თითოეული სახელმწიფოსათვის.⁸ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT) საფუძველზე შემუშავებულ იქნა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რომელიც ვრცელდება ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოზე. არსებული რეჟიმის საფუძველზე, საერთაშორისო ვაჭრობის დროს, ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს უწესებს შეღავათებს საქონლის დაბეგვრაზე, ამცირებს ბაჟის გადასახადს, არეგულირებს საქონლის ქვეყანაში შეტანისა და გატანის პირობებს და ა. შ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ შემუშავებული სპეციალური დებულებები კი, განვითარებად ქვეყნებს ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლე-

⁶ ე. წ. „პროტექციონისტული პოლიტიკა.“

⁷ იხ.: DEVELOPING TRADE AND TRADE POLICY RELATIONS WITH THE EUROPIAN UNION, 137, <https://mek.oszk.hu/18300/18373/18373.pdf#page=131>.

⁸ იხ.: World Customs Journal, Volume1, Number1, The role of Customs, 31, <https://citeseerx.ist.psu.edu/document?repid=rep1&type=pdf&doi=5ac7bfb88eb9384773a65b0c8e3f83d7bdf3b8c4#page=39>.

ბებს და აძლევენ შესაძლებლობას იყვნენ უპირატესი სხვა განვითარებულ WTO-ს წევრ ქვეყნებთან შედარებით, რაც გამოიხატება დამატებითი ვადების მიცემაში განვითარებადი ქვეყნებისთვის, რათა მათ განავითარონ სავაჭრო შესაძლებლობები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დებულებებია: „სპეციალური და დიფერენციული მოპყრობის“ დებულებები.⁹ საქართველოს გაწევრიანებამ WTO-ში¹⁰ განაპირობა ლიბერალური სავაჭო პოლიტიკის ორიენტაციის აღება და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკისათვის მთავარ პრიორიტეტად იქცა წარმატებითი ინტეგრაცია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში.¹¹ დოჰას დეკლარაციით, მისი წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სპეციალური და დიფერენციული მოპყრობის დებულებები წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განუყოფელ ნაწილს და მისი გადახედვა მხოლოდ მისი ოპერატიულობისა და კიდევ უფრო ეფექტიანი მოქმედების მიზნით შეიძლება მოხდეს. GATT-ის IV ნაწილი ადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის არასაპასუხო შეღავათიანი დამოკიდებულების კონცეფციის შემუშავებას, რაც გულისხმობს განვითარებული ქვეყნების მიერ გარკვეულ სავაჭრო დათმობებზე წასვლას განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათგან შესატყვისი შეთავაზებების გარეშე. აღნიშნული დებულებით წახალისებული და ხელშეწყობილია განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესება, საერთაშორისო ასპარეზზე მათი აქტიურად გამოსვლა, ეკონომიკური განვითარება. სპეციალური და დიფერენციული შეთანხმების ფორმალურ მიზანს ასევე, წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის ზრდაზე ხელშეწყობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ SDT-ს მიერ განხორციელებული შეღავათები დადებით გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ჩვეულებებზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, იგი ეწინააღმდეგება GATT-ის ძირითად პრინციპს, როგორც არის არა დისკრიმინაციას, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სავაჭრო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.¹²

კიოტოს 1973 წლის 18 მაისის განახლებულ კონვენციაში (საბაჟო პროცედურების გამართებისა და ჰარმონიზაციის შესახებ)¹³ გაერთიანებულია თანამედროვე კონცეფციები, რომელიც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, საბაჟო კონტროლის ახალი

⁹ SDT – Special and Differential Treatment

¹⁰ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

¹¹ ხარაზი ი., ლუტიძე ლ., ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია – საქართველოს გლობალურ სავაჭრო სივრცეში ასოცირების ხელშეწყობი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(80), 2023, 115.

¹² იბ.: Special And Differential Treatment In The WTO: WHY, WHEN, AND HOW?, Alexander Keck and Patrick Low ხელმოწავდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=SlrYA6R-7DEC&oi=fnd&pg=PA147&dq=SPECIAL+AND+differential+treatment&ots=yk4XVvdXuT&sig=0ovT5ut_SR4vFFhWE_DvSoWsK-o&redir_esc=y#v=onepage&q=SPECIAL%20AND%20differential%20treatment&f=false.

¹³ საქართველო კიოტოს კონვენციას შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით.

მეთოდების დანერგვას, ურთიერთსასარგებლო აღიანსებში კერძო სექტორების ჩართვას, გამჭვირვალობისა და სწორი პროგნოზირების დადგენას. კონვენცია ემხრობა მთავრობისა და ხელისუფლების სხვა სფეროების აქტიურ ჩართვას გლობალური ვაჭრობის განხორციელების პროცესში, ადგენს საბაჟო ფორმალობებს, პრაქტიკისთვის საჭირო პროცედურებს და სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ეს მოთხოვნები მარტივად და ლაკონურად იყოს წარმოდგენილი ეროვნულ კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობის ხელშეწყობის დღის წესრიგი და კიოტოს განახლებული კონვენცია სრულიად შეესაბამება ერთმანეთს.

II. საქონლის საბაჟო დამუშავების პროცედურები ქართული და საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით

2.1. ევროკავშირის საბაჟო პროცედურები და მათი სამართლებრივი ბუნება

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში, ქვეყნებს შორის ვაჭრობა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო მომსახურება კი, საქონლითა და სერვისებით გამართული ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა. სატრანსპორტო პროცესების ეფექტიანობა და უსაფრთხოება, საქონლის დროულად მიწოდება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის ტექნიკურად გამართული სისტემის და სწორად განხორციელებული საბაჟო პროცედურების არსებობაზე. საბაჟო პოლიტიკა ექვემდებარება ევროკავშირის (EU) კომპეტენციას. მისი ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება 2009 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდა, რომელსაც ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულება (TEC)¹⁴ ეწოდა. ეს დოკუმენტი არეგულირებს საბაჟო კავშირის ფუნქციონირებას საქონლით ვაჭრობისას, აწესებს გადასახადებს მესამე ქვეყნებთან ტრანზაქციების დროს, არეგულირებს წევრ ქვეყნებთან გარიგების დროს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის პროცედურებს.

საბაჟო პროცედურები მჭიდროდ არის დაკავშირებული საბაჟო კანონებთან. საბაჟო კანონებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც საქონლის ექსპორტს და იმპორტს ახორციელებენ ევროკავშირის ზონიდან. საერთაშორისო საბაჟო პროცედურები უზრუნველყოფენ საქონლით ვაჭრობის სწორ და ეფექტურ მართვას. იმისათვის, რომ საქონელი მოექცეს საბაჟო პროცედურებში, ის უნდა იყოს დეკლარირებული, რომელსაც ახორციელებს დეკლარანტი, ასევე უნდა გაიაროს სხვადასხვა ფორმალობები საბაჟო საზღვარზე.

¹⁴ TEC – Treaty of the European Community.

თანამედროვე მსოფლიოში შემუშავებული ტექნიკური რეგულაციები (Technical Regulations) მოიცავს როგორც სავალდებულო ნორმებს, აგრეთვე ნებაყოფლობით დებულებებს. ისინი ვრცელდება წარმოებულ პროდუქტებზე ან მწარმოებლებზე. სავალდებულო ნორმებსა და ნებაყოფლობით დებულებებს შორის განსხვავება არსებითია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონტექსტში. განვითარებად ქვეყნებში ეროვნული საბაჟო კანონმდებლობა რჩება დომინანტურ, იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ მასალად, ხოლო ინდუსტრიული ქვეყნების მთავარ მამოძრავებელ წერტილს თანამედროვე სტანდარტების შემუშავება წარმოადგენს. მათ აქვთ შესაძლებლობა თავად აკონტროლონ თანამედროვე სტანდარტები და ადეკვატურად შეხვდნენ ტექნიკური პროგრესის შედეგად წამოჭრილ პრობლემებს, რათა დაიცვან თავიანთი რეპუტაცია და ეკონომიკური ინტერესი.¹⁵

2.2 სპეციალური საბაჟო ოპერაციები და მათი რეგულირება ქართული საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით

ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის,¹⁶ მოითხოვს ჰარმონიზაციის პროცესი კიდევ უფრო სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდეს, რაც მოიცავს როგორც უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში, ასევე, ეკონომიკური რეფორმების გატარებას, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვას და შესრულებას, თავისუფალ ვაჭრობაზე ხელშეწყობას, ჯანსაღი კონკურენციის არსებობას. საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება საქართველოს აძლევს ოპტიმალურ შესაძლებლობას, რომ უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესი კიდევ უფრო დააჩქაროს და გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.¹⁷

„საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია. საგარეო ვაჭრობა გლობალური ეკონომიკის ბრდის გასაღებს წარმოადგენს.“¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლი აღიარებს და იცავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას და სახელმწიფო ბრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და

¹⁵ იხ.: Trade Facilitation: Technical Regulations and Customs Procedures, Patrick A. Messerli and Jamel Sarouks, <https://d1wqtxts1xzle7.cloudfront.net>

¹⁶ იხ.: ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>.

¹⁷ იხ.: Customs procedures used in trade, 2023, 2, https://media.proquest.com/media/hms/PFT/1/el02R?_s=%2FZAw09AUy-USQe9rvv%2FBHZ9yfitg%3D.

¹⁸ ხარაზი ი., საქართველოს გზა გლობალურ სავაჭრო სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად /საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები/, ურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #2 (77), 2023, 45.

ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ საქართველოსთვის განაპირობა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე ორიენტაციის აღება და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკისათვის მთავარ პრიორიტეტად იქცა წარმატებული ინტეგრაცია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში.¹⁹

ჰარმონიზაციის პროცესი ეხება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ფორმირებას, მისი ნორმების სრულყოფაში მოყვანას საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან. საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ეროვნულ საბაჟო კანონმდებლობასთან მოითხოვს მსგავსი საბაჟო პროცედურების შემუშავებას, სადაც შეიძლება მოექცეს საქონელი. ყველა ის სახელმწიფო, რომელსაც ევროკავშირი აერთიანებს, მათ შორის ის ქვეყნები, რომლებსაც სურთ გახდნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ვალდებული არიან შეიმუშაონ ერთმანეთის მსგავსი საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციები. სპეციალური ოპერაციების მოდერნიზაცია მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნიკებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქონლის ექსპორტსა და იმპორტს, რომელსაც იზიარებს საქართველოც. თუმცა, არსებული პრაქტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სპეციალური საბაჟო ოპერაციები მათი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, დღემდე ამოუცნობი და სრულყოფილად შეუსწავლელია.²⁰

სპეციალური საბაჟო ოპერაციები აერთიანებენ საბაჟო პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით. საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ხორციელდება საბაჟო პრინციპების საფუძველზე. სავალდებულოების პრინციპის თანახმად, საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საზღვარზე გატანა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული სპეციალური საბაჟო ოპერაციის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, პირის უფლება, თავად აირჩიოს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია – შეზღუდულია. თუმცა, აღნიშნული სპეციალური პრინციპი უზრუნველყოფს საბაჟო საზღვარზე თავიდან იქნას აცილებული საქონლის თუ სატრანსპორტო საშუალების ქაოსური გადაადგილება და ბევრად უფრო მარტივია საბაჟო კონტროლის განხორციელება. სპეციალური პრინციპი არის იმპერატიული, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ მხარეებს არა აქვთ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ ან დაადგინონ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, პირს სპეციალური პრინციპის იმპერატიული ხასიათი არ ართმევს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს შეთავაზებული საბაჟო პროცედურებიდან ერთ-ერთი და თავად განსაზღ-

¹⁹ იქვე. გვ.46.

²⁰ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძველები, 2021, 113; ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ. 2013; ლექციების კურსი, <https://www.sou.edu.ge/>.

ვროს, რომელ სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოექცეს მისი საქონელი.²¹ იმპორტული საქონელი, შესაძლოა გადამუშავდეს მხოლოდ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.²² ასევე, არსებობს ნუსხა იმ საქონლის ჩამონათვალის, რომლის განადგურებაც დაუშვებელია და მას იცავს სამართლებრივი რეგლამენტი.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას წარმოიქმნება გარკვეული წინააღმდეგობები, სწორედ ამიტომ უნდა განისაზღვროს კონკრეტული საქონელი და იგი უნდა მოთავსდეს კონკრეტულ სპეციალურ საბაჟო ოპერაციაში, ეს პროცესი მოიაზრება, როგორც კონკრეტული საქონლის მოთავსების პრინციპი. მაგალითად, როდესაც პირი იყენებს გარე გადამუშავების პროცედურას, ეს ნიშნავს, რომ ამ პირმა გარე გადამუშავებისთვის ნედლეული უნდა გაიტანოს საქართველოს საბაჟო საზღვრებს გარეთ გადასამუშავებლად,²³ რათა მან მიიღოს გადამუშავებული პროდუქტის სახე, რომელიც იქნება მოსახმარად ვარგისი. კიოტოს 1973 წლის კონვენციით – „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, ასევე, ევროკავშირის საბაჟო კოდექსით,²⁴ საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევა შეუძლიათ იმ პირებსაც, რომლებიც არ არიან ამ საქონლის მესაკუთრეები. ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ის შემთხვევები, როცა მოცემულ პროცედურაში საქონლის მოქცევას ესაჭიროება წინასწარი ნებართვა, მაგრამ ასეთი შემთხვევებში მოთხოვნები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.²⁵ საერთოდ, კიოტოს კონვენციით არის ორი რეჟიმი²⁶ – აქტიური და პასიური. გარე გადამუშავებას, როცა წარმოშობით ეროვნული საქონელი გადამუშავდა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ – უწოდებენ პასიურს.²⁷

²¹ მაგ., ექსპორტში, რეექსპორტში, იმპორტში და ა.შ.

²² Ana Maria, Mihaela Gabriela, Best Practices in Customs Procedures, Economic Journal, 2015, <https://www.econstor.eu/handle/10419/168967>; ასევე, იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს # 257-ე ბრძანებით (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე), დამტკიცებული ინსტრუქცია #12 -საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication>; ხარაზი ი., ხარაზი ქ., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2022, 581.

²³ იხ.: ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი #14), <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0>.

²⁴ The Union Customs Code (UCC), <https://taxation-gustoms.ec.europa.eu/gustoms-4/union-gustoms-code-en>

²⁵ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, 2007; ხარაზი ი., ხარაზი ქ., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2022; ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2013; ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2014; ჯგერენაია ე., საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002; ურიდია გ., არახამია მ., რუხაია ფ., საბაჟო რეჟიმები, თბ., 2005; ამილახვარი მ., საქართველოს საბაჟო სამართალი, თბ., 2007; Борисов К. Г., Международное Таможенное право, Учеб пособие – М. Изд. ун-та Дружба Народов 1997.

²⁶ 2019 წლის საბაჟო კოდექსის თანახმად, საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

²⁷ ჯგერენაია ე., საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002, 189.

მოცემული პრინციპი განსაკუთრებით მომგებიანი იყო 90-იანი წლების საქართველოში, როდესაც ხშირი იყო საქონლის დატაცების შემთხვევები. სწორედ ამ დროს ყალიბდებოდა ქვეყანაში საბაჟო სისტემა, ხსენებული პრინციპი კი, მოითხოვდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონლის გატანის ვალდებულებას და ამისთვის აწესებდა გარკვეულ გარანტიებს. საქონელი თავსდებოდა დროებით საწყობებში, ამით კი, მფლობელი დაცული იყო საქონლის დაკარგვისგან. საბაჟო ორგანო მოითხოვდა დროებით შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას (იმპორტში გაშვება), რაც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულებას (საკუთრივ იმპორტის გადასახადი 5,12%, დღგ და აქციზური საქონლის შემოტანისას – აქციზი). როდესაც საქონელი გაივლის საბაჟო საზღვარს, მასზე ხორციელდება საბაჟო დამუშავების ოპერაცია, რაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საქონელი იქნება დაცული ამ ტერიტორიაზე. რაც შეეხება საქონლის დროებით საწყობში მოთავსებას, რითაც უზრუნველყოფილია საქონლის დაცვა, მასზე არ ვრცელდება იმპორტის გადასახადის გადახდის ვალდებულება. საბაჟო საწყობის მფლობელი იხდის მხოლოდ სანებართვო მოსაკრებელს და არ იხდის სახელმწიფო გადასახადს.²⁸

მხარე ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სპეციალურ საბაჟო ოპერაციას, რაც გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმ საქონლის შემოტანას ან გატანას, რომელიც არ არის აკრძალული. მოცემულ პრინციპს საბაჟო კანონმდებლობაში სპეციალური ოპერაციისადმი დამორჩილების პრინციპი ეწოდება. ხსენებული პროცედურა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ და უზრუნველყოფილ საკუთრების უფლებას. ასევე, აღნიშნული ოპერაცია თანხვედრაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებულ ქონებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლებასთან.²⁹ მესაკუთრეს, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანს საქონელს ან სატრანსპორტო საშუალებას, უფლება აქვს ამ ქონებაზე განახორციელოს ნებისმიერი ქმედება თუმცა, ეს ქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და არ უნდა არღვევდეს პირის უფლებებს.³⁰

სპეციალური საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაციას შესაძლოა შევხვდეთ მეცნიერთა მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებსა თუ სამეცნიერო ჟურნალებში. სპეციალური საბაჟო ოპერაციის პირველ ჯგუფს, რომელსაც ასევე, საბაჟო დამუშავების ოპერაცია

²⁸ იხ.: ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი, მ.3, პ. ს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=95>.

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7>.

³⁰ John M. OLIN CENTER LAW, ECONOMICS, AND BUSINESS, THE NUMERUS CLASUS PRINCIPLE, PROPERTY CUSTOMS, AND THE EMERGENCE OF NEW PROPERTY FORMS, HARVARD, 2015, http://www.law.harvard.edu/programs/olin_center/papers/pdf/Smith_865.pdf.

ეწოდება, განეკუთვნება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ორგანიზაციების მიერ, სხვა სახელმწიფოებში ეროვნული წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში საბაჟო და სავაჭრო სისტემის განვითარებას და წინსვლას. კლასიფიკაციის მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი სპეციალური საბაჟო ოპერაცია, როდესაც საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას, საბაჟო ორგანო სთავაზობს საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადამადგილებელ პირს მომსახურების გაწევას, მაგალითად, როდესაც მხარეს შეუძლია პროდუქცია, რომელსაც ის საბაჟო საზღვარზე შემოიტანს – მოათავსოს საბაჟო საწყობში. სპეციალური საბაჟო ოპერაციის კლასიფიკაციაში გვხვდება ისეთი ოპერაციები, როდესაც ხორციელდება საქონლის შიდა და გარე გადამუშავება, ასევე მატერიალურად უზრუნველყოფა სახელმწიფო ორგანიზაციების, რომლებიც წარმოადგენენ თანამეგობრობის წევრებს და ახორციელებენ სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობას. სპეციალური საბაჟო ოპერაციის შემდეგი სახეა ისეთი ოპერაციები, როდესაც წყდება სახელმწიფოებს შორის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და ფორმალურად ხორციელდება საქონლის განადგურება. მოცემული სპეციალური საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაცია ეფუძნება არა მხოლოდ ქართულ საბაჟო კანონმდებლობას, ასევე, საზღვარგარეთის საბაჟო კანონმდებლობასაც.

ევროკავშირისა და ევროსაბჭოს საბაჟო კანონმდებლობა წარმოგვიდგენს სპეციალური საბაჟო პროცედურების შემდეგ კლასიფიკაციას: საბაჟო საწყობი, ტრანზიტის პროცედურა, თავისუფალი ზონა, დროებით შემოტანა, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება. ეს არის სპეციალური პროცედურების ჩამონათვალი, სადაც შეიძლება მოექცეს საქონელი.³¹ საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაცია უზრუნველყოფს საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებით და სტანდარტებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას: გამჭვირვალობის, მოდერნიზაციის, მორალური და ორგანიზაციული კულტურის, ასევე, კერძო სექტორთან ურთიერთობის განხორციელებას. სპეციალური საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ხორციელდება საქონლის გადაადგილება, რა სირთულის სპეციალურ ოპერაციას ირჩევს მხარე, რომელი საბაჟო-საგადასახადო შეღავათები ვრცელდება კონკრეტულ სპეციალურ ოპერაციაზე და ა. შ.

საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილია საქონლის შემოტანის, გატანისა და გაფორმების წესები. სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას, საგადასახადო ვალდებულებას განსაზღვრავს ექსპორტის ან იმპორტის გადასახდელების

³¹ იხ.: Editors Luc De Wulf, Jose B. Sokol, Customs Modernization Handbook, <https://documents1.worldbank.org/curated/en/850061468779087644/pdf/31477.pdf#page=241>.

განაკვეთები. მოცემულ შემთხვევაში, ინდემწარმე ს. ხ-ს შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე ეცნობა, რომ წარედგინა ავტომანქანა საბაჟო კონტროლის ზონაში, შეტყობინების მიღებიდან 5 კალენდარულ დღეში. მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინება ადრესატს დროულად ჩაბარდა, მას არ წარუდგენია ავტოსატრანსპორტო საშუალება საბაჟო კონტროლის ზონაში და სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა არ განხორციელებულა. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოავლინა სამართალდარღვევის ფაქტი. ყველა გარემოება სრულად იქნა გამოკვლეული საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი დავის მიმდინარეობისას საქმის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული. ხოლო ინდემწარმე ს.ხ-ს სარჩელი, რომლითაც მან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართა, არ დაკმაყოფილდა, რადგან შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული სადავო აქტები კანონშესაბამისად იქნა აღიარებული.³² სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, იხელმძღვანელა საერთაშორისოდ აღიარებული და დამკვიდრებული პრაქტიკით. ეს და მრავალი სასამართლო გადაწყვეტილება, ადასტურებს საქართველოს მხრიდან დიდ მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მას სურს ევროინტეგრაცია. ქართული საბაჟო კანონმდებლობა ყალიბდება საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების საფუძველზე, გათვალისწინებულია უამრავი რეკომენდაცია, გატარებულია რეფორმები, ქვეყანაში ინერგება საერთაშორისო პროექტები, აქტიურად მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვა, უცხოელი მეწარმე სუბიექტების დაინტერესება ადგილობრივი ბაზრით, მათთვის ეკონომიკურად მომგებიანი შეთავაზებების გაკეთება.

2.3. საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების გამოყენება

ბოლო წლებში, საქართველოში ფუნდამენტური რეფორმები განხორციელდა საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და სავაჭრო პროცედურების გამარტივების მიზნით. ამ რეფორმებით, საქართველო ერთ-ერთ ლიბერალურ სახელმწიფოდ იქცა. საგარეო ვაჭრობის მიზანი მსოფლიო ეკონომიკის ისეთი მოწყობაა, რომ გაიზარდოს მისი წევრი სახელმწიფოების ან

³² იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/31018/0>.

საერთაშორისო რეგიონული გაერთიანებების კეთილდღეობა. მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დიდ და სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეებს წააწყდა და თუმცა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით, მოახერხა საგარეო ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ლიბერალიზაცია.³³

სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, განვიხილავთ რამდენიმე საქონლის დამუშავების ოპერაციას.

სპეციალურ ოპერაციას წარმოადგენს ტრანზიტი,³⁴ რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს.³⁵ ტრანზიტის პროცედურით ტვირთის გადაადგილება ხდება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნიდან ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან პირიქით.³⁶ ტრანზიტით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა შემოიფარგლება სახელმწიფოების სუვერენიტეტის დაცვის გარანტიებით. დღესაც, სწორედ ეს გარემოება ხდის სადავოს ტრანზიტის დაშვების საკითხს სახელმწიფოებისთვის, რადგან სწორედ კონკრეტული სახელმწიფო წყვეტს რამდენად სურს მას, დაუშვას მის სუვერენულ ტერიტორიაზე ტრანზიტის პროცედურით საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება. ტრანზიტით სარგებლობის დროს, დაუშვებელია შეილახოს სატრანზიტო სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებები, სწორედ ამიტომ სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა, ისარგებლოს ტრანზიტის პროცედურით, გახდეს სატრანზიტო ქვეყანა, თუმცა ამასთანავე, დააწესოს გარკვეული მოთხოვნები და შეზღუდვები მის ტერიტორიაზე. ასეთი შეთანხმებები სახელმწიფოებს შორის წარმოებს ორმხრივი ან მრავალმხრივი მოლაპარაკებების სახით, რომელიც მოიცავს სატრანზიტო მოძრაობის უფლებებს, კვოტებს და ნებართვებს სხვადასხვა სატრანზიტო ოპერაციების განსახორციელებლად. არსებული პრაქტიკისა და წესების საფუძველზე ფორმდება ორმხრივი სატრანზიტო და სატრანსპორტო ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სატრანზიტო პროცედურებით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობას. მაგალითად, სატრანსპორტო მარშრუტების შერჩევის წესს, ვიზების, ნებართვების/კვოტების, საბაჟო დოკუმენტების გაცემის წესს. ასევე, ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში წარმოდგენილია საგზაო უსაფრთხოების წესები, მოსახლეობის დაცვის გარანტიები მოსალოდნელი რისკებისგან დასაცავად, ავარიების შემთხვევაში, ფინანსური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.³⁷ საქართველოში

³³ იხ.: Georgian International Journal of Science, Possibilities For Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia, file:///C:/Users/joni/Desktop/saqartvelo%20da%20wto.pdf.

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (დანართი #7).

³⁵ საქართველოს საბაჟო კოდექსი, თავი XIX, მ 118-121, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=7>.

³⁶ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. თბ., 2002, 154.

³⁷ იხ.: Freedom of Transit and Regional Transit Arrangements, UNCTAD Trust Fund for Trade Facilitation Negotiations, Technical Note 8. https://unctad.org/system/files/official-document/TN08_FreedomofTransit.pdf.

ტრანზიტი ვრცელდება იმ უცხოურ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელიც გადაადგილდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით. საქონელი გადაადგილდება გამგზავნი საბაჟო გამშვები პუნქტიდან დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტამდე და მთავრდება საბაჟო ოფისში საქონლის და TAD-ის (ტრანზიტის თანმხლები დოკუმენტი)³⁸ წარდგენით, ტრანზიტის წესების შესაბამისად. ტრანზიტის პროცედურა არ წარმოშობს იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულებას. ასევე, არ გამოიყენება დამცავი ღონისძიებები საქონლის მიმართ, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან გატანა აკრძალულია.

ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად,³⁹ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან კანონიერების ფარგლებში, უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი ვაჭრობისთვის პირობების შექმნა, თავიდან აიცილონ თაღლითობა, უკანონო ვაჭრობა, მოახდინონ შეუფერხებელი ტრანზიტით სარგებლობა, რასაც ითვალისწინებს „1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები.“⁴⁰ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, საგზაო ტრანსპორტით გადაადგილების მაგალითია TIR კარნეტი,⁴¹ რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო გადაზიდვას, იგი ამარტივებს საქონლის გადაადგილების დროს საბაჟო ფორმალობების ჩატარებას, მათ შორის, საქონლის შემოწმებას, დოკუმენტების დათვალიერებას და აწესებს გარანტიებს საბაჟო გადასახადებზე. TIR კარნეტით სარგებლობა ასევე გამართლებულია, რადგან დაცულია ტვირტის გადაადგილების დროს მისი უსაფრთხოება. TIR კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მრავალი პროექტი შეიმუშავეს, რათა ეროვნულ საბაჟო სისტემებს შორის უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა უსაფრთხო გაცვლა, რომელიც უკავშირდება საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების ან კონტეინერების საერთაშორისო სატრანზიტო გადაადგილებას. ტვირტის დროებით შემოტანა ან ტვირტის ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ATA კარნეტის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საბაჟო დოკუმენტს და იგი უთანაბრდება სატვირთო საბაჟო დეკლარაციას. ATA კარნეტის გამოყენებით ნაკლები ფინანსური რესურსია საჭირო ტვირტის გადასადგილებლად, ასევე დაცულია საბაჟო უსაფრთხოება და გარანტირებულია საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე

³⁸ TAD – Transit Accompanying Document .

³⁹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>.

⁴⁰ იხ.: Energy Charter Treaty and its Role in International Energy, 24j. Energy Nat. Resources L. 523 (2006), <https://heionline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jenri24&div=38&id=&page=>.

⁴¹ ხარაზი ი., ხარაზი ქ., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, მეორე გამომუშავებული გამოცემა, დამხმარე სახელმძღვანელო, 2022, 713–714.

შემოტანა ზედმეტი ფორმალობების გარეშე, რაც ზოგავს, როგორც დროს, ასევე ფინანსებს და ეკონომიკური ინტერესები მეტად დაცულია.⁴²

აქვე დასკვნის სახით: რა სარგებლობა მოაქვს ტრანზიტს ქვეყნისათვის მაშინ, როდესაც იგი არ იბეგრება?⁴³ ეკონომიკური თვალსაზრისით, ტრანზიტი საქართველოსათვის მოგების მომტანი არ არის, მაგრამ იქმნება ქვეყნის ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად კეთდება მაგისტრალეები, იგი გარკვეულწილად, რეკლამას უკეთებს ქვეყანაში დამზადებულ პროდუქტს და ა. შ.

საქონლის საბაჟო დამუშავების სპეციალურ ოპერაციას წარმოადგენს საბაჟო საწყობის პროცედურა,⁴⁴ რომელიც არის სტრატეგიული ობიექტი.⁴⁵ იგი იძლევა შესაძლებლობას საბაჟო ტერიტორიის გარეთ, სახელმწიფომ განათავსოს უცხოური საქონელი ისე, რომ მასზე არ გავრცელდეს გადასახადები. საბაჟო საწყობით სარგებლობა მეწარმეებისთვის მომგებიანია, რადგან მათ ზედმეტი ფორმალობების და დანახარჯების გარეშე შეუძლიათ მოათავსონ საქონელი საბაჟო საწყობში. საქონლის მოთავსება ხდება ლეგიტიმურად, კანონიერად და დაცულია ყველა ფორმალობა. მას შემდეგ, რაც მეწარმე მოათავსებს საქონელს საბაჟო საწყობში და ამის შემდეგ აღმოაჩენს, რომ სხვა ქვეყანაში უფრო მომგებიანი იქნება საქონლის რეალიზაცია, მეწარმეს შეუძლია ეს საქონელი უკან გაიტანოს ყოველგვარი საბაჟო დანახარჯების გარეშე, რადგან ეს საქონელი ფაქტობრივად, ამ ქვეყანაში არ იყო შემოტანილი. საბაჟო საწყობით სარგებლობა მისაღებია მეწარმეებისთვის, რადგან მათ არ უწევთ იმპორტის ან ექსპორტის პროცედურების გავლა, საბაჟო დოკუმენტაციის მომზადება და დამატებით, საბაჟო ფორმალობებში დროისა და ფინანსების ხარჯვა. საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსების შემდგომ, არსებობს პრეზუმფცია მასზე საბაჟო პროცედურების განხორციელების შესახებ – შეიძლება საქონელი მოექცეს იმპორტის, რეექსპორტის ან სხვა საბაჟო პროცედურაში.⁴⁶

კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი – F, საქონლის საბაჟო გადამუშავების ოპერაციებს ეხება, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისგან განსხვავებულ რეჟიმებს. თითოეული რეჟიმი ინდივიდუალურია და დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ხდება საქონლის გადამუშავება, საბაჟო ტერიტორიაზე თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, თუ დაბრუნების პირობით.⁴⁷ თითოეული პროცედურით განისაზღვრება ბაჟების,

⁴² იქვე. 2022, 717-718.

⁴³ დღეს, ტრანზიტი არ იბეგრება, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთები, რამეთუ საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციას „ტრანზიტის შესახებ“ და „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ კონვენციას, თუმცა შევნიშნავთ, რომ რიგი ქვეყნები ტრანზიტს ბეგრავს.

⁴⁴ იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი #9).

⁴⁵ იხ.: MATEC Web of Conferences 375, 01005 (2023) Customs procedures used in trade, customs warehousing, <https://www.proquest.com/openview/d9525949f4d630ed08986815ad904c34/1?pq-origsite=gscholar&cbl=2040549>.

⁴⁶ იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანება, „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი N9), მ.1.პ.1, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf>

⁴⁷ ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, 2006. ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006.

გადასახადების გადახდის წესი, საქონლის ოპერაციაში მოთავსების, ოპერაციის დამთავრების წესი. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს შიდა გადამუშავების პროცედურაში მყოფი საქონლის მიმართ განხორციელდეს განსაზღვრული ქმედებები, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს საქონლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის⁴⁸ თერთმეტნიშნა დონეზე შეცვლა.⁴⁹

გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცევის შედეგად, საქონელი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს იმპორტის დროს წარმოქმნილი გადასახადებისგან.⁵⁰

ჩვენი მოსაზრებით, გადამუშავების სპეციალური ოპერაციები წარმოდგენილია კომპლექსური ხასიათის ნორმატიულ აქტებში, რის გამოც იგი გამოირჩევა უაღრესი დაქსაქსულობით, ფინანსთა სამინისტროს და კონკრეტულად, საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიღებული დიდი რაოდენობის სამართლებრივი აქტები საჭიროებს გარკვეულ სისტემატიზაციას საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებთან, კერძოდ, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან დაახლოებას.

კიოტოს კონვენცია არის ის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებს სპეციალურ პროცედურებს. „გადამუშავების პროცედურას ეძღვნება კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი F, რომელიც შედგება ოთხი თავისგან: საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმი, საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმი, დაბრუნების რეჟიმი, თავისუფალი მიმოქცევისათვის გადამუშავების რეჟიმი. თითოეული განსაზღვრავს გადამუშავების ოპერაციების გამოყენების სფეროს, ოპერაციაში საქონლის მოთავსების, საქონლის ყოფნის და მისი მოქმედების დამთავრების წესს და აგრეთვე, ბაჟების და გადასახადების გამოყენების წესს.⁵¹

საქონლის შიდა და გარე გადამუშავების პროცედურებში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს გამოსავლიანობის ნორმის დადგენა წარმოადგენს. გამოსავლიანობის ნორმა ეს არის გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად (მაგ.: საქართველოში შემოიტანეს 2000 ლიტრი სპირტი და მისგან დაამზადეს 1600 ლიტრი არაყი, გამოსავლიანობის ნორმა იქნება 1600 ლიტრი).

⁴⁸ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა.

⁴⁹ საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ.116, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=6>.

⁵⁰ იხ.: Customs procedures used in trade, European Union customs procedures, 2, Customs procedures used in trade – ProQuest.

⁵¹ იხ.: ხარაზი ი., „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, დისერტაცია, თსუ, 2006; 62; ხარაზი ი., გადამუშავების საბაჟო რეჟიმის სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), თბილისი, 2006.

საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციას განვიხილავთ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.⁵² სარჩელის საფუძველი იყო შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: მოპასუხემ არასწორად დააჯარიმა საწარმო საქონლის⁵³ დროებითი შემოტანისთვის დაწესებული დღგ-ის არასრულად გადახდის გამო, რადგან საწარმოს საერთოდ არ ეკუთნოდა 3% გადასახადის გადახდა. მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომლის თანახმად, მოსარჩელემ #44997 საბაჟო დეკლარაციით დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში შემოიტანა საქონელი, რომლის შემოტანა იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებულია⁵⁴ ნაწილობრივ, შესაბამისად, მას ეკისრებოდა ვალდებულება სრულად გადაეხადა ამ საქონლის იმპორტის რეჟიმში მოქცევისთვის განკუთვნილი საბაჟო გადასახდელები⁵⁵ (გარდა საბაჟო მოსაკრებლის 3%). საწარმოს მიერ შემოტანილი საქონლის დასახელება არ ფიგურირებს საბაჟო კოდექსის⁵⁶ 128-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია საქონლის დროებითი შემოტანის რეჟიმში იმპორტის გადასახდელების გადახდისგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ამომწურავი ჩამონათვალი. საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით დადგენილია საშელავათო რეჟიმი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომეკლატურა⁵⁷ სამოქალაქო ავიაციისათვის განკუთვნილ საქონლის იმპორტზე, რაც სრულად ათავისუფლებს პირს ავიაციისთვის განკუთვნილი გადასახადის გადახდისაგან. ვინაიდან შემოტანილ საქონელს წარმოადგენდა თვითმფრინავის ორი საბურავი, საბაჟო ორგანოს საწარმო უნდა მიეჩნია გადახდისაგან გათავისუფლებულ სუბიექტად. თუმცა, სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით, ვინაიდან იგი

⁵² იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2013w-administr-krebuli8.pdf>.

⁵³ შემოტანილი საქონელი (სასაქონლო კოდი: 880320010000) განეკუთვნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის 1 ნაწილის 32 პუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო ავიაციისთვის განკუთვნილ საქონელს, რომელიც იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია სრულად.

⁵⁴ იმპორტის გადასახდელების გათავისუფლების შესახებ იხ.: საგადასახადო კოდექსი, მ.199, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>.

ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მ.52-53; ხარაზი ი., საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამომც. გეორგიკა, თბ., 2014; ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), 2017, 674-697.

⁵⁵ გადასახდელების ცნების ქვეშ მოიაზრება როგორც გადასახადები (მაგ: დღგ, მოგება და სხვ.), ასევე საქონლის გაფორმებისა და შემოწმებისთვის დადგენილი მოსაკრებლები, რომლებიც არ არის გადასახადი, მაგრამ გადასახადებთან ერთად მოიაზრება „გადასახდელის“ ცნებაში.

⁵⁶ საუბარია 2006 წლის დღეს, უკვე ძალადაკარგულ საბაჟო კოდექსზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29944?publication=36>

⁵⁷ საუბარია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაზე (#241 2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“, თუმცა, სასამართლო დავის განხილვისათვის გამოიყენებოდა 2009 წლის ბრძანება, რომელიც ზემოაღნიშნული ბრძანებით გაუქმებულია.

გამოიყენება მხოლოდ იმპორტის და არა უცხოური საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების შემთხვევაში. ასევე, სასამართლომ არასწორად გამოიყენა საბაჟო კოდექსის 128-130-ე მუხლები, სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რომ საქონელი სრულად უნდა გათავისუფლებულიყო გადასახადისგან. რადგან შემოტანილი საქონელი განკუთვნილი იყო დროებითი შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად და არა თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად (იმპორტის პროცედურა). საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 390-ე და 410-ე მუხლებით და დაადგინა: არ დაკმაყოფილდეს სსიპ შემოსავლების სამსახურის და თბილისის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა შპს „საწარმოს“ სარჩელი.⁵⁸ საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ევროპული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე.

ამჟამად იმპორტირებული პროდუქცია ევროპის ბაზარზე შემოდის იმპორტის ზოგადი პროცედურების გამოყენებით, სადაც იმპორტიორი იხდის იმპორტის გადასახადებს სრული განაკვეთით. დროებითი იმპორტის პოლიტიკა არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც ავალდებულებს საქონლის შემომტან პირს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოახდინოს საქონლის რეექსპორტი. ზოგიერთი მკვლევარის მიერ იმპორტირებულ საქონელში აღმოჩენილ იქნა საშიში მასალები, რომლებიც აბინძურებენ წყალს, ნიადაგს და ჰაერს. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად დროებით შემოტანის პროცედურა, შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ნარჩენების სახელმწიფო ტერიტორიაზე დატოვება და დაბინძურება.

დასკვნა

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობების სინთეზი მეტად რთულ და საკამათო საკითხს წარმოადგენს თანამედროვე, განვითარებულ სამყაროში. არსებობს უამრავი სწორად თუ არასწორად კოორდინირებული კანონი და წეს-ჩვეულება, რომლებიც აფერხებენ საბაჟო დამუშავების ოპერაციების სწორად გამოყენებას. საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების გაზიარება და პრაქტიკაში გამოყენება ერთი შეხედვით მარტივ, თუმცა, ამავდროულად რთულ, ზოგიერთი სახელმწიფოსთვის კი, შეუძლებელ პროცესს წარმოადგენს. კანონმდებლობა, რომელსაც ხარვეზი აქვს და ვერ ვითარდება საერთაშორისო

⁵⁸ იხ.: გადაწყვეტილების სრული ვერსია <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2013w-administr-krebuli8.pdf> 2019/15/2.

მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მისი რეპუტაცია საგრძნობლად იკლებს, იწვევს განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან ნდობის დაკარგვას და ეკონომიკურ დესტაბილიზაციას. სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ თავიანთი ვალდებულებები, რადგან შეძლონ შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

ევროკავშირში საბაჟო პროცედურების მოდერნიზაციის მიმდინარე პროცესში, პროცედურების ფართომასშტაბიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებში, მათი ეფექტიანი და ერთგვაროვანი გამოყენების შესაძლებლობა სულაც არ გულისხმობს იგივე პრაქტიკის კომპილაციას ან კიდევ დამკვიდრებას განვითარებად ქვეყნებში. ახალი საბაჟო პროცედურების ერთგვაროვანი გამოყენება აუცილებელია ყველა სახელმწიფოსთვის, რომელსაც სურს გახდეს ევროკავშირის დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, რითაც შესაძლებელი გახდება შიდა ბაზრის ერთიანობის უზრუნველყოფა.

მთავარ პრობლემას სხვადასხვა ფუნქციონირების განსაზღვრა წარმოადგენს, თუმცა ამგვარი მიდგომები ევროკავშირში დაუშვებელია, რადგან ევროკავშირი ხელს უწყობს ერთიან მიდგომებს ვაჭრობისა და უსაფრთხოების მიმართ. ევროკავშირის საბაჟო კავშირი წარმოადგენს ისეთ გაერთიანებას, სადაც მისი წევრი ქვეყნები მიმართავენ ერთიან სისტემას, ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის მართვისთვის ერთიანი წესების დამკვიდრებით. მოდერნიზებული ევროკავშირის საბაჟო სისტემის განვითარების მთავარი ტენდენციაა ახალი კონცეპტუალური და პრაქტიკული სისტემებისა და ინსტრუმენტების მუდმივი ფორმირება და ამოქმედება, ეროვნული საბაჟო ადმინისტრაციების საქმიანობის შემდგომი უნიფიკაციისთვის, რაც მიზნად ისახავს საბაჟო ადმინისტრაციის ერთიანი ფუნქციონირის სტრუქტურის ჩამოყალიბებას. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის სინთეზი შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთის მსგავსი მიდგომების დაწესებით, უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოთა მხრიდან „საუკეთესო პრაქტიკის“ დამკვიდრება. მათ შორის უსაფრთხოების კონტროლი.

სახელმწიფოსთვის მეტად მომგებიანი იქნება თუ სამთავრობო წესების ინტერნალიზებას მოახდენს და მმართველობით ფუნქციას საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან სრულ შესაბამისობაში განახორციელებს. დღესდღეობით, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს პრინციპი, რომელიც ე. წ. „გამარტივებული პროცედურების“ სახელით არის ცნობილი.

ჭეშმარიტებაა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მოითხოვს საბაჟო ორგანოების ფუნქციური როლის შესწავლას ყველა ქვეყანაში. საბაჟო სისტემა განსაზღვრავს საერთაშორისო ვაჭრობის სიმარტივეს, საერთაშორისო მიწოდების უსაფრთხოებას და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. ამისათვის აუცილებელია, საუკეთესო პრაქტიკის პრინციპზე დაყრდნობით,

სახელმწიფოებმა შექმნან საბაჟო სისტემა, რომელიც დანერგავს დინამიკურ, საბაჟო ადმინისტრაციების ერთიან კონცეპტუალურ სტრუქტურას.

თეორიული და პრაქტიკული მაგალითების კომპლექსურად განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნები საბაჟო პროცედურებთან და საბაჟო დამუშავების ოპერაციებთან დაკავშირებით. ევროკავშირის საბაჟო პროცედურების ფორმირება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მეშვეობით, მაგალითის მოძებნა სხვა სახელმწიფოებისათვის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საქონლის საბაჟო დამუშავება, რომელიც იქნება ორიენტირებული ნაკლები დროის, ფორმალობების და პროცედურების გავლაზე, ამავდროულად, მას ექნება დიდი ეკონომიკური სარგებელი თითოეული სახელმწიფოსთვის. პრაქტიკოს იურისტთა თუ მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრებები, რომ საბაჟო დამუშავების ოპერაციები გამოირჩევიან ბუნდოვანებითა და დაქსაქსულობით. თუმცა, თუ სახელმწიფოები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გამოიყენებენ ევროკავშირის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, იხელმძღვანელებენ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, მკვეთრად გაუმჯობესდება საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციების წარმოების წარმოება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ოპერაციების სამართლებრივი ბუნება ჯერ კიდევ, სრულყოფილად არაა შესწავლილი და დამუშავებული არა მარტო ქართულ, არამედ საზღვარგარეთის სამეცნიერო ნაშრომებშიც და ღრმა პოლემიკა არ არის გავრცელებული აღნიშნული საბაჟოსამართლებრივი ინსტრუქტუის შესახებ. ჯერ კიდევ, არაა სრულყოფილად გაცემული პასუხი კითხვაზე – რა არის სპეციალური ოპერაცია და რატომ ჰქვია საერთოდ ოპერაცია, რატომ ვამბობთ, რომ სპეციალური ოპერაცია არის ამოსავალი მთლიანად საბაჟო ურთიერთობისა.⁵⁹

სპეციალური ოპერაციების პირობებში მოაზრებული უნდა იყოს გარემოებები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ მასში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსების შესაძლებლობას. ეს გარემოებები შეიძლება სხვადასხვა სახეს ატარებდეს.

ჯერ ერთი, ზოგიერთი ოპერაციის არჩევა დამოკიდებულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების სტატუსზე. კანონმდებელმა შეიძლება დაადგინოს სპეციალურ ოპერაციაში გარკვეული კატეგორიის საქონლის მოთავსების აკრძალვა მისი წარმოშობის, ქვეყნის, დასახელების, კლასიფიკაციიდან გამომდინარე, საქართველოს შესაბამისი კოდის, აგრეთვე სხვა

⁵⁹ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძველები, 2021, 113; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, 2010, 606; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომც. გეორგიკა, თბ., 2002; ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2013; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, <https://www.sou.edu.ge>; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021; ხარაზი ი.; ხარაზი ქ., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, 2022.

მახასიათებლების მიხედვით. ასე მაგალითად, უცხოური საქონლის მიმართ საქართველოში შემოტანისას და მისი საწყობში განთავსებისას, გამოიყენება საბაჟო საწყობის სპეციალური ოპერაცია; საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავებისას – შიდა გადამუშავების სპეციალური ოპერაცია და ა.შ.

მეორე, რიგ სპეციალურ ოპერაციებს პირი გამოიყენებს მხოლოდ განსაზღვრული მოქმედების შესრულების დროს. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი ექვემდებარება გატანის ვალდებულებას.

გარკვეულ სპეციალურ ოპერაციაში საქონლის მოთავსების საფუძველს წარმოადგენს საბაჟო ორგანოს წერილობითი ნებართვა, რომლის მიღება ასევე, სპეციალური ოპერაციის პირობას წარმოადგენს (მაგ: ტრანზიტი, დროებითი შემოტანა და ა. შ.).

საბაჟო ორგანოს ნებართვის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ლიცენზია, რომელიც საჭიროა მაგალითად, საქონლის გადამუშავების ოპერაციის გამოყენებისათვის.

მესამე, სპეციალურ ოპერაციაში საქონლის მოთავსება განპირობებული უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი ან პირიქით, არახელსაყრელი შედეგების აღმოფხვრის შესაძლებლობით. კერძოდ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შიდა გადამუშავებისას, გადასამუშავებელი საქონელი აღნიშნულ ოპერაციაში შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გადამუშავება ხელს შეუწყობს გადამუშავების პროდუქტების გატანას ან საქართველოს საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებას ან კიდევ, საბაჟო ორგანო არ გასცემს საქონლის განადგურებაზე ნებართვას, თუ განადგურების შედეგად შეიძლება არსებითი ზიანი მიადგეს ბუნებრივ გარემოს, აგრეთვე, თუ განადგურებას სახელმწიფოსათვის მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ხარჯები და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს საბაჟო კოდექსი;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.“

კანონქვემდებარე აქტები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“;
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს # 257 ბრძანებით (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე) დამტკიცებული ინსტრუქცია #12 „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“;
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (დანართი #7);
4. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი #2);
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება, „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი #9);
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაზე (#241 2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურას (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე.“

ლიტერატურა:

1. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021;
2. ხარაზი ი., ხარაზი ქ., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2022;
3. ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013;
4. ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, 2014;
5. ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, 2015;
6. ჯგერენაია ე., საბაჟო ტექნოლოგიის საკითხები, 2002;
7. ამილახვარი ზ., საბაჟო სამართალი, 2007;
8. Борисов К. Г., Международное таможенное право, Учеб пособие – М. Изд. ун-та Дружби Народов 1997.

SPECIAL CUSTOMS PROCESSING PROCEDURES AND APPLICATION OF GOODS TAXATION MECHANISMS ACCORDING TO NATIONAL AND INTERNATIONAL CONVENTIONS

IA KHARAZI

*Associate Professor of the Law Faculty of Sokhumi State University,
Visiting Professor of the Law Program of the Faculty of Business,
Law and Social Sciences of the Akaki Tsereteli State University*

TAMAR DVALISHVILI

*Master of Law Program of the Faculty of Business, Law,
and Social Sciences of the Akaki Tsereteli State University*

The article's relevance is related to the necessity of legal research on the modern foundations of customs control, which ensures the safe movement of goods and vehicles in the customs territory. With the introduction of innovative approaches, it is possible to increase the volume of foreign trade and cargo traffic on the borders of the customs union, which must be carried out in compliance with modern requirements and international standards. Foreign economic activities include economic, organizational, and legal aspects, which require constant modernization of customs and tariff instruments and strengthen entrepreneurial and scientific potential. The states are obliged to carry out customs control, customs inspection, and the operation of customs administrations while protecting the national security and interests of the country.

ფასიანი ქალაქდების ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული გამონაცემები საქართველოში

დავით მაისურაძე

*სამართლის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი,
კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრის დირექტორი*

ანნა კახიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი

შესავალი

აღიარებულია, რომ საქართველო საბანკო ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. საქართველოში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ძირითადად, ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით. ფასიანი ქალაქდების ბაზარი,¹ როგორც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ალტერნატიული საშუალება, განვითარებული არ არის და ვერ უწევს ეფექტიან კონკურენციას ფინანსურ ინსტიტუტებს.²

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: YS-22-2294; პროექტის სახელწოდება: „ეროვნული სტრატეგიების განვითარება ფასიანი ქალაქდების ბაზრის რეგულირებისა და ინვესტორთა დასაცავად – გამოწვევები და რეკომენდაციები“].

² განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში საბანკო ინსტიტუტების ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, დომინანციასთან დაკავშირებით, იხ.: Turner, John & Arun, Thankom. (2004). Corporate Governance of Banks in Developing Economies: concepts and issues. Corporate Governance: An International Review. 12. 371-377. 10.1111/j.1467-8683.2004.00378.x; Institute for Monetary and Financial Research, Hong Kong, Debt Markets in Emerging Economies: Major Trends (July 22, 2014). Hong Kong Institute for Monetary and Financial Research (HKIMR) Research Paper WP No. 17/2014, Comparative Economic Studies (2014), 56: 200-228, <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2469594>.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,³ საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელ სუბიექტად. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სუბიექტების ლიცენზირებას, განსაზღვრავს მათი ანგარიშვალდებულების წესებს და ფასიანი ქაღალდების შეთავაზების პროცედურას, ითანხმებს ემისიის პროსპექტის ფორმას. ამავდროულად, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც საქართველოს ცენტრალური ბანკი და ბანკთა ბანკი,⁴ ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებსაც, კერძოდ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკის ფუნქციებია, მათ შორის: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საფინანსო სექტორის ზედამხედველობა, ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება და საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირება. დასახელებული ორგანული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, „ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, ავტორიზებული სექიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების, საგადახდო სისტემის ოპერატორების“⁵ და სხვათა საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველის როლი საქართველოს ეროვნული ბანკს შეთავსებული აქვს 2008 წლიდან, როდესაც გაუქმდა ფასიანი ქაღალდების კომისია და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის განხორციელება დაიწყო საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულმა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ. თავის მხრივ, დასახელებული სააგენტო გაუქმდა 2009 წელს და საფინანსო ბაზრების ზედამხედველობის როლი პირდაპირ დაეკისრა საქართველოს ეროვნულ ბანკს.⁶

აქედან გამომდინარე, ერთი სახელმწიფო ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ მოექცა როგორც ფინანსური ინსტიტუტები, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

³ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 1-2, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467.

⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 1, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1676, 24/09/2009, გამოქვეყნების თარიღი 12/10/2009, სარეგისტრაციო კოდი 220.010.000.04.001.003.616.

⁵ იქვე, მუხლი 48.1.

⁶ იქვე, მუხლი 70.1.

აღნიშნული სტატიის მიზანია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის საქართველოს ეროვნული ბანკის ქვეშ ზედამხედველობის საკითხის მოკლე მიმოხილვა და გამოვთქვათ ვარაუდი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა კვლავ, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომისიის შექმნა და ამასთან, ჩამოვაცალიბოთ რამდენიმე რეკომენდაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების საკითხებთან მიმართებაში. ნაშრომის პირველი თავი განიხილავს კვლევის მეთოდოლოგიას და საკვლევ ლიტერატურას. ნაშრომის მომდევნო თავებში წარმოდგენილია ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების განხორციელების საკითხი, ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომისიის შექმნის მნიშვნელობა და სტეიკჰოლდერთა გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია და განხილული ლიტერატურა

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ავტორთა ჯგუფმა გამოიყენა ისეთი კვლევითი მეთოდები როგორცაა:

- ისტორიულ-სამართლებრივი კვლევითი მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციები, საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებები და მათი დასაბუთების ხარისხი. სტატიაში განხილულ იქნა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ევოლუცია საქართველოში.
- დოქტრინალური კვლევითი მეთოდი. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა შესაბამისი სამართლებრივი კონცეფციები, რეგულაციები და წესები. ასევე, განხილულ იქნა აკადემიური ლიტერატურა.
- არადოქტრინალური კვლევითი მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა საერთაშორისო რეგულაციების და სხვა ქვეყნების გამოცდილების მიმართება ქართულ ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით.
- შედარებითი კვლევითი მეთოდი. როგორც წესი, შედარებითი კვლევითი მეთოდი აქტიურად გამოიყენება ქართულ კვლევებში იმისათვის, რომ გავაანალიზოთ და განვიხილოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება. სტატიის ფარგლებში ავტორთა ჯგუფი იყენებს შედარებით კვლევით მეთოდს.

ამავდროულად, მკვლევარებმა შეიმუშავეს ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი და ორგანიზება გაუკეთეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებთან და მარეგულირებელთან ინტერვიუებს. სტატიის შექმნისას ასევე, გამოყენებულ იქნა პოლიტიკის ანალიზის მეთოდი.

ავტორთა ჯგუფმა შეისწავლა არსებული ლიტერატურა ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.⁷ ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია გამოიყოს წინამდებარე სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ერთიანი მარეგულირებელი ორგანოს არსებობის შემთხვევაში, რომელიც ზედამხედველობს როგორც ბანკებს, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარს, კრიტიკული მნიშვნელობისაა, სფეროს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით რეგულირება.
2. ერთიანი მარეგულირებელი ორგანოს არსებობის შემთხვევაში, აქტუალურია კონკურენციის საკითხი ბანკებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის ფინანსური ხელმისაწვდომობისა და რისკების მართვის თვალსაზრისით.
3. სტატიის მიზანია მოკლედ განიხილოს გამოყოფილი ორი საკითხის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მხრიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ასპექტები და გამოთქვას ვარაუდი ალტერნატიული მარეგულირებლის არსებობისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შესაძლო პოზიტიურ მხარეებზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი განვითარებადი ეკონომიკებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ფინანსებზე წვდომის მოპოვებას და განავითარონ კაპიტალის ბაზარი. კაპიტალის ბაზრის განვითარებას ექნება პოზიტიური გავლენა ინდივიდებისა და საწარმოების შესაძლებლობებზე, რომ მოიპოვონ შესაბამისი ფინანსური სერვისები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არის საფონდო ბირჟა,⁸ აღიარებულია, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ არის შესაბამისად განვითარებული. საფონდო

⁷ Ullah, S., Ullah, A. & Zaman, M. Nexus of governance, macroeconomic conditions, and financial stability of banks: a comparison of developed and emerging countries. *Financ Innov* 10, 30 (2024). <https://doi.org/10.1186/s40854-023-00542-x>; Schwarcz, Steven L., Systemic Risk. *Duke Law School Legal Studies Paper No. 163*, *Georgetown Law Journal*, Vol. 97, No. 1, 2008, <https://ssrn.com/abstract=1008326>; Latimer, P. (2013). How to Ensure Disclosure of Information in Securities Markets Post-GFC. *Common Law World Review*, 42(2), 111-136. <https://doi.org/10.1350/clwr.2013.42.2.0249>; Paccès, Alessio & Heremans, Dirk. (2011). Regulation of Banking and Financial Markets. 10.2139/ssrn.1914461; IMF Working Paper, Issues in the Unification of Financial Sector Supervision, Richard K. Abrams and Michael W. Taylor, 2000, <https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2000/wp00213.pdf>.

⁸ დამატებით იხ.: <http://gse.ge/en/>.

ბირჟას საქართველოში აქვს ყოველკვარტალურად მხოლოდ რამდენიმე ტრანზაქცია და წლიური ბრუნვა არის ძალიან დაბალი.⁹

საქართველოს ეკონომიკა ძირითადად, საბანკო ეკონომიკაა. კომპანიების და სტარტაპების აბსოლუტური უმრავლესობა საქმიანობის დაწყების მიზნით, ფინანსების მოზიდვას ბანკებიდან ახდენს. ფინანსური ინსტიტუტებიდან სესხის აღება არის მარტივი და სწრაფი საშუალება კომპანიების საქმიანობის დასაწყებად და ხელშესაწყობად. თუმცა, აღნიშნულ საკითხს ასევე, აქვს უარყოფითი მხარეც. საკმაოდ მაღალია ბანკის საპროცენტო განაკვეთი და კაპიტალის მოზიდვის ერთადერთ ძირითად საშუალებას ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, რაც ამცირებს სასესხო პორტფელის დივერსიფიცირების შესაძლებლობას. კაპიტალის მოზიდვის საშუალებების დივერსიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

მდგომარეობა ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით შეიცვალა 2007 წელს, როდესაც განხორციელებული რეფორმების შედეგად გაუქმდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია და ფასიანი ქაღალდების სფეროზე ზედამხედველობისა და კოორდინაციის ფუნქციები გადაეცა ჯერ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს და შემდეგ საქართველოს ეროვნულ ბანკს.¹⁰

საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია შესაძლოა განხილულიყო როგორც მათი მთავარი კონკურენტი – განსაკუთრებით, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისთვის დაფინანსების ალტერნატიული საშუალებების მიწოდების პროცესში. შესაბამისად, სავარაუდოდ, მაღალი იქნებოდა ფინანსური ინსტიტუტების დაინტერესება იმისათვის, რომ შეემცირებინათ ფასიანი ქაღალდების ბაზრის თვითმმართველი ხასიათი და წახეხილსებინათ საბანკო ფინანსური სერვისები, მაგალითად, სესხები.¹¹ ფინანსურმა ინსტიტუტებმა ერთი მხრივ, განათავსეს საფონდო ბირჟაზე სასესხო ფასიანი ქაღალდები, ხოლო მეორე მხრივ, დაიწყეს სტარტაპებისთვის ბიზნეს სესხების შეთავაზება. ამ დროისთვის, წილობრივი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე ბევრად ნაკლებია სასესხო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე. საფონდო ბირჟა, რომელსაც ზედამხედველობს ეროვნული ბანკი, ვერ უწევს კონკურენციას და ვერ სთავაზობს ფინანსებზე წვდომის უკეთეს შესაძლებლობებს ფიზიკურ და იურიდიულ

⁹ დამატებით იხ.: <https://gse.ge/reports>.

¹⁰ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 1-2, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1745, 24/12/1998, გამოქვეყნების თარიღი 14/01/1999, სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467.

¹¹ აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია გაუქმდა ვლადიმერ (ლადო) გურგენიძის პრემიერ-მინისტრობის დროს. ლადო გურგენიძე იყო საქართველოს ბანკის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი და ამჟამად არის ლიბერთი ბანკის აქციონერი და აღმასრულებელი დირექტორი.

პირებს. მაგალითად, კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა სტეიკჰოლდერებმა (აღნიშნული გამოკითხვის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაცნობით ქვემოთ არსებულ თავში) აღნიშნეს, რომ ემისიის პროსპექტის მომზადებისთვის საშუალოდ სჭირდებოდათ 5-7 თვე, მაშინ როდესაც საბანკო სესხის ასაღებად საკმარისი იყო რამდენიმე დღე.

განვითარებელი ფასიანი ქაღალდების ბაზრები პირდაპირ გავლენას ახდენენ ფინანსების წვდომაზე. აღნიშნული პრობლემა ასახულია საქართველოს სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ გამოჰყოფს საქართველოს მთავრობის სამ ძირითად მიმართულებას და ერთ-ერთი მათგანი არის ფინანსებზე წვდომის მოპოვება.¹² აღნიშნული სტრატეგია ხაზს უსვამს სტარტაპებისთვის ფინანსებზე წვდომის მოპოვების აუცილებლობას და ამავდროულად, მიაჩნებს, რომ სტარტაპებისთვის ფინანსებზე წვდომის მოპოვება პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, საქართველოში კაპიტალის ბაზარი, განსაკუთრებით ვენჩურული კაპიტალი, წილობრივი და სასესხო ფასიანი ქაღალდები, არ არის განვითარებული და საქართველოს მთავრობამ უნდა გააკეთოს უფრო მეტი იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებას.

საქართველოს სტრატეგიულ გეგმა 2030-ში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონტექსტში, მითითებულია 2030 წლისთვის განსახორციელებელი რეფორმები. დასახელებულ რეფორმებს შორის ერთ-ერთი მათგანია კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის დაკონკრეტებული საკუთრივ რეფორმის ასპექტები.¹³

საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამაში „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ მითითებულია, რომ „2024 წელს გაგრძელდება კაპიტალის ბაზრის სტრუქტურული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სახეობის, რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ზრდას, აგრეთვე ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე ინვესტორთა ბაზის განვითარებას.“¹⁴ განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის ჩამოთვლილია: ბონდების გამოშვების თანადაფინანსება, საინვესტიციო ფონდების განვითარება და აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების ხელშეწყობა.¹⁵

¹² სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო – 2020“, გვ. 56-62, http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf.

¹³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 10-წლიანი გეგმა, 2030, https://garibashvili.ge/ka/Directions2030/Item/ekonomikisa_da_mdgradi_ganvitarebis_saministro.

¹⁴ სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 2024, გვ. 34. https://www.gov.ge/files/68_87148_962637_355331.pdf.

¹⁵ იქვე, გვ. 34.

საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაში მითითებულია, რომ „კორპორატიული სექტორის ვალი უმეტესწილად, შედგება საბანკო სესხებისგან. 2018 წელს, 500 უმსხვილესი კომპანიის მთლიანი ვალის 41%-ს წარმოადგენდა საბანკო სესხი. საბანკო დაფინანსებაზე ზედმეტმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის ფინანსური რესურსის არაეფექტიანი მობილიზება.“¹⁶ აღსანიშნავია, რომ დასახელებულ სტრატეგიაში არ არის მითითებული ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების ცვლილებასთან დაკავშირებით. თუმცა, სხვა საკითხებს შორის აღნიშნულია ემისიის ჩარჩოს გადახედვა, იმისათვის, რომ უფრო მოქნილი იყოს ტრანზაქციების განხორციელება.¹⁷ ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებაში, უნდა ვიმედოვნოთ, რომ ივარაუდება ემისიის პროსპექტისთვის გათვალისწინებული სამართლებრივი მოთხოვნების გამარტივება.

ასევე, ხაზი უნდა გაუხსნათ იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ჩართულობით, საქართველომ განავითარა „მცირე და საშუალო ბომის საწარმოების განვითარების სტრატეგია 2016-2020,“ სადაც საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სტარტაპებისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის სფეროში არსებულ პრობლემებს და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას გამოჰყოფს, როგორც მის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.¹⁸

ანალოგიურ პრობლემებზე არის მითითება დოკუმენტში „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025.“ კერძოდ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მითითებულია როგორც პრიორიტეტი და აღნიშნულია, რომ „საქართველოს საფინანსო სისტემაში დომინირებს კომერციული საბანკო სისტემა (მთლიანი საფინანსო სისტემის 90%-ზე მეტი). საფინანსო ბაზრის სხვა მიმართულებები ნაკლებად არის განვითარებული. ამასთან, კარგად განვითარებული საფინანსო ბაზრები არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საწარმოების განვითარებისთვის.“¹⁹

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2017-2018 წლის ანგარიშის თანახმად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა დასახელდა როგორც საქართველოსთვის მეორე ყველაზე უფრო დიდი

¹⁶ საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია, გვ. 11, https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/kapitalisbazaris_strategia/2023/cmds_sakartvelos_kapitalis_bazrebis_ganvitarebis_strategia_2023_2028.pdf.

¹⁷ იქვე, გვ. 25.

¹⁸ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020, გვ. 18, http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/mcire_da_sashualo_mecarmeobis_ganvitarebis_strategia_2016_2020.pdf.

¹⁹ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025, გვ. 46, http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf.

პრობლემა ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით.²⁰ ასევე, იგივე ანგარიშის თანახმად, საქართველო იკავებს 131-ე ადგილს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, წილობრივი ფასიანი ქაღალდების მიხედვით; ამავდროულად, საქართველო არის მე-80 ადგილზე ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობის და 102-ე ადგილზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტაბილურობის თვალსაზრისით.²¹ შედარებისთვის, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის გაუქმებამდე, გლობალური კონკურენტუნარიანობის 2006-2007 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკავა 109-ე ადგილი წილობრივი ფასიანი ქაღალდების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.²² შესაბამისად, საქართველოს პოზიცია 10 წლის განმავლობაში გაუარესდა ოცი საფეხურით.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ხაზგასმულია გამოწვევების არსებობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, გამოწვევების აღმოსაფხვრელად აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფოს მხრიდან.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო არის საქართველოს ეროვნული ბანკი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად, „ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლს, პოტენციური რისკების შემცირებას.“²³ დასახელებული კანონის 52-ე მუხლის თანახმად, „ეროვნული ბანკი უფლებამოსილია: დაარეგულიროს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას და მათი მიმოქცევისას წარმოშობილი ურთიერთობები, უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის სფეროში დარღვევების თავიდან აცილება, გამოვლენა და

²⁰ გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2017-2018, გვ. 124, <http://www3.weforum.org/docs/GCR2017-2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf>.

²¹ იქვე, გვ. 125.

²² გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2006-2007, გვ. 524, https://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2006-07.pdf.

²³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 47, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1676, 24/09/2009, გამოქვეყნების თარიღი 12/10/2009, სარეგისტრაციო კოდი 220.010.000.04.001.003.616.

აღკვეთა; გასცეს და გააუქმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზიები; ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს დაუდგინოს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები; დაამტკიცოს ემისიის პროსპექტი; განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის მონიტორინგი, შემოწმება, გამოკვლევა; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს, შეცვალოს და გააუქმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებული წესები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას; ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს და სხვა პირებს დაუწესოს სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმა.²⁴ დასახელებული ორგანული კანონის 49-ე მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაუწიოს ზედამხედველობა და შეამოწმოს ბანკი, მიკრობანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება; გასცეს და გააუქმოს ლიცენზიები; დააკისროს ჯარიმები და განახორციელოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.²⁵

როგორც აღინიშნა, საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სექტორების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურით, ერთი და იგივე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის დაქვემდებარების ქვეშ ხვდება საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტი.²⁶ 2021 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკი გახდა ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მუდმივი წევრი.²⁷ აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება IOSCO-ს სხვა წევრი ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებთან მიმართებაში მოკლე შედარებითი ანალიზის გაკეთება.

პოლონეთში არსებობს ფინანსური ზედამხედველობის სამსახური (The Polish Financial Supervision Authority (KNF)).²⁸ KNF-ის სტრუქტურაში საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყებები არიან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სხვადასხვა მოადგილის დაქვემდებარებაში. ლიეტუვის ცენტრალური ბანკი ახორციელებს ზედამხედველობას როგორც საბანკო სექტორზე, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი დეპარტამენტები ცალ-ცალკე არსებობს, არ არის გამოკვე-

²⁴ იქვე, მუხლი 52.

²⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 49, საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 1676, 24/09/2009, გამოქვეყნების თარიღი 12/10/2009, სარეგისტრაციო კოდი 220.010.000.04.001.003.616.

²⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურა, <https://nbg.gov.ge/about-us/structure>.

²⁷ დამატებით იხ.: <https://shorturl.at/UN4Ua>.

²⁸ დამატებით იხ.: https://www.knf.gov.pl/en/ABOUT_US/KNF_Office/Mission_vision_values.

თილი ბორდის სხვადასხვა წევრის დაქვემდებარების ქვეშ მათი გადანაწილების საკითხი.²⁹ გერმანიის ფედერალური ფინანსური ზედამხედველობის განმსახორციელებელი სამსახური ახორციელებს როგორც საბანკო, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობას. დასახელებულ სამსახურს მართავს აღმასრულებელი საბჭო და ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საბანკო ზედამხედველობის სამსახურები წარმოდგენილია აღმასრულებელი საბჭოს სხვადასხვა წევრის დაქვემდებარებაში.³⁰ ბელგიაში ფინანსურ ბაზრებზე ზედამხედველობას ახორციელებს ფინანსური მომსახურებისა და ბაზრების სამსახური (Financial Services and Markets Authority), რომლის ფუნქციას წარმოადგენს მომხმარებლების დაცვა და კაპიტალის ბაზრის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა.³¹ ამავდროულად, ფინანსური სისტემის ფუნქციონირებაზე ზრუნავს ბელგიის ეროვნული ბანკიც (თუმცა, ეს უკანასკნელი არ გახლავთ IOSCO-ს წევრი და შესაბამისად, არ ახორციელებს ფინანსურ ბაზრებზე ზედამხედველობას).³²

ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) წევრებს შორის ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არის. არსებობს როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრების ზედამხედველობის განმსახორციელებელი ორგანოები, ასევე ცენტრალური ბანკები, რომლებიც მოიცავენ აღნიშნულ ფუნქციასაც საბანკო სექტორზე ზედამხედველობის განხორციელებასთან ერთად.

სტეიკჰოლდერების გამოკითხვის შედეგები

მიმდინარე კვლევის ფარგლებში, ავტორთა ჯგუფმა ჩაატარა სტეიკჰოლდერების გამოკითხვა როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მიზანი იყო გარკვევა თუ რა ცვლილებების განხორციელებით არის შესაძლებელი საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ინტერვიუები ჩატარდა 2023 წლის მაისიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით.

შეხვედრები ჩატარდა შემდეგ სტეიკჰოლდერებთან: დავით აბესაძე, საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; გიგა ბაგაშვილი, გიორგი ბოდოკია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მისო კრისტალის“ ფონდების მართვისა და მოძიების დეპარტამენტის წარმომადგენლები; მანანა ხინაშვილი, კომპანია „თეგეტა ჰოლდინგის“ ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის

²⁹ დამატებით იხ.: <https://www.lb.lt/en/board-of-the-bank-of-lithuania#ex-1-2>.

³⁰ დამატებით იხ.: https://www.bafin.de/EN/DieBaFin/Leitung/leitung_node_en.html.

³¹ დამატებით იხ.: <https://www.fsma.be/en/about-fsma>.

³² დამატებით იხ.: <https://www.nbb.be/en/about-national-bank>.

ხელმძღვანელი; გიორგი მელიქიძე, საპენსიო სააგენტოს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი; ნინო ქურდიანი, საქართველოს საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორი; ირაკლი კირტავა, გალტ & თაგარტის გენერალური დირექტორი (პასუხი კითხვებზე გამოგვიგზავნა წერილობით); გიორგი ორაგველიძე, სტარტაპ B2CGE-ის თანადამფუძნებელი და ფინანსური დირექტორი.

შეჯამებული თვალსაზრისით, სტეიკჰოლდერების ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საბანკო სექტორსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობის ერთდროული განხორციელება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი ერთ სფეროს ანიჭებს უპირატესობას მეორის სასარგებლოდ, მაგრამ ამავდროულად, ასეთი ფუნქციების გაერთიანება შესაძლოა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის.
2. გამოკითხულთა უმრავლესობა ემხრობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის შექმნას და საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სფეროდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამოყოფას;
3. გამოკითხული პირები ასევე, თვლიან, რომ მხოლოდ ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის შექმნა არ არის საკმარისი. სასურველია თუ მოხდება საერთაშორისო ცნობადი ბრენდის (მაგ.: NASDAQ-ის) შემოყვანა საქართველოს საფონდო ბირჟის მეწილედ; მოხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსება საქართველოს საფონდო ბირჟაზე; საფონდო ბირჟაზე გაიყიდება სახელმწიფო კომპანიების წილები; უფრო მეტად გააქტიურდება სსიპ საპენსიო სააგენტო ქართულ კომპანიებში ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით;
4. უნდა გამარტივდეს ემისიის პროსპექტისადმი დაწესებული მოთხოვნები და განისაზღვროს ფინანსების მოზიდვის ზედა ზღვარი, რა დროსაც შესაძლებელი უნდა იყოს ემისიის პროსპექტის შედარებით გამარტივებული მოთხოვნებით წარდგენა;
5. აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მოხდეს რისკების მართვის საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეთოდოლოგიის გაყოფა, რადგან ფასიანი ქაღალდების ბაზარი უფრო მეტად არის დაკავშირებული რისკებთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრისთვის გათვალისწინებულ რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და აღსრულების მექანიზმების დანერგვა.
6. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ საფონდო ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, გარიგებები უნდა დაიდოს საფონდო ბირჟაზე. ასეთი გარიგებების საფონ-

დო ბირჟის მიღმა დადება არ იძლევა შესაძლებლობას, რომ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ღირებულების შესახებ ასახული იყოს სანდო ინფორმაცია.

რაც შეეხება უცხოელ სტეიკჰოლდერებს, ინტერვიუები გაიმართა შემდეგი კომპანიებისა და საფონდო ბირჟის წარმომადგენლებთან:

- კომპანია TEXT SA-ის ინვესტორებთან ურთიერთობის წარმომადგენელთან მარსინ დრობასთან (Marcin Droba). მან განაცხადა, რომ აღნიშნული კომპანია არის სიდიდით მეორე საინფორმაციო ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც ვაჭრობს ვარშავის საფონდო ბირჟაზე.
- სააქციო საზოგადოება K2 LT-ის აღმასრულებელ დირექტორთან ბერნარდას ვილკელისთან (Bernardas Vilkelis).
- ვილნიუსის ნასდაქის საფონდო ბირჟის წარმომადგენლებთან, მათ შორის, სიმონა ბაჩკიენესთან (Simona Bačkienė), რომელიც მუშაობს ფასიანი ქაღალდების ემისიის კოორდინირების მიმართულებით.

გამოიყო რამდენიმე საინტერესო საკითხი:

1. კომპანიები, რომლებიც საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის გზით ცდილობენ მოიზიდონ 8 მილიონ ევრომდე ფინანსები, ექვემდებარებიან გამარტივებული ემისიის პროსპექტების წარდგენას (ვილნიუსის ნასდაქის საფონდო ბირჟის მაგალითზე).
2. ასევე აღინიშნა, რომ ვილნიუსის საფონდო ბირჟა უკავია NASDAQ-ს, რომელიც ასევე, წარმოდგენილია რიგისა და ტალინის საფონდო ბირჟების სახით.
3. ვილნიუსის საფონდო ბირჟა ხელს უწყობს სახელმწიფო კომპანიების მხრიდან საკუთარი წილების თუნდაც ნაწილის ვაჭრობას საფონდო ბირჟაზე, რაც ზრდის როგორც სანდოობას ბაზრის მიმართ, ასევე ამკვიდრებს ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს სახელმწიფო საწარმოებში. მაგალითად, იგნიტის გრუპის (Ignitis Grupe) მიერ აქციების ნაწილის განთავსება ვილნიუსის საფონდო ბირჟაზე. დასახელებული კომპანია არის სახელმწიფო ელექტროსისტემის მფლობელი სახელმწიფო საწარმო ლიეტუვაში.³³
4. ასევე აღინიშნა, რომ ვარშავის საფონდო ბირჟაზე არის ცალკე არსებული „საფონდო ბირჟაც“,³⁴ რომელიც საკუთრივ ვარშავის საფონდო ბირჟის რეგულაციის ქვეშაა. აღნიშნული საფონდო ბირჟა უფრო მოწყვლადია რისკების მიმართ, რის შესახებაც ინვესტორები არიან ინფორმირებული და შესაძლებელია გამარტივებული ემისიის პროსპექტების გამოყენება ვაჭრობისთვის.³⁵

³³ დამატებით იხ.: <https://nasdaqbaltic.com/statistics/en/instrument/LT0000115768/company?date=2023-07-04>.

³⁴ დამატებით იხ.: <https://newconnect.pl/en-home>.

³⁵ სამწუხაროდ, ავტორთა ჯგუფმა ვერ მოახერხა ვარშავის საფონდო ბირჟის წარმომადგენლებთან დაკავშირება, რომ გადაემოწმებინა დასახელებულ აბზაცში მოტანილი ინფორმაცია.

დასკვნა

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია განვითარებული ეკონომიკისთვის. საკუთრივ სტატიში გამოყოფილი იყო საკითხები, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას საქართველოში.

პირველი, უნდა გამოიყოს ემისიის პროსპექტის საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ემისიის პროსპექტის მომზადება საკმაოდ შრომატევადი და დროში გაწელილია. ემისიის პროსპექტის გამარტივების აუცილებლობა ნახსენები იყო სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების განხილვის თავშიც. შესაბამისად, ვილნიუსის ნასდაქის საფონდო ბირჟის გამოცდილების გაზიარება იქნებოდა კარგი შესაძლებლობა ქართული ფასიანი ქაღალდების ბაზრისთვის. კერძოდ, თუ ვილნიუსის საფონდო ბირჟაზე კომპანია აკეთებს რვა მილიონ ევრომდე ფინანსების მოზიდვის განაცხადს, მას არ წარმოეშობა ემისიის პროსპექტის სრულყოფილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება. ეს კარგი ფაქტია, რადგან ემისიის პროსპექტის მომზადებას და წარდგენას როგორც წესი, რამდენიმე თვე სჭირდება და აღნიშნული პროცედურის გამარტივება აიოლებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ფინანსების მოზიდვის შესაძლებლობას, განსაკუთრებით დამწყები საწარმოებისთვის.

მეორე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მსოფლიოში ცნობილი საფონდო ბირჟის შემოყვანა ადგილობრივ ბაზარზე ზრდის საფონდო ბირჟის შესახებ ცნობიერებას და მხარეებს უჩენს სანდოობას საფონდო ბაზრის მიმართ. ვილნიუსის საფონდო ბირჟის მაგალითი ძალიან კარგია, რადგან NASDAQ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და სანდო საფონდო ბირჟაა.

მესამე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოების წილის თუნდაც ნაწილის სავაჭროდ დაშვება საფონდო ბირჟაზე. ეს ერთი მხრივ, დადებითად იმოქმედებს საკუთრივ სახელმწიფო საწარმოზე, რადგან გაზრდის მისი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხს,³⁶ ხოლო მეორე მხრივ, იქნება მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორი ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის.

მეოთხე, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოში არ შეიქმნება ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომისია, აუცილებელია მაქსიმალურად გაიმიჯნოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საბანკო სექტორის ზედამხედველობის მიმართულებები, იმისათვის, რომ შეიქმნას ორივე სფეროს განვითარებისთვის კონკურენტული პირობები.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე კვლევის გაგრძელება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემს საქართველოს.

³⁶ მაისურაძე დ.; ნარმანია გ.; ლაზიშვილი მ.; ტყეშელაშვილი მ.; შაკიაშვილი ი.; ზვიერიევი ი.; სახელმწიფო საწარმოები საქართველოში – არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 168-169.

CHALLENGES RELATED TO THE DEVELOPMENT OF THE SECURITIES MARKET IN GEORGIA

DAVIT MAISURADZE

*Associate Professor and Director of the Centre for Corporate and
Commercial Law at the School of Law of Ilia State University*

ANNA KAKHIDZE

Researcher at the Ilia State University

The development of securities markets is critically important for developing economies as it provides alternative ways for accessing finance. At this stage of development, the Georgian economy is bank-based. Studying the current situation and sharing the best international experience is essential to develop the securities market in Georgia.¹

This article briefly summarizes the development of the securities market in Georgia, its existing challenges, and several recommendations for overcoming these challenges.

This article employs a comprehensive research approach, combining comparative, policy, and doctrinal analysis methods.

¹ This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSF) [Grant Number: YS-22-2294; Project Title: Developing Domestic Strategies for Regulating the Securities Markets and Protecting Investors – Challenges and Recommendations].

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობები და სამართლებრივი რეგულაციები

ნანა ქუთათელაძე

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი*

შესავალი

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოწესრიგებული საკანონმდებლო სისტემა. ეს არამართო აუცილებელია სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, არამედ ხელს უწყობს ადამიანთა შორის ურთიერთობის დაბალანსებას. უხსოვარი დროიდან, ყველა ქვეყნის საზოგადოება ინტენსიურად მოითხოვდა სამართლიანობის პრინციპის დაცვას.

საზოგადოებაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, განვითარდა რომის სამართლის საფუძველზე. ამ უკანასკნელმა ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სისტემაში და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ყოველდღიური ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად იქცა. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელო-

ვანი და საინტერესოა, ქართული სამართლის ისტორიაც, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე მკვეთრად გვაჩვენა, თუ რაოდენ დიდი როლი ეჭირა სამართალს და სამართლიანობის დაცვას ძველ ქართულ სახელმწიფოებრიობაში. წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში ვიმსჯელებთ ქართულ სამართლებრივ სისტემაში სააღსრულებო ფურცლის წარმოშობაზე, განვითარებასა და მისი გამოყენების მიზნებზე.

კანონმდებლობის განვითარება და მისი სრულყოფის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ნორმატიული აქტების მიღებით, სრულყოფილი საკანონმდებლო სისტემის შესაქმნელად თაობათა მრავალწლიანი გამოცდილება და ძალისხმევაა საჭირო.

რა თქმა უნდა, მარტივია რომელიმე კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის გადმოთარგმნა და მისი მიღება, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის საკითხიც, რომ ყოველი ნორმატიული აქტი, რომლებიც მომავალში უნდა იქნას მიღებული, აუცილებლად სახელმწიფოს რეალობას უნდა ერგებოდეს და ასევე, დაცული უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესი. აღნიშნული პირობების უგულვებელყოფას აუცილებლად მივყავართ სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულების – ადამიანთა სამართლებრივი დაცვის გარანტად ყოფნის ფუნქციის შეუსრულებლობისაკენ.

სახელმწიფოებო სამართალი ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანია, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს. სახელმწიფოებო სამართლის ინსტიტუტს სახელმწიფოთა დაარსების დღიდან, ყოველდღიურად იყენებდნენ სხვადასხვა სახის გარიგებების დასადავად. ის, რომ სახელმწიფოებო სამართალი ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია, ნათლად ჩანს ძველი რომის სამართლისა და ძველი ქართული სამართლის ისტორიული წყაროებიდან.

თუ ვიხელომძღვანელებთ ისტორიით და გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის თუნდაც, ბოლო საუკუნეების მდგომარეობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამართლის სისტემა ფაქტობრივად ახლახანს ჩამოყალიბდა და ის ჯერ კიდევ, განვითარების ეტაპებს გადის და საბოლოო სრულყოფილებამდე საკმაო გზა აქვს გასავლელი.

ამასთან, აუცილებელია თავად საზოგადოების თვითშეგნება და აქტიურობა. კერძოდ, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მოთხოვნილება, რომ არ იქნას უგულვებელყოფილი კანონი, დაცული იქნას სამართლიანობის პრინციპი და სახელმწიფომ უზრუნველყოს მართლწესრიგის დამყარება. ასე მიიღწევა ცივილიზებული საზოგადოების ინტერესების სრულყოფილი დაცვა.

საზოგადოებაში თითოეული მოქალაქე, ყოველდღიურიად, თავისდა გაუცნობიერებლად უამრავ ხელმწიფოებას დებს და ისინი იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ რაიმე მოქმედება. ეს ის გარდაუვალი საფუძველია, რომლის გარეშეც დღევანდელ სამართლებრივ რეალობაში წარმოუდგენელია ქონებრივი ხასიათის მთელი რიგი სიკე-

თეებისა და ღირებულებების შექმნა და გამოყენება. მაშასადამე, ხელშეკრულება მხარეთა შორის დადებული ნებისმიერი შეთანხმებაა, რომლის მიხედვითაც, მხარეებს წარმოეშობათ სამოქალაქო უფლებები და ეკისრებათ გარკვეული მოვალეობები.

ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება, რომელიც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, სარგებლის მიღების მიზნით, განკარგოს თავისი ქონება, დაიკმაყოფილოს ინტერესები და ამასთან, გაუზრდეს უფლებამოსილება საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს მოვალის საკუთრებაში არსებული ქონება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება.

იმისათვის, რომ კრედიტორმა, მოვალის გადახდის უზუნარობის შემთხვევაში, თავისი ინტერესები დაიკმაყოფილოს, აღნიშნული უფლების რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სამართლებრივ მექანიზმს სააღსრულებო ფურცელი წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რიგ შემთხვევებში, პრაქტიკიდან და ქართული რეალობიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების, არბიტრაჟისა და ნოტარიუსის მიერ ხდება. სწორედ, ამ უკანასკნელის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობები და სამართლებრივი რეგულაციები წარმოადგენს წინამდებარე სტატიის განსახილველ თემას.

უშუალოდ საკითხის განხილვამდე, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ სააღსრულებო ფურცლის წარმოშობისა და მისი სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრების ისტორიული ასპექტები.

სააღსრულებო ფურცლის განვითარების ისტორია

სააღსრულებო ფურცლის წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება შუა საუკუნეებისა და საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. აღსრულებას დაქვემდებარებული სანოტარო აქტი წარმოადგენს პირვანდელ სახეს იმ მართლბომიერებისა, რომელმაც შექმნა გარდამავალი ეტაპი სასამართლომდე.

სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც შუა საუკუნეებში, წარმოშობის ეტაპზე, სააღსრულებო დოკუმენტადაც მოიხსენიებდნენ, პირველად, სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენებოდა იტალიაში, ხოლო შემდგომ კი, ადგილი დაიმკვიდრა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სისტემებში. მისი წარმოშობა გარკვეულწილად, იტალიელი ვაჭრების სახელთანაცაა დაკავშირებული, რადგან თავდაპირველად, სააღსრულებო ფურცლის არსებობის საჭიროებას სავაჭრო ურთიერთობები მოითხოვდა, რაც სასამართლოს უშუალო ჩართულობას გულისხმობდა და აღსრულება მხოლოდ ზემოხსენებული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი. ეს პროცესი საკმაოდ დროს და რესურსს მოით-

ხოვდა. მომდევნო ეტაპებზე, რომის სამართალმა, გარკვეულწილად, მოაწესრიგა აღნიშნული ურთიერთობები, მაგრამ გადახდის შესახებ ბრძანების გამოცემა მხოლოდ მოსამართლეს შეეძლო. ნოტარიუსის ინსტიტუტმა თანდათან, მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა და სააღსრულებო ფურცელმა შემდგომი განვითარება მე-19 საუკუნეში, 1804 წლის „საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში“ ჰპოვა. განვითარების ბოლო ეტაპს კი, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელმა მიაღწია მაშინ, როდესაც იგი „მულტილატერულ კონვენციებში“ მოხვდა და ამ გზით, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა, როგორც გაცილებით მარტივი სისტემა, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებებია, საერთაშორისო დონეზე იქნა უზრუნველყოფილი.“¹ „გერმანულ სამართალში იძულებით აღსასრულებელი გადახდის მოთხოვნა ძირითადად, მაშინ ითვლება სათანადოდ განსაზღვრულად, როდესაც მოთხოვნის ფასი ან პირდაპირ ხელშეკრულებითაა განსაზღვრული ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია მისი გამოთვლა. იმ შემთხვევაში, თუ აღსასრულებელი მოთხოვნის ფასი პირდაპირ არ არის განსაზღვრული სანოტარო აქტში და თუ აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია სანოტარო აქტის ფარგლებს გარეთ არსებული მატერიალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ითვლება რომ მოთხოვნა განსაზღვრულია.“²

სააღსრულებო ფურცლის დანიშნულება და მიზანი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის V თავში პირდაპირ გათვალისწინებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი. კერძოდ, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებიც ზემოხსენებული კანონითაა გათვალისწინებული.

ამავე კანონის, მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258¹ მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის, იმავე კოდექსის 580² მუხლით გათვალისწინებული ლიზინგის მოწმობის, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების, აღსრულების შესახებ ბრძანებისა და თავდაცვის კოდექსის 35-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შესახებ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული საქმეებისა.“³

¹ სამართლის ჟურნალი, №2 2015 გვ. 55.

² სამართლის ჟურნალი, №2 2015, გვ. 62.

³ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინამდებარე სტატიის საკვლევ თემას ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი წარმოადგენს. ვიდრე უშუალოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ეტაპს განვიხილავთ, აუცილებელია განვმარტოთ ყველა ის წინაპირობა, რომლებიც ზემოხსენებული დოკუმენტის გაცემას უდევს საფუძვლად.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას კრედიტორსა და მოვალეს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა წარმოადგენს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის“ შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე თანახმად, „ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს იმ სანოტარო აქტის აღსასრულებლად, რომლის საფუძველზე დადგენილი ვალდებულების აღსრულება კანონმდებლობის შესაბამისად, დაიშვება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ არის გასული ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადა.“⁴⁴

ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, სახელშეკრულებო დონეზე, სწორედ ნოტარიუსი ამოწმებს. საქმიანობის განხორციელებისას, ნოტარიუსს ევალება იყოს მიუკერძოებელი, რაც გულისხმობს, რომ იგი ვალდებულია თანაბრად აუხსნას ორივე მხარეს მათ შორის დადებული გარიგების იურიდიული შედეგები, ორივე მხარეს განუმარტოს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს დასამოწმებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას და მოვალეს მისცეს ზუსტი განმარტება/ინფორმაცია. მხარეები, სანოტარო ბიუროში გამოცხადებისას, ადგილზე გამოხატავენ ნებას და ხდებიან აღნიშნული ურთიერთობის მონაწილეები, რაც საფუძვლად უდევს, მომავალში, მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცლის გაცემას. შედეგად, „ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა დაერთოს სანოტარო დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც განმცხადებელი ითხოვს სააღსრულებო ფურცლის გაცემას.“⁴⁵

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სასამართლოს მიერ ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფუნქციის დელეგირების საფუძველი, გარდა სასამართლოში დავების შემცირებისა, გამარტივებული პროცედურის გზით, კრედიტორის მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილების უზრუნველყოფაა.“⁴⁶

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ნოტარიუსი მხოლოდ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლში არსებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით გასცემს სააღსრულებო ფურცელს და არ ითხოვს ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელ

⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, [https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/instruqcia.pdf# \[09.04.2024\]](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/instruqcia.pdf# [09.04.2024]).

⁵ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶ სამართლის ჟურნალი, №2 2015, გვ. 59.

რაიმე სხვა დოკუმენტს. უფრო ზუსტად, სააღსრულებო ფურცელი, მისი კლასიკური გაგებით, წარმოადგენს კრედიტორის კუთვნილი ფულის მოვალისგან იძულებითი გადახდევინების შესახებ ნოტარიუსის განკარგულებას, რომელიც გაიცემა კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, რათა გამოირიცხოს მოვალის უფლებათა დარღვევა სააღსრულებო ფურცლის დაუსაბუთებელი გაცემით. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით.

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი შედეგები და არსებული რეგულაციები

საქართველოში ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას. 1996 წლიდან, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განისაზღვრა ნოტარიუსის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სამართლებრივი სტატუსი. ნოტარიუსი არის თავისი კლიენტის მიუკერძოებელი და სანდო მრჩეველი.⁷

საქართველოს კანონმდებლობით, გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა მხარეებმა დაიცვან ამ გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილი ფორმა, ხოლო თუ ამ გარიგების დადებისათვის ფორმა არაა განსაზღვრული, მხარეები უფლებამოსილნი არიან თავად შეთანხმდნენ მასზე,⁸ გარიგება შესაძლოა დაიდოს წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით.⁹

სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს ცალკეულ ხელშეკრულებებსა და გარიგების ტიპებს, რომელთა დადებისათვის აუცილებელია დაცული იყოს გარიგების წერილობითი ფორმა და მასთან ერთად, განსაზღვრავს ცალკეული გარიგების ტიპებს, რომელთა ნამდვილობის დადასტურება აუცილებლად მოითხოვს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნოტარიული წესით დადასტურებას.¹⁰

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის გზით ხდება მოვალის მიმართ კრედიტორის არსებული მოთხოვნის აღსრულება. ქართულ სამართალში აღსრულება ხორციელდება აღსრულების პროცესში მოვალის მონაწილეობის გარეშე, მაშასადამე, მისი ნებისაგან დამოუკიდებლად. მოვალის ნება იძულებითი აღსრულების დროს მთლიანად გამოირიცხუ-

⁷ <https://www.notary.ge/geo-17-chven-shehexeb> [09.04.2024].

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი.

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ლია. მოვალის ნების გამოვლენა ხდება ხელშეკრულების გზით, რომ აღსრულება მოხდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რასაც ნოტარიუსი, ხელშეკრულების დადების ეტაპზე, მხარეებს განუმარტავს. სახელმწიფოს მიერ ცალკეულ შემთხვევებში, გარიგების ნამდვილობისათვის სანოტარო წესით დამოწმება დადგენილია სამართლის სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.¹¹

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღსრულების განმხორციელებელ ორგანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო წარმოადგენს, რომელიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ, კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.¹² სააღსრულებო ფურცელი ან/და აღსასრულებელი გადაწყვეტილება წარედგინება აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს, მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართვისას, ტერიტორიულობის პრინციპის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ კრედიტორია ფიზიკური პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად. სააღსრულებო ფურცელს უნდა დაერთოს აღსასრულებელი გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი.¹³

აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორის დარღვეული უფლების რეალიზაციის დასაკმაყოფილებელ უკანასკნელ გზას წარმოადგენს.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას.“¹⁴

შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში შეცდომის არსებობის შემთხვევაში, რისი ალბათობაც მაღალია (როგორც ზემოთ აღინიშნა, ნოტარიუსის მიერ არ მოითხოვება ვალდებულების ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი), მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს ამგვარი სანოტარო აქტი თუმცა, ეს არ აჩერებს აღსრულებას.

¹¹ სამართლის ჟურნალი, №2 2015, გვ. 60.

¹² „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

¹³ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

¹⁴ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილი.

როდესაც გასაჩივრებული აქტის არსებობის მიუხედავად, სააღსრულებო წარმოება კვლავ მიმდინარეობს, ბუნებრივია სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე (ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის ან მის გაუქმებამდე) შესაძლოა გასაჩივრებული აქტი აღსრულდეს კიდევ, რაც აზრს უკარგავს მხარის მიერ მის გასაჩივრებას. შესაბამისად, კანონი ცნობს უსაფუძვლოდ მიღებული სიკეთის უკან დაბრუნებას თუმცა, ცალსახად ზღუდავს მოვალის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, მით უფრო მაშინ, როდესაც სააღსრულებო წარმოება დაწყებულია მოვალის საკუთრებაში არსებული ქონების სარეალიზაციოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სააღსრულებო წარმოების შეჩერება უმნიშვნელოვანესი საკითხია, მოვალის კანონიერი ინტერესების დასაცავად, რის ერთ-ერთ მექანიზმად და მოვალის უფლებების დასაცავად შესაძლოა იქნას გამოყენებული სასამართლო სისტემა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს, როგორც იძულებითი აღსრულების შეჩერების ისე, შეწყვეტის მექანიზმებს. აღნიშნული კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „აღსრულება შეწყდება, თუ:

ა) კრედიტორმა უარი თქვა აღსრულებაზე; ბ) კრედიტორი და მოვალე მორიგდნენ; გ) კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალების შემდეგ, გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნები ან მოვალეობები ვერ გადავა გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეზე; დ) გადაწყვეტილება, რომლის აღსასრულებლადაც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება, გაუქმებულია; ე) გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა; ვ) საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება; ზ) განხორციელდა იურიდიული პირის (კრედიტორის ან მოვალის) ლიკვიდაცია და სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია ან არ არსებობს უფლებამონაცვლე.“¹⁵

რაც შეეხება შეჩერებას – „სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება:

ა) მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას – მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა; ბ) მოვალის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისას – საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე; გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას – გადაწყვეტილების მიღებამდე; დ) იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია

¹⁵ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

გადახდა – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.¹⁶

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში, მოვალის მიერ დაგვიანებული მიმართვის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო ვეღარ იყენებს ზემოხსენებული მუხლებით დადგენილ საფუძველებს, რაც მოვალის ქონების აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობა და საფუძველია.

შეჩერების ერთ-ერთ მექანიზმად კანონით გათვალისწინებულია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება. კერძოდ, „აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების 12 თვემდე ვადით განწილვადების შესახებ: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელ საქმეზე – თავისი ინიციატივით, ხოლო სხვა საქმეზე – კრედიტორის თანხმობით. განწილვადების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სააღსრულებო საქმის წარმოება განახლდება.“¹⁷

უცხოური კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

უცხოური ქვეყნების ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, ნოტარიუსის ფუნქცია-მოვალეობები ბევრად არ განსხვავდება საქართველოში არსებულისგან. სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემთხვევაში, ევროპული კანონმდებლობა თითქმის, იდენტურ უფლებამოსილებებს ანიჭებს ნოტარიუსს, ხოლო რიგ შემთხვევებში, კომპეტენცია მეტად ფართო და ვრცელია. ეს განპირობებულია არამხოლოდ სასამართლოს განტვირთვის მიზნით, არამედ აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს განსატვირთადაც. მაგალითად, ჰოლანდიაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უძრავი ქონების ნოტარიუსის მიერ რეალიზაციაზე¹⁸ – ქონების რეალიზაცია დავალიანებული თანხის გადახდევინების მიზნით ასევე, ცნობილია გერმანული კანონმდებლობისთვისაც. აღსრულების ქვემდებარე აქტი შესაძლოა გაიცეს ნოტარიუსის მიერ, სანოტარო ფორმით დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. რეალიზაციის ეს ფორმა იძლევა კრედიტორის სწრაფად დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მხარეთა მიერ შეთანხმებულ საბაზრო ფასში. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ნოტარიუსის მიერ ყოველგვარი დამატებითი განხილვის გარეშე.¹⁹

¹⁶ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

¹⁷ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18⁴ მუხლი.

¹⁸ The activities of the Dutch enforcement agent, Jos Uitdehaag, Oct 2014, Netherlands, 19.

¹⁹ Christian R. Wolf, Real-estate property Law Germany, Key Aspects of German business law, a practical manual, Michael Wendler (ed) 4, ed., Berlin, Heidelberg, Springer 2008, 284.

რაც შეეხება უნგრეთს, ამ შემთხვევაში ნოტარიუსი შეზღუდულია გარკვეული თანხის ოდენობის ფარგლებში. თუ დავალიანების ოდენობა არ აღემატება 3 მილიონ უნგრულ ფორინტს (დაახლოებით 9 500.00 ევრო) კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს გადახდის ბრძანების გაცემა ნოტარიუსისგან; თუ დავალიანება აღემატება ზემოთ მითითებულ თანხას, მაგრამ ნაკლებია 30 მილიონ უნგრულ ფორინტზე (დაახლოებით 95 000.00 ევრო) კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს ნოტარიუსს, მაგრამ ასევე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს უფლების დასაცავად. სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით, ნოტარიუსისათვის საკმარისია მხოლოდ განცხადების წარდგენა დავალიანების არსებობაზე (დამატებითი მტკიცებულების გარეშე) მსგავსია საქართველოში არსებული გამარტივებული წარმოებისა.²⁰

ხორვატიაში ნოტარიუსს გამარტივებული წარმოების შედარებით უფრო მაღალ სტანდარტებს ვხვდებით. კერძოდ, აუცილებელი არ არის გარიგებით იყოს გათვალისწინებული ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობა; ხორვატიის კანონმდებლობით, ნოტარიუსი უფლებამოსილია გასცეს სააღსრულებო ფურცელი იმ შემთხვევაშიც, თუ კრედიტორი ვალის არსებობის სარწმუნო დოკუმენტს წარუდგენს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ეთანხმება სააღსრულებო ფურცელს, მას შეუძლია წამოიწყოს სასამართლო წარმოება სარჩელის სასამართლოში შეტანის გზით.²¹

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა და სააღსრულებო წარმოების პროცესი არის ნოტარიუსის მეშვეობით, მხარეთა შეთანხმებით, გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების და კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილების მარტივი გზა. მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა, საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას, პრობლემა, რომელიც განხილვის გარეშე აღსრულების ქვემდებარე აქტის გაცემას ახასიათებს, კრედიტორის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში, მოვალის ინტერესების უგულებელყოფის და დაზიანების საფრთხეს ქმნის. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების მიზანი, მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია ჩავთვალოთ მიღწეულად. შედეგად, სამართლებრივი დავები შემცირებულია ნაწილობრივ თუმცა, არა იმდენად, რამდენის მიღწევის შესაძლებლობაც არსებობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და მოვალის მონაწილეობა სააღსრულებო ფურცლის გაცემისას გახდეს სავალდებულო. კერძოდ, ნოტარიუსს დაევალოს მოვალის ინფორმირება, კრედიტორის

²⁰ Debt Collection in Europe, Christian Steden etc., European Law Firm, 2019, p. 59: <https://bvca.bg/wp-content/uploads/2020/03/debt-collection-in-europe07022019.pdf> [09.04.2024].

²¹ www.E-justice.europa.eu procedures for enforcing a judgement – Croatia; https://e-justice.europa.eu/content_procedures_for_enforcing_a_judgment-52-hr-en-do?member=1 [09.04.2024].

მიერ მისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მიმართვის, სააღსრულებო ფურცლით მოთხოვნილი ოდენობის, აღსასრულებლად მისაქცევი ვალდებულების (რომელ ხელშეკრულებაზე ითხოვს კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის გაცემას) და ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან, მოვალეს უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა, წარმოადგინოს პოზიცია ვალდებულების ოდენობასთან დაკავშირებით და ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ზემოხსენებული ცვლილებების განხორციელება უზრუნველყოფს მოვალის დაცვას არაკეთილსინდისიერი კრედიტორისგან, დააბალანსებს მხარეთა უფლებებს და მნიშვნელოვნად გაზრდის ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების მიზნის მიღწევის ხარისხს.

რაც შეეხება დადებით მხარეებს, იგი თავიდან აარიდებს როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორს დამატებითი ხარჯების გაწევას. ასევე, კრედიტორისა და მოვალისათვის დროის გაცილებით მოკლე მონაკვეთში ხდება შედეგის მიღწევა (მოვალე თავისუფლდება სასამართლო განხილვის დროისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფრთხისგან, ხოლო კრედიტორი დროულად ახერხებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას), ვიდრე სასამართლოს/არბიტრაჟის მეშვეობით. ასევე, უზრუნველყოფს სასამართლოს განტვირთვასაც ისეთი საქმეებისგან, რომლებშიც მხარეები კეთილსინდისიერად მოქმედებენ და სადავო არაფერი აქვთ. საბოლოოდ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების მინიჭებით, კანონმდებელმა გაამარტივა სამოქალაქო ბრუნვა და ხელი შეუწყო მხარეებს ვალდებულების ჯეროვნად შესრულების სტიმულირებაში.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული საკანონმდებლო ხარვეზების მიუხედავად, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ინსტიტუტი უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო ბრუნვისათვის და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების შემდეგ, მივიღებთ მოთხოვნათა ეფექტიანი დაკმაყოფილებისა და სასამართლო სისტემის განტვირთვის წარმატებულ მექანიზმს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The activities of the Dutch enforcement agent, Jos Uitdehaag, Oct 2014, Netherlands, 19;
2. Christian R. Wolf, Real-estate property Law Germany, Key Aspects of German business law, a practical manual, Michael Wendler (ed) 4, ed., Berlin, Heidelberg, Springer 2008;
3. Debt Collection in Europe, Christian Steden etc., European Law Firm, 2019;
4. Procedures for enforcing a judgement – Croatia;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
6. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი;
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის“ შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

PREREQUISITES AND LEGAL REGULATIONS FOR ISSUING A WRIT OF EXECUTION BY A NOTARY


NANA KUTATELADZE

*Georgian American University School of Law,
Social Sciences and Diplomacy PhD Student*

Every citizen in society, every day, unknowingly enters into many contracts, and they undertake to perform or not to perform some action. This is the inevitable basis, without which, in today's legal reality, the acquisition and use of many goods and values of a property nature is unthinkable. Therefore, a contract is any agreement concluded between the parties, according to which the parties have civil rights and certain obligations.

One of the pivotal institutions of the law of obligations is the secured loan agreement, a legal instrument that not only allows a person to dispose of his property to receive benefits but also ensures the protection of the debtor's interests. This agreement also grants the creditor the authority to use the property owned by the debtor to secure a claim.

In order for the creditor, in the event of the debtor's insolvency, to satisfy his interests, one of the crucial legal mechanisms for realizing the said right is the writ of execution. According to Georgia's legislation, in some cases, depending on the practice and the Georgian reality, the issuance of the writ of execution is



done by the general courts, arbitration, and notary. The prerequisites and legal regulations for the issuance of the writ of execution, a responsibility that underscores the importance of the notary's role in the legal process, are the subject of this article.

The origin of the writ of execution and its subsequent development, a testament to the evolution of the legal system, are deeply rooted in the Middle Ages and the period after the French Revolution. An enforceable notarial deed represents the original form of the regularity that created the transitional stage before the court. The writ of execution, which in the Middle Ages, at the stage of its origin, was also referred to as a writ of execution, was first used in legal relations in Italy, and later, it found its place in the legal systems of various European countries.

One of the crucial institutions of the law of obligations is the secured loan agreement, which gives a person the opportunity to dispose of his property to receive benefits, to be allowed to satisfy his interests, and, at the same time, to have the authority to use the property owned by the debtor as a means of securing a claim. For the creditor, in the event of the debtor's insolvency, to satisfy his interests, one of the essential legal mechanisms for realizing the said right is the writ of execution. According to Georgia's legislation, in some cases, depending on the practice and the Georgian reality, the issuance of the writ of execution is done by the general courts, arbitration, and notary. The prerequisites and legal regulations for issuing the writ of execution issued by the latter are the subject of this article.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები და მასთან დაკავშირებული გოგირთი აქტუალური საკითხი

ნინო შონია

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი,
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი*

შესავალი

სპეციალური საგამოძიებო მოქმედება (ფარული საგამოძიებო/ოპერატიულ-სამძებრო მოქმედება) გულისხმობს სხვადასხვა ტექნიკითა თუ საშუალებით მტკიცებულებათა შეგროვებას, აღნიშნულის თაობაზე ინდივიდთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ამ მოქმედებას სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს გამოყენებული მეთოდები როგორც წესი, ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, ეს პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას, ერთმანეთს უპირისპირდება ორი უმნიშვნელოვანესი სიკეთე – დამნაშა-

ვის იდენტიფიცირება და ამ გზით სხვა ადამიანის უფლებების დაცვის საჯარო ინტერესი და პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.¹

დანაშაულის გამოძიების პროცესში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს განსაკუთრებული და რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. თუმცა, აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეს ისეთი მოქმედებებია, რომლებიც მნიშვნელოვნად იჭრება პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში და ამ დროს ადვილად შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები.²

ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი ნორმები უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი მინიჭებული უფლებამოსილებების თვითნებური გამოყენებისგან დაცვის გარანტიებს. პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა უნდა იყოს კანონზე დაფუძნებული, ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი, იყოს საკმარისად ზუსტი და უნდა შეიცავდეს საჯარო ხელისუფლების უკანონობისაგან დაცვის რეალურ გარანტიებს. კანონი საკმარისად ნათელი უნდა იყოს და მოქალაქეებს ადეკვატურად აუხსნას ის გარემოებები და პირობები, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლებას უფლება აქვს ეს ღონისძიებები განახორციელოს.

მნიშვნელოვანია, რომ კანონიდან გამომდინარე, პირმა ზუსტად იცოდეს თავისი სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო წესებმა ნათლად უნდა განსაზღვროს იმ პირთა კატეგორიები, რომლებიც გარკვეული ფარული ღონისძიებების სამიზნეებს წარმოადგენენ, დანაშაულთა სახეები, რომლებზეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს, ნებადართული ხანგრძლივობა ასეთი მოქმედებებისა და გარემოებები, რომელშიც ასეთი ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციები უნდა განადგურდეს.³

1. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეები და მისი განხორციელების პროცესუალური პრინციპები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ისეთ სახეებს როგორცაა: ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირ-

¹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას – რისკები და გამოწვევები, 2020, <https://www.democracyresearch.org/files/75%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20NED.pdf> [18.05.2024].

² მეურმიშვილი ბ., ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესო სამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2023, გვ. 43.

³ ლალიაშვილი თ., კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის, ჟურ. სამართალი და მსოფლიო, #6, 2017, გვ. 42-43.

გაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; გ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა; დ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; ე) ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება; ვ) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს. კოდექსი უშვებს ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას (სსსკ -ის 143¹ მუხლის მე-2 ნაწილი).

აღსანიშნავია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ის ძირითადი პრინციპები, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას უნდა იყოს დაცული. სსსკ-ის 143² მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია ამ კოდექსით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

143² მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს, თუ რას გულისხმობს „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის მოთხოვნა“ – „ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუ მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა.“

თანაზომიერების პრინციპიდან ასევე, გამომდინარეობს სსსკ-ის 143² მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, რომელიც ამ მოქმედების ჩატარებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ სსსკ-ის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი დანაშაულების გამოძიების მიზნით. ამავდროულად, 143² მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლების (ინტენსივობის), მისი ჩატარების ლეგიტიმურ მიზანთან პროპორციულობის მოთხოვნას.

სსსკ-ის 143² მუხლში არსებული ზემოთ ხსენებული დათქმები პირდაპირ ეხმიანება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად გაჟღერებულ ზოგად მოთხოვნებს.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ კანონიერების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპები უდევს საფუძვლად ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული

სხვადასხვა პროცედურული გარანტიების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის აუცილებლობას. ამავდროულად, კონკრეტული ღონისძიების თანაზომიერი ხასიათი ფასდება საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.⁴

2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესი და ვადები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, სახელმწიფოს კანონმდებლობით, ნათლად უნდა განისაზღვროს ის დანაშაულები, რომელთა შესაძლო ჩადენის შემთხვევაშიც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, ამასთან, ამ დანაშაულთა განსაზღვრისას კანონმდებელმა მათი ბუნება უნდა გაითვალისწინოს.⁵

სსსკ-ის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“) ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს. ამდენად, აღნიშნული მუხლი ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის აუცილებელ მტკიცებულებით სტანდარტს – „დასაბუთებულ ვარაუდს“ დასახელებულ გარემოებებთან მიმართებით.

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიების ჩასატარებლად აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი (ქართული კანონმდებლობის შემთხვევაში – დასაბუთებული ვარაუდი) უნდა იქნას დადასტურებული საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცებულებებით, პროკურორის შუამდგომლობას თან უნდა ახლდეს შესაბამისი მასალები, რომლებითაც სასამართლოს მიეცემა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი ფაქტობრივი საფუძვლის რეალურად დადგენის შესაძლებლობა. სასამართლოს განჩინებაში, ისევე როგორც პროკურორის შუამდგომლობაში მხოლოდ ზოგადი მითითებები, სსსკ-ით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ნიშნების არსებობასთან

⁴ გეგეშიძე თ., თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, სადოქტორო ნაშრომი, 2021, გვ. 171-172.

⁵ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (2022 წლის 7 ივნისი, N1614-VIIIმს-Xმპ) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/14; 23.06.2022) იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304788> [11.05.2024].

დაკავშირებით, ვერ ჩაითვლება საკმარისად.⁶ ღონისძიების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ „დამაჯერებელი დასაბუთების“ პირობებში,⁷ ამავედროულად, სასამართლოს უნდა ჰქონდეს წვდომა ყველა შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციასთან, მათ შორის, საიდუმლო მასალებთან, რათა მიეცეს შესაძლებლობა, რეალურად შეამოწმოს, რამდენად არსებობს საქმეში ღონისძიების ჩასატარებლად აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი.⁸

ფარულ საგამოძიებო მოქმედებების რეგულირების საკითხის პრობლემატიკასთან მიმართებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი უკავშირდება აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ვადებს.

როგორც მოქმედი საკანონმდებლო ცვლილების იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნაში ვკითხულობთ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის განსაზღვრის საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის განსაზღვრა სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.⁹ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საწარმოებლად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა სათანადო საპროცესო გარანტიების პირობებში შესაძლებელია, შესაბამისი კონტროლით იმდენჯერ გახანგრძლივდეს, რამდენჯერაც ამის საჭიროება იარსებებს.¹⁰

წინამდებარე საკითხი უმნიშვნელოვანესია გამოძიების ეფექტიანად წარმოების პროცესში, რადგან იგი ხელს უწყობს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურების თავიდან აცილებას და საჭირო მონაცემების ეფექტიანად მოპოვების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, დგება აუცილებლობა, ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, ხანგრძლივი ვადით განხორციელდეს კრიმინალურ სამყაროში ჩართული პირების მიმართ ფარული მიყურადება.

⁶ დრაგოვეიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Dragojević v. Croatia), [2015], ECtHR, 95-101;

ბაზიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Bašić v. Croatia), [2017], ECtHR, 33-34.

⁷ დრაგოვეიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Dragojević v. Croatia), [2015], ECtHR, 94.

⁸ გეგეშიძე თ., თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, სადოქტორო ნაშრომი, 2021, გვ. 186-187.

⁹ რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Roman Zakharov v. Russia), [GC], ECtHR, 2015, §244.

¹⁰ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (2022 წლის 7 ივნისი, N1614-VIIIმს-Xმპ) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/14; 23.06.2022) იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304788> [11.05.2024.]

ზოგადად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად აუცილებელი ნებართვის დოკუმენტი/ორდერი/განჩინება გარკვეულ ვადებს ექვემდებარება, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის აუცილებელი დროის კონკრეტული მონაკვეთი, ასევე მოცემულია შესაბამისი ვადის გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც განაცხადი ვადის გაგრძელების შესახებ წარედგინება ორდერის გამომცემ ორგანოს. დამატებით, ასეთ ორგანოს შეუძლია გააუქმოს ასეთი ბრძანება ნებისმიერ დროს, გარკვეული დასაბუთებული საფუძვლების მითითებით.¹¹

თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის ასპექტიც, რომ ვინაიდან ვადების ზრდა უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ზრდას იწვევს, „განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, ფარული საგამოძიებო მოქმედების კიდევ უფრო გახანგრძლივება უნდა ჩაითვალოს უფლებაში დამატებით ჩარევად.“¹² ამ კუთხით კი, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებაში ჩარევა იყოს გამართლებული და უზრუნველყოფილ იქნას ბალანსი, ერთი მხრივ, შესაბამისი პირის უფლების დაცვას და მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებას შორის.

3. ზედამხედველობა და კონტროლი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების კანონიერების კონტროლი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე წვდომის პროცესში.¹³

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის გამოძიებასთან, სამართალდარღვევის აღკვეთასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან და ეხება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სფეროში

¹¹ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) – ელექტრონული თვალთვალის თანამედროვე მიდგომები მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების პროცესში, 2009, https://www.unodc.org/documents/organized-crime/Law-Enforcement/Electronic_surveillance.pdf [11.05.2024]

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

¹³ ხუციშვილი ი., ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებაზე ზედამხედველი ორგანოები და მათი უფლებამოსილება საქართველოსა და ევროკავშირში, სამეცნიერო-პრაქტიკული კიბერ უსაფრთხოების ჟურნალი, 2020.

ჩარევას, საჭიროებს არა მარტო სამართლებრივ ლეგიტიმაციას, არამედ ამ საქმიანობათა განხორციელების დროს, მათი კანონიერების კონტროლსა და ზედამხედველობას.

შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია გამორიცხოს ძალაუფლების უზურპაციის საფრთხე და უზრუნველყოს აღნიშნული რისკების დაბალანსება კონტროლის საკმარისი მექანიზმებით, რომელიც ხორციელდება ისეთი ორგანოების მეშვეობით, როგორებიცაა: პროკურატურა, სასამართლო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.¹⁴

იმისთვის, რათა მიუკერძოებლად და ობიექტურად შემოწმდეს დაცულ სფეროში ჩარევის უკიდურესი საჭიროება, საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო კონტროლის აუცილებლობას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე.

ხშირად, სასამართლოს მიერ ნებართვის გაცემა ადამიანის უფლების დაცვის საუკეთესო მექანიზმად მიიჩნევა.¹⁵ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში ფარული საგამოძიებო მოქმედება მხოლოდ მოსამართლის განჩინების საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს. პროკურორის შუამდგომლობა წარედგინება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა. თუმცა, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.¹⁶

ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტარდება ლეგიტიმური მიზნის¹⁷ მისაღწევად და ეს მოქმედებები უნდა იყოს ამ მიზნის მიღწევის პროპორციული¹⁸ და შესაფერისი. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, ინდივიდის უფლებები ყოველთვის არ არის აბსოლუტური და უნდა შემოწმდეს საჯარო ინტერესთან თანხვედრაში. მოსამართლე ყოველთვის უნდა ცდილობდეს იპოვოს ბალანსი საჯარო ინტერესსა და ადამიანის უფლებებს შორის, რაც ერთობ რთული და კომპლექსური პროცესია და საჭიროებს შემდეგი ფაქტორების სისტემურ გააზრებას: ა) ინტერესი, რომელიც მოსამართლემ უნდა დაიცვას ჩარევისაგან; ბ) ჩარევის სიძიძის ხარისხის განსაზღვრა; გ) ჩარევის საჭიროება, რაც გამიზნული აქვს სახელმწიფოს.¹⁹ ამასთან, ფარული

¹⁴ იქვე.

¹⁵ Council of Europe – Democratic and effective oversight of national security services, 2015, p.55.

¹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ), მუხლი 143³, ნაწილები 1 და 6.

¹⁷ ლეგიტიმური მიზანი – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა (მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლი); Norman Karlsson N., Human Rights Law as an Intervention in Covert Surveillance of Communication – The Right to Private Life and Communication in LargeScale Surveillance, 2017, p. 9-10; იხ.: <https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1189884/FULLTEXT01.pdf> [19.05.2024].

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება „საქართველოს იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ.: გიორგაძე გ., თბ., 2015, გვ. 435.

საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა მეშვეობითაც მოიპოვება ინფორმაცია, უნდა იყოს უკანასკნელი ღონისძიება, საშუალება, რომლის გარეშეც ასეთი ინფორმაცია ვერ იქნებოდა მოპოვებული ან გაუმართლებლად დიდი ძალისხმევა გახდებოდა საჭირო მის მოსაპოვებლად.²⁰

ეს არის ის კრიტერიუმები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემისას. საპროცესო კანონმდებლობით, მოსამართლე ვალდებულია ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, გულდასმით შეამოწმოს ბრალდების მხარის მოტივირებული შუამდგომლობა; გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება, ლეგიტიმური მიზანი,²¹ ფარული საგამოძიებო მოქმედების ultima ratio ხასიათი და გასცეს ამ მოქმედების ჩატარების ნებართვა. და პირიქით, თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორის შუამდგომლობა არ არის მოტივირებული ან მასალა არ არის სრულყოფილი და ბუნდოვანია, მას სრული უფლება აქვს in dubio pro reo-ს პრინციპის მსგავსად, დადგეს ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე, დაიცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და არ გასცეს განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ.²²

მოცემულ ეტაპზე სასამართლო კონტროლზე უკეთესი ალტერნატივა ფაქტობრივად არ არსებობს.²³ მოსამართლის ასეთი ნებართვა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების დასადგენად.²⁴

საუბარია რა, სასამართლოს მონიტორინგზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით, აქვე უნდა აღინიშნოს პროკურორის როლი ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ განჩინების გამოთხოვის თაობაზე. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორი მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემის თაობაზე. საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ის სპეციალური რეკვიზიტები, რასაც უნდა შეიცავდეს აღნიშნული შუამდგომლობა.²⁵

სასამართლოს მხრიდან სასამართლოს საზედამხედველო უფლებამოსილება ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის და ამ მოქმედების გაგრ-

²⁰ მეურმიშვილი ბ., ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესო სამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2023, გვ. 43, 47-48.

²¹ რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Roman Zakharov v Russia), [GC], ECtHR, 2015, §227, 232.

²² მეურმიშვილი ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 48-49.

²³ ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2019.

²⁴ რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Roman Zakharov v Russia), [GC], ECtHR, 2015, §249.

²⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლი.

ძელების საკითხის გადაწყვეტაზე. ასევე, სასამართლო მონაწილეობს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების პროცესში, სასურველი იქნებოდა, რომ იგი ჩართული ყოფილიყო უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.²⁶

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არ არის ერთადერთი ორგანო, რომელმაც უნდა აკონტროლოს ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა დაწყება-ჩატარების პროცესი. მოსამართლე, როგორც მაკონტროლებელი სუბიექტი, განხილული უნდა იყოს როგორც ერთ-ერთი რგოლი. ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მონიტორინგი რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ ცოდნას როგორც სამართლებრივს, ასევე ტექნიკურს. შესაბამისად, აუცილებელია შიდა და გარე მონიტორინგის სხვა მექანიზმების არსებობაც. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე ასეთი კონტროლის საშუალებებია: კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აკრძალვის შესახებ დაწესებული საკანონმდებლო შეზღუდვები, მოქალაქეთათვის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შეტყობინების ვალდებულება და გასაჩივრების უფლება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მხრიდან ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადები და ა. შ. რაც საბოლოოდ, თანხვედრაშია საერთაშორისო მიდგომებთან.²⁷

კონტროლის კიდევ ერთი რგოლი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს ეხმიანება, უკავშირდება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე მონიტორინგის უფლებამოსილების განხორციელებას, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გააჩნია.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კომპეტენცია მოიცავს მონაცემების დამუშავების და მონაცემების დამმუშავებლის მიერ ინფორმაციის დამუშავების კანონიერების კონტროლს.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აკონტროლებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს კონტროლის ელექტრონული სისტემით და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).²⁸

²⁶ აქუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევამ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, 2022.

²⁷ რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Roman Zakharov v Russia), [GC], ECtHR, 2015, §231-233. მეურმიშვილი ბ., ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესო სამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2023, გვ. 49-50.

²⁸ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 54-ე მუხლი.

როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე სამსახური კონტროლის ელექტრონული სისტემით ზედამხედველობას ახორციელებს და ამოწმებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, თუმცა, მას არ გააჩნია ნებართვის გაცემის უფლებამოსილება ფარული მიყურადების დასაწყებად.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს, სსსკ 143⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს, კონტროლის ელექტრონული სისტემით შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედება. ფარული საგამოძიებო მოქმედება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს შეუძლია შეაჩეროს კონტროლის ელექტრონული სისტემით, თუ მას კანონით დადგენილი წესით არ მიეწოდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების და პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი ან განჩინება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კი, პროკურორის დადგენილება, მატერიალური (დოკუმენტური) სახით, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს. ასევე, მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უმუსტობას შეიცავს; თუ აღნიშნულ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა.²⁹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეჩერება ხდება ფორმალური საფუძვლით და აქედან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შეჩერება ფაქტობრივად, აღნიშნული ღონისძიებების დაწყების მართლზომიერების/კანონიერების საფუძვლის შემოწმებას მოიცავს მხოლოდ და ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს ზედამხედველობის/მეთვალყურეობის ეფექტიან მექანიზმად.

ზოგადად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ აუცილებელია კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტროლი ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობაზეც ვრცელდებოდეს.³⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო და ოპერატიული ორგანოების უფლებამოსილება, განახორციელონ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, დანაშაულის პრევენციისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია თუმცა, ეს უფლებამოსილება უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული. ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა უნდა იყოს

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143⁶, მე-5 ნაწ.

³⁰ აქუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევამ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, 2022.

კანონიერი მიზნის პროპორციული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერის და პროპორციულ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს.³¹

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილისა და პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერების, მიმოწერის, ტელეფონით და სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობას. ეს ფუნდამენტური უფლებები აბსოლუტური არაა და შესაძლოა სახელმწიფომ ისინი გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში შეზღუდოს. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს, დასაბუთებული უნდა იყოს და ნათლად უნდა ჩანდეს პირადი ცხოვრების საიდუმლოების შეზღუდვის აუცილებლობა.

4. ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეთხოვნების წესი³²

შესაბამისი პირისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინების წესთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადგენს, რომ პირს, რომლის მიმართაც ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ უნდა ეცნობოს იმ დროს, როდესაც საფრთხე აღარ ექმნება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ლეგიტიმურ მიზანს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ პირისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინება სათანადო საპროცესო გარანტიებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობის პირობებში, შესაძლებელია წლებით, მეტიც, ათწლეულებით გადავადდეს.³³

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პირისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინების იმდენჯერ გადავადება, რომ საფრთხე არ შეექმნას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ლეგიტიმურ მიზანს, ვენეციის კომისიამაც, ზოგადად, გამართლებულად მიიჩნია.³⁴

³¹ იხ.: <https://netgazeti.ge/news/103876/> [12.05.2024].

³² იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (2022 წლის 7 ივნისი, N1614-VIIIმს-Xმპ) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/14; 23.06.2022) იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304788> [11.05.2024].

³³ რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (Roman Zakharov v Russia), [GC], ECtHR, 2015, §287.

³⁴ 1092/2022 – Georgia – Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, §52, 53; [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2022\)028-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2022)028-e) [18.05.2024].

თუმცა, როგორც ვენეციის კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ, შესაბამისი პირის დროული შეტყობინება აუცილებელი პირობაა მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების წინააღმდეგ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებისთვის. ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შეტყობინების ვალდებულება არ გულისხმობს აბსოლუტურ მოთხოვნას. კონკრეტული გამონაკლისები შეიძლება ნებადართულ იქნას, თუ სახელმწიფოში არსებობს დამოუკიდებელი ზედამხედველი ორგანო შესაბამისი უფლებამოსილებებითა და გასაჩივრების განხილვის შესაძლებლობებით.³⁵

ზოგ ქვეყანაში ელექტრონული საშუალებებით თვალთვალის დამთავრების შემდეგ პირს, ვის მიმართაც განხორციელდა თვალთვალი, ატყობინებენ ამის შესახებ.³⁶ კანადის კანონმდებლობით, შეტყობინება აღნიშნულ პირს ეგზავნება 90 დღის ვადაში, ვადის გახანგრძლივება დასაშვებია მოსამართლის თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ არ დამთავრებულა გამოძიება ან თვალთვალის პროცესში გამოიკვეთა სხვა დანაშაული, რომელზეც აუცილებელია თვალთვალის ახალი ნებართვა. შეტყობინების გახანგრძლივების ვადა არ უნდა გადააჭარბოს 3 წელს. იაპონიაში თვალთვალის ობიექტს უნდა ეცნობოს მის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ თვალთვალის დამთავრებიდან 30 დღეში, მაგრამ თუ ეს ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიების დასრულებას, მოსამართლეს უფლება აქვს გაახანგრძლივოს ეს ვადა. ჰონკონგში პირს შეტყობინება ეგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები არაკანონიერად განხორციელდა.³⁷

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ან ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, თავისთავად ვერ იგებს ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, რაც თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს მისი აზრით უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების გასაჩივრებას, რაც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ ამით მის მიმართ ირღვევა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე მოქმედებს შეტყობინების წესი: „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან

³⁵ Ibid.

³⁶ იგულისხმება, მაგალითად, ბრალდებულის ის მეგობრები და ოჯახის წევრები, რომლებიც არ შედიან თვალთვალი-სათვის გამიზნულ პირთა ნუსხაში.

³⁷ ხმალაძე მ., მიყურადებისა და კავშირგაბმულობის არხებიდან ინფორმაციის მოხსნის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კვლევითი დეპარტამენტი, საქართველოს პარლამენტი, 2014.

ერთად, გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება და განემარტება აღნიშნული განჩინების ამ კოდექსის 143³ მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლება. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი.³⁸

შესაბამისად, როგორც აღნიშნული მუხლის ცვლილების განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, წინამდებარე საკითხის მოწესრიგების პირობებში, ადამიანის უფლებაში ჩარევა უნდა იყოს გამართლებული და უზრუნველყოფილ იქნას ბალანსი ერთი მხრივ, შესაბამისი პირის უფლების დაცვას და მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებას შორის.³⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საუბარია ჩატარებული ფარული მიყურადების ღონისძიებების შესახებ, შესაბამისი ობიექტის შეტყობინების წესთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს უსაფრთხოებას, გამოძიების ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ, ამ კონტექსტში არ დაზიანდეს პირის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, რომელიც გარანტირებულია როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი ძირითადი ნორმებით, ასევე შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით.

დასკვნა

ფარული მიყურადება სახელმწიფოს ხელთ არსებული ის ინსტრუმენტი, რომლის კონტროლიც თავისთავად გულისხმობს ადამიანის უფლებების შეზღუდვის მომეტებულ საფრთხეს. სახელმწიფოს მიერ ფარული მიყურადების განხორციელება per se არ არის ანტიდემოკრატიული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება და რა არის მისი გამოყენების მიზნები.⁴⁰

ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც Ultima Ratio ღონისძიება, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. პირადი ცხოვრების

³⁸ ბეჟუაშვილი ნ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საპროცესოსამართლებრივი გარანტიები, სამაგისტრო ნაშრომი, 2019, გვ. 31.

³⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ N1722-IXმს-XXმ; <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/298437> [18.05.2024].

⁴⁰ ჟიჟიაშვილი ვ., ფარული მიყურადება ილიბერალურ რეჟიმებში – საქართველოს მაგალითი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2023.

ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური. დემოკრატია ეყრდნობა რა, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, „უფლებათა უმრავლესობის შებლუდვა აუცდენელია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოიშობს ღირებულებათა კონფლიქტს... მაშინ, როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა.“⁴¹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, დაცულ სფეროში ჩარევა ლეგიტიმური იქნება, თუ ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია „დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“ შესაბამისად, ფარული მეთოდების გამოყენება უსაფრთხოების ინტერესებიდან და გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს გამართლებული. „იმავდროულად, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხე იზრდება, თუ პირად ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა არ არის დაბალანსებული კონტროლის სათანადო და საკმარისი მექანიზმებით.“⁴²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით დღეს მოქმედი რეგულაცია ბევრად ახლოს დგას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. პრეცედენტული სამართლით დადგენილია ის ძირითადი ტესტი, რომელიც მოიცავს ფარული მოქმედებების განსახორციელებლად ისეთი კრიტერიუმების გაწერას, როგორცაა დანაშაულის სამართლებრივი ბუნება, კატეგორია, მოქმედების განხორციელების ხანგრძლივობა, ინფორმაციის დაცვის კრიტერიუმები და ა. შ.

ამ საკანონმდებლო ცვლილებებით, შეიძლება ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილდა და შეიქმნა ისეთი მექანიზმები, რომელიც ერთი მხრივ, გამორიცხავს ფარულ, უკანონო მოსმენებს, ხოლო მეორე მხრივ, ის ჩანაწერები, რომლებიც არ უკავშირდება გამოძიებას და ამასთან, პირადი ხასიათისაა, ნადგურდება. რაც თავის მხრივ, გულისხმობს კონსტიტუციური გარანტიების მეტ სიმყარეს სისხლის საპროცესო სამართლის პრაქტიკული რეალიზებისას.⁴³

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45.

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-31.

⁴³ გვასალაია თ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა), უსურ. სამართალი და მსოფლიო, 2015, გვ. 188.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეგი ნიკოლსონი, საქართველოს 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის განხორციელება, მიღწევები, გამოწვევები და რეკომენდაციები, მოკლე მიმოხილვა, 2019;
2. თამარ ქალდანი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა, თბ., 2021;
3. ირინა აქუბარდია, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევამ გოგშელიძე ნ5, საიუბილეო კრებული, 2022;
4. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას – რისკები და გამოწვევები, 2020;
5. ბესიკ მეურმიშვილი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესო სამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2023;
6. თამარ ლალიაშვილი, კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის, ჟურ. სამართალი და მსოფლიო, #6 2017;
7. თამარი გეგვიძე, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, სადოქტორო ნაშრომი, 2021;
8. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (2022 წლის 7 ივნისი, N1614-VIIIმს-Xმპ) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/14; 23.06.2022);
9. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, N1722-IXმს-Xმპ;
10. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), ელექტრონული თვალთვალის თანამედროვე მიდგომები ძიძი და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების პროცესში, 2009;
11. ილია ხუციშვილი, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებაზე ზედამხედველი ორგანოები და მათი უფლებამოსილება საქართველოსა და ევროკავშირში, სამეცნიერო-პრაქტიკული კიბერუსაფრთხოების ჟურნალი, 2020;
12. 1092/2022 – Georgia – Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022;
13. მაია ხმალაძე, მიყურადებისა და კავშირგაბმულობის არხებიდან ინფორმაციის მოხსნის საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კვლევითი დეპარტამენტი, საქართველოს პარლამენტი, 2014;
14. ნინო ბეჟუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საპროცესო-სამართლებრივი გარანტიები, სამაგისტრო ნაშრომი, 2019;
15. ვასილ ჟიჟიაშვილი, ფარული მიყურადება ილიბერალურ რეჟიმებში – საქართველოს მაგალითი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2023;
16. თამარ გვასალია, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა), ჟურ. სამართალი და მსოფლიო, 2015;
17. Council of Europe – Democratic and effective oversight of national security services, 2015.
18. Norman Karlsson N., Human Rights Law as an Intervention in Covert Surveillance of Communication – The Right to Private Life and Communication in LargeScale Surveillance, 2017;
19. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ.: გიორგაძე გ., თბ., 2015;
20. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.“

UNDERCOVER INVESTIGATIVE ACTIVITIES AND SOME CURRENT ISSUES RELATED TO IT

NINO SHONIA

*PhD student of the Georgian American University
Head of the Secretariat of the Chamber of Criminal Affairs
Supreme Court of Georgia*

¹ Nicholson M., Georgia's 2014–2020 National Human Rights Strategy Implementation Achievements, Challenges and Recommendations, Brief Overview, 2019; Kaldani T., a brief overview of recent developments in the field of personal data protection, Tb. 2021, available at: [www.idfi.ge/ge/brief_overview_of_recent_developments_in_the_field_of_personal_data_protection_\[07.05.2024\]](http://www.idfi.ge/ge/brief_overview_of_recent_developments_in_the_field_of_personal_data_protection_[07.05.2024])

² The judgment of the Constitutional Court of Georgia on the case "Public Defender of Georgia, Citizens of Georgia – Giorgi Burjanadze, Lika Sajaia, Giorgi Gotsiridze, Tatia Kinkladze, Giorgi Chitidze, Lasha Tughushi, Zviad Koridze, "Open Society Foundation Georgia", "Transparency International - Georgia", "Young Lawyers Association of Georgia", "International Society for Fair Elections and Democracy" and "Human Rights Center" against the Parliament of Georgia, N1/1/625, 640, 16.04.2016, II-31

³ Irina Akubardia – Control mechanisms over secret investigative actions, Revaz Gogshelidze 65, anniversary collection, 2022.

Issues related to secret investigative activities remain relevant today. Since 2014, many changes have been made to the Procedural Code, aiming to bring the regulations closer to international standards. Although the changes have had a positive and highly significant impact on increasing the guarantees of privacy protection, these guarantees need to be further improved and perfected in certain respects.

Carrying out covert investigative activities can intensely interfere with the right to privacy. Personal life still requires constant and increased attention.¹

The state's constitutional obligation is to protect state security, ensure the investigation and prevention of crime, and not endanger people's prospects of free development or violate their private lives.²

Due to its hidden nature, interfering with the right raises the risk of excess authority and misuse, which may have harmful consequences for a democratic society. Therefore, in a democratic society, interference with the right can be justified only if the legislation provides effective mechanisms of protection against abuse of power.³

წინასწარი პატიმრობის ვადეები და მათი გაბრძნელების პროცედურები

ნინო თაქთაქიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა. აღკვეთის ღონისძიება საპროცესო იძულების ზომაა და გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კერძოდ, ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მტკიცებულებების განადგურების, მოწმეებზე ზემოქმედებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციის მიზნით.

ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნამდვილად მომდინარეობს თუ არა ბრალდებულისგან ზემოთ ნახსენები საფრთხეები და მხოლოდ ამის შემდეგ, შეუფარდოს ბრალდებულს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიებათა შემდეგ სახეებს ითვალისწინებს: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა

და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა. ჩამოთვლილ აღკვეთის ღონისძიებებთან ერთად, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულის მიმართ, დამატებითი ზომები გამოიყენოს, მაგალითად: დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, პასპორტის ჩამორთმევა, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება და სხვა. მიუხედავად აღკვეთის ღონისძიებების სიმრავლისა, პრაქტიკაში ძირითადად, პატიმრობა და გირაო გამოიყენება.

წინამდებარე სტატია სწორედ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ აღკვეთის ღონისძიების სახეს – პატიმრობას შეეხება.

პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახეა და გულისხმობს ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით. სწორედ ამიტომ პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის მნიშვნელოვანი უფლებები, განსაკუთრებით აღსანიშნავია პირის კავშირი გარესამყაროსთან, მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება და ა. შ. ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის დროებით გარკვეული ვადით შეზღუდვა, როგორც დროებითი აუცილებლობა, მკაცრად არის რეგლამენტირებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საერთაშორისო აქტებით და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახელმძღვანელო პრეცედენტებით.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების სახედ – პატიმრობის დანიშვნისას, აუცილებელია პროკურორების და მოსამართლეების მაღალი კვალიფიკაცია, ფაქტებისადმი ჩაღრმავების და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უნარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ უსაფუძვლოდ დაპატიმრებულ პირებს და გადავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

1. პატიმრობის შეფარდების პირობები და ვადები

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების უკიდურეს ზომად არის მიჩნეული და გამოიყენება მხოლოდ ბრალდებულის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის აღსაკვეთად, ასევე ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად.¹ საპროცესო კოდექსში აღნიშნული პატიმრობის გამოყენების საფუძვლების გარდა, ევროპული სასამართლო სხვა საფუძველსაც გამოყოფს – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე. ევროპული სასამართლო ამ საფუძვლით პირის დაპატიმრებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თვლის დასაშვებად, როცა დანაშაული

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი: 09/10/2009, მუხლი 198.

განსაკუთრებული სიმძიმისა და გარკვეულმა პირებმა შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გამოიწვიონ, რამაც შეიძლება გაამართლოს პატიმრობა.²

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასეთი საფუძველი მითითებული არ არის, სწორედ ამიტომ საქართველოს საერთო სასამართლოები მას პატიმრობის საფუძვლად ვერ გამოიყენებენ. თუმცა, შესაძლოა პატიმრობის შეფარდების ამ საფუძვლის გათვალისწინება დადებითად აისახოს სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში.

საერთო სასამართლოები ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაფუძნებული მსჯელობით ამყარებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის, მე-3 ნაწილის მოთხოვნას, რათა უპირატესობა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას; სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას, რადგან ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით; სსსკ-ის 205-ე მუხლის მოთხოვნას, რომ პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული იქნას მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა ბრალდებულის მიმალვის, მტკიცებულებების მოპოვებისთვის ხელის შეშლისა და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს საერთო სასამართლოები ასევე, ხშირად იყენებენ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებს.

საქართველოს კონსტიტუციით, ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, ამ ვადის გასვლის შემდეგ, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.³ ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან, საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.⁴

ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის, მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.⁵ პატიმრობის ვადის გაგრძელების ნებისმიერი

² თოდუა ნ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, გამომც. მერიდიანი, 2020, 386.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მიღების თარიღი: 24/08/1995, მუხლი 13.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 208.

პერიოდი, განურჩევლად მისი ხანგრძლივობისა, მოითხოვს უფლებამოსილი ეროვნული ხელისუფლების სათანადო არგუმენტაციას. სახელმწიფო ვალდებულია გამოამჟღავნოს „განსაკუთრებული გულისხმიერება“ ამ პროცედურების განხორციელებისას. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის ვადის ავტომატური გაგრძელება, რომელიც ეფუძნება ბრალდების სიმძიმესა და მიმალვის, ხელახალი სამართალდარღვევის ჩადენის ან მოლაპარაკების ჰიპოთეტურ საშიშროებას, არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს.⁶

ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელებისთვის აუცილებელია საჯარო ინტერესის არსებობა, რათა ხანგრძლივმა პატიმრობამ არ შეზღუდოს ადამიანის პირადი თავისუფლების უფლება. ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან შეამოწმონ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო გარემოებები, რომლებიც ამართლებს ადამიანის პირადი თავისუფლების უფლების დარღვევას.

1.2. დაუსაბუთებელი პატიმრობის პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პატიმრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენება, პრაქტიკაში მასთან დაკავშირებით ორი ძირითადი პრობლემური საკითხი იკვეთება: პატიმრობის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები. მაგალითად, 2016 წელს, პატიმრობა, როგორც სასჯელის ზომა გამოყენებულ იქნა 29%-ის შემთხვევაში; 2017 წელს – 34%; 2018 წელს – 43 %, 2019 წელს 47%-ის შემთხვევაში.⁷ მზარდი სტატისტიკა გაგრძელდა შემდგომ წლებშიც. პატიმრობის მზარდი მაჩვენებლის ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემოებად, შესაძლოა მივიჩნიოთ ოჯახური დანაშაულების საქმეების ზრდა, მით უმეტეს, რომ ასეთი დანაშაულების მიმართ გამკაცრებულია სახელმწიფო პოლიტიკა და ბრალდების მხარე ხშირ შემთხვევაში, სწორედ პატიმრობის შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლოა გამართლებულ იქნას, რადგან გამოძიების მიმდინარეობისას, მოწმეებზე ზემოქმედების რისკი ოჯახში ძალადობის საქმეებზე ძალიან მაღალია.

ძალიან ხშირად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული იწვევს მწვავე საზოგადოებრივ რეაქციას. განსაკუთრებით კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის, მე-ნაწილი (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის

⁶ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., 2017, გვ. 56.

⁷ ალკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული 2019 წლის სტატისტიკა, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019w-statistic-7.pdf>

წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). სამწუხაროდ, სწორედ საზოგადოებრივი რეაქცია განაპირობებს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში ბრალდებული პირის დაპატიმრების გარდუვალობას. შესაბამისად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს ბრალდებულის დაპატიმრება საერთოდ არ უნდა იყოს გამოყენებული თუ ბრალდებულმა არ დაარღვია მის მიმართ შერჩეული უფრო მსუბუქი ალკვეთის ღონისძიება და ხელი არ შეუშალა ჭეშმარიტების დადგენას სისხლის სამართლის საქმეზე. სტატისტიკური ანალიზი გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულებისა მოწმობს, რომ პატიმრობა უფრო ხშირად სწორედ საზოგადოების ზეწოლით ხდება და გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემებსაც ქმნის (განსაკუთრებით, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში). ვფიქრობთ, ამ მხრივ, გაცილებით უფრო ეფექტიანი იყო საქართველოს 1989 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პოზიციები (159-164). იმისათვის, რომ მინიმუმირებული იყოს პატიმრობის დროს მოსალოდნელი სამართლებრივი შეცდომები სასურველია, აღდგეს ალკვეთის ღონისძიების ისეთი სახეების გამოყენების პრაქტიკა რა თქმა უნდა, კანონის დონეზე, როგორებიცაა შინაპატიმრობა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა. განსაკუთრებით დიდი ეფექტი ჰქონდა შინაპატიმრობის, როგორც ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას და მას იყენებდნენ, როგორც პატიმრობის ალტერნატივას. თუ საკანონმდებლო წესით გადაწყდება შინაპატიმრობისა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას.

2020 წლის ანგარიშში გამოქვეყნდა მეტად საინტერესო სტატისტიკური მასალა, რომელიც კიდევ ერთხელ ეხება ბრალდებულის დაპატიმრების პრაქტიკას. როგორც გამოირკვა, თუ ბრალდებული დაპატიმრებული იყო წინასწარი გამოძიების სტადიაზე 96-97%-ში სასჯელის დანიშვნისას სასამართლო იყენებს თავისუფლების ალკვეთას. ეს მეტად დამაფიქრებელია და ამ პრობლემის დღის წესრიგიდან მოხსნის მხოლოდ საკანონმდებლო გამოსავალი არსებობს.

დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუმცა, პირველ ყოვლისა, უნდა განიმარტოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების არსი. სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება დაუსაბუთებელია, როდესაც გადაწყვეტილება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს არ ეყრდნობა და მიზნის მიღწევა სხვა, ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შეიძლება. დაუშვებელია ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ პირმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. პატიმრობის გამოყენების თაობაზე საიას სასამართლო მონიტორინგის №12 ანგარიშის მიხედვით, მიღებული გადაწყვეტილებების 12% იყო დაუსა-

ბუთებელი,⁸ ხოლო №13 ანგარიშის შესაბამისად, დაუსაბუთებელი პატიმრობის მაჩვენებელი განისაზღვრა 15%-ით.⁹ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ხელმძღვანელობს, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციით. ასევე, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით.¹⁰ ერთ-ერთ საქმეზე ეროვნულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის თავისუფლების შეზღუდვისას, ხელისუფლება ვალდებულია დამაჯერებელი არგუმენტები მოიტანოს. რაც არ უნდა ხანმოკლე იყოს პატიმრობის ვადა მისი დასაბუთება არ უნდა იყოს ზოგადი და განყენებული. ევროპული სასამართლოც ბრალდებულის პირველი წარდგენისას, ამოწმებს პირის ბრალდებულად ცნობისათვის დასაბუთებული ვარაუდის არსებობას, ამის შემდეგ კი, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს.¹¹ სტრასბურგის სასამართლომ მრავალჯერ განმარტა, რომ ეროვნული სასამართლოები პატიმრობის დასაბუთების მიზნით, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საკმარისი მოტივები.¹² ევროპული სასამართლოს რეკომენდაციით, პატიმრობის საკითხის განხილვისას, ეროვნული სასამართლო ვალდებულია ღრმად და საფუძვლიანად შეაფასოს ფაქტები, დეტალურად განსაზღვროს მოსალოდნელი საფრთხეები და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე შეარჩიოს ისეთი აღკვეთის ღონისძიება, რომელიც იქნება რელევანტური და პროპორციული.

საქართველოს საერთო სასამართლოები პატიმრობის შეფარდების შესახებ ყველა გადაწყვეტილებაში მიუთითებენ „საფუძვლიანი ეჭვის“ თაობაზე. თუმცა, საფუძვლიანი ეჭვის დასადასტურებლად სხვადასხვა მოსამართლეთათვის სხვადასხვა მტკიცებულებათა რაოდენობა და სახეობა განმსაზღვრელი. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ „მოცემულ შემთხვევაში მოიპოვება პირდაპირი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.“¹³

⁸ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N12, გვ. 27. მონიტორინგის პერიოდი: 2017 წლის მარტი – 2018 წლის თებერვალი, <https://gyla.ge/files/news/2008/Court%20monitoring%20N-12%20GEO.pdf>

⁹ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №13, გვ. 32. მონიტორინგის პერიოდი: 2018 წლის მარტი – 2019 წლის თებერვალი, <https://gyla.ge/files/news/ფონდი/ტურნირი/angrishi%20sasamrtlo.pdf>

¹⁰ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბ., 2017, გვ. 55.

¹¹ თოდუა ნ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., ხერხეულიძე ი., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, გამომც. მერიდიანი, 2020, 382.

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ N18996/06, 09/01/2013, §100.

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის განჩინება, საქმე N10ა/295.

სტრასბურგის სასამართლო განიხილავს არგუმენტაციას, თუ რამდენად „რელევანტური“ და „საკმარისია“ ის, პირის პატიმრობის გამართლებისთვის. ევროპული სასამართლო შემოიფარგლება ეროვნული სასამართლოს პრაქტიკით. ის არ განიხილავს მოპასუხე მთავრობის მიერ მის წინაშე წარდგენილ დამატებით არგუმენტებს და არც თავად მოჰყავს მაგალითად პრაქტიკა. პატიმრობის კანონიერების დასაბუთებისას, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკას. საქმეში მანსური (Mansur) თურქეთის წინააღმდეგ,¹⁴ მან აღნიშნა, რომ „პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ასაბუთებდა პატიმრობის გამოყენებას, იყო თითქმის იდენტური და შეიძლება ითქვას ბანალური სიტყვები, ხოლო სამ შემთხვევაში, საერთოდ არ ყოფილა მოტანილი მიზეზები.“ შეიძლება ამკარა იყოს, რომ სწორედ ასეთი ვითარება იყო შექმნილი საქმეში ვან დერ ტენგი (Van der Tang) ესპანეთის წინააღმდეგ.¹⁵ დაბოლოს, მტკიცების ტვირთის პატიმარზე დაკისრება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს.

ხელისუფლების ორგანოებმა უნდა აჩვენონ, რომ დაპატიმრებისას ნამდვილად არსებობდა პატიმრობის მიზეზები და მათი არსებობა გრძელდებოდა განმცხადებლის გათავისუფლებამდე ან მსჯავრდებამდე.¹⁶

პატიმრობა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. მაგალითად, სასჯელის ნებისმიერი აღსრულება იქნება უკანონო იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა საშუალებას არ იძლევა პირმა სასჯელის მოხდა დაიწყოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. უდანაშაულობის პრეზუმფცია ძალაშია, ვიდრე სასამართლოს განაჩენი არ დადგება.

პატიმრობის გამოყენებას უნდა ჰქონდეს მკაცრი კანონმდებლობის წესით გადაჭრილი მოთხოვნა: ბრალდებულის პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდება ითვალისწინებს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას. რაც შეეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, ამ კატეგორიის საქმეებზე პატიმრობა არ შეიძლება გამოყენებული იყოს. რა თქმა უნდა, წარმოიშვება გარკვეული კითხვები, შეიძლება თუ არა ბრალდებულის დაპატიმრება, თუ მას ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული (როდესაც მაქსიმალური სასჯელი აღემატება ხუთ წელს) ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული.

მაქსიმალურად, საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს გარკვეული საპროცესო ფილტრის შემოღება, რათა აღიკვეთოს ბრალდებულის დაპატიმრების შესაძლებლობა მხოლოდ იმის

¹⁴ მ. გ. თურქეთის წინააღმდეგ (M.G. v. Turkey) (საჩივარი – 646/10), გადაწყვეტილება, 22 მარტი, 2016.

¹⁵ CASE OF VAN DER TANG v. SPAIN (Application no. 19382/92). STRASBOURG 13 July 1995.

¹⁶ ტრეესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 539-544.

გამო, რომ ბრალდებულს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი და მიემალეა გამოძიებას. ეს პრობლემა საკმაოდ მწვავეა საქართველოს პირობებში, რომელიც წარმოადგენს ტურისტულ ზონას. სამწუხაროდ, დღეს მოქმედი პრაქტიკა ასეთია, რომ უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან ბრალდებულის სახით მიცემულნი პასუხისგებაში, უფრო ხშირად აპატიმრებენ იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უნდა აღიკვეთოს ასეთი პრაქტიკა და ამ აღკვეთის საფუძველი უნდა გახდეს საკანონმდებლო ბარიერი.

1.3. წინასწარი პატიმრობის გამოყენების პრობლემები

ბრალდებულს არ შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა ან აღკვეთის სხვა ღონისძიება, თუ უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს გათვალისწინებულ მიზნებს. სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების სახით, პირს შეუფარდოს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული თავს აარიდებს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს და ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.¹⁷ სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიმდინარეობისას და სასამართლო პროცესის მოლოდინში ხდება წინასწარ პატიმრობაში პირის დაკავება. წინასწარი პატიმრობა სისხლის სამართლის საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს და არა სანქციას.

გისოსებს მიღმა ყოველდღიურად, დაახლოებით, 3.2 მილიონი ადამიანი ელოდება სასამართლო პროცესის დამთავრებას. ეს მსოფლიო ციხის საერთო კონტინგენტის თითქმის 30%-ია. ზოგ ქვეყანაში, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები ციხის კონტინგენტის უმეტესობას წარმოადგენენ. ზოგ დაწესებულებაში მათი რაოდენობა პატიმართა მთლიანი რაოდენობის 90%-საც აღწევს. ბრალის დამტკიცებამდე მათ მიმართ სამართლებრივად უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს, თუმცა შეიძლება, იმაზე უარეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე მსჯავრდებული ადამიანები. პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი ციხეში ხშირად იწვევს გადატვირთულობას, ამძიმებს პატიმრობის პირობებს და ზრდის წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკს ზედამხედველებისა და ასევე, სხვა პატიმრების მხრიდან ზოგადად, ძალადობის რისკის არსებობის პარალელურად.¹⁸

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2024.

¹⁸ წინასწარი პატიმრობა რისკფაქტორებთან გამკლავება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი, მეორე გამოცემა, <https://cdn.penalreform.org/>

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით წინასწარი პატიმრობა, მისი სიმძიმისა და ხშირად შეუქცევადი უარყოფითი შედეგების გამო, უნდა გამოიყენებოდეს არა როგორც წესი, არამედ როგორც გამონაკლისი. წინასწარი პატიმრობა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავება აუცილებელი და თანაზომიერია პირის მიმალვის, მის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის ან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად, საპროცესო წარმოების დროს. ანუ პატიმრობა არალეგიტიმურია იმ შემთხვევებში, როცა ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევა სხვა, ნაკლებ მკაცრი ზომებით შეუძლებელია.

წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებებია: გირაო, სამგზავრო დოკუმენტების ჩამორთმევა, მოთხოვნისთანავე სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება, მოწმეებისათვის ხელის შეშლის აკრძალვა, პოლიციაში ან სხვა უწყებაში პერიოდული გამოცხადება, ელექტრონული მონიტორინგი ან ქცევის შეზღუდვა. როგორც „გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“ (ტოკიოს წესები), ასევე „გაეროს წესები ქალ პატიმრებთან მოპყრობისა და მსჯავრდებული ქალების მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“ (ბანგკოკის წესები)¹⁹ მოუწოდებს სისხლის სამართლის სისტემებს, პატიმრობის ჭარბი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყონ არასაპატიმრო ღონისძიებების ფართო სპექტრის დანერგვა.

საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციების მიერ გამოვლინდა ალტერნატიული ღონისძიებების არარსებობა და მათ გამოყენებაში არსებული ხარვეზები, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გადაჭარბებულ პატიმრობასა და ციხეების გადატვირთულობას. დაკავებისა და პატიმრობის შესახებ არსებული რიგი სტანდარტებისა, თავის მხრივ, წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის გარანტს და ამავდროულად, იცავს დაკავებულსა და პატიმრობაში მყოფ პირს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან. მათ შორისაა: დაცვა თვითნებური დაპატიმრებისგან; დაუყოვნებელი ინფორმირება დაკავებისა და პატიმრობის საფუძვლების შესახებ; დაკავების დაუყოვნებელი რეგისტრაცია, საფუძვლების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მითითებით; ძალოვანი პირებისა და დაკავების ადგილის იდენტიფიცირება; მოსამართლისადმი დროული წვდომა; ჰაბეას კორპუსი; სასამართლო პროცესი დაყოვნების გარეშე; უდანაშაულობის პრეზუმფცია; წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების მსჯავრდებული პატიმრებისგან განცალკევება; პატიმრობის ლეგიტიმურობის სისტემატური გადახედვა; გარე სამყაროსთან კონტაქტი, მათ შორის, დამოუკიდებელი ექიმების ხელმისაწვდომობა, ოჯახური ვიზიტები და პაემნები.

¹⁹ ბანგკოკის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ.

ბევრ ქვეყანაში პატიმრობის გადაჭარბებულად და ხანგრძლივად გამოყენება ხელს უწყობს გადატვირთულობას, რაც თავის მხრივ, ხშირად იწვევს, რომ პატიმრობის პირობები წამებასა და არასათანადო მოპყრობას უტოლდება.²⁰

მაგალითად, საქმეში – კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მეხუთე მუხლის პირველი პარაგრაფი, რაც ითვალისწინებს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერ დაპატიმრებას; კონვენციის მეექვსე მუხლის პირველი პარაგრაფი, რაც ითვალისწინებს, რომ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.²¹

ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში, ეროვნულმა სასამართლომ აღნიშნა: „სასამართლო ითვალისწინებს, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ, ასევე ევროსასამართლოს მიერ არაერთხელ გაკეთებულ განმარტებას, რომ პრეზუმცია მოქმედებს პირის თავისუფლების სასარგებლოდ. ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება და დაუშვებელია მისი დაუსაბუთებელი პატიმრობა. ბრალდებული თავისუფალი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს „რელევანტური“ და „საკმარისი“ საფუძვლები პირის გახანგრძლივებულ პატიმრობაში ყოფნის გასამართლებლად.“²²

საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის, როგორც წესი, უფრო გასათვალისწინებელი და მისაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება. სასამართლოები განმარტავენ, რომ პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო სახით და რომ ის არის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ფორმა. პირის თავისუფლების შემზღვეველი ნებისმიერი ღონისძიება განხილული უნდა იყოს უდანაშაულობის პრეზუმციისა და საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფარგლებში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1980 წლის 27 ივნისის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ: „საკითხის განხილვისას, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ევროსაბჭოს

²⁰ <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/11/ფაქტების-ფურცელი-წინასწარი-პატიმრობა.pdf>.

²¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, განაცხადი no.30210/96.

²² CASE OF BAKHMUTSKIY v. RUSSIA, (Application no. 36932/02), STRASBOURG. 25 June 2009 – <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-93224%22>].

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც, დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისთვის.²³

მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების მიერ წევრი სახელმწიფოების მიმართ მითითება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 27 სექტემბრის რეკომენდაციაზე R (2006) 13, რომელიც ეხება წინასწარი პატიმრობის გამოყენების, მისი აღსრულების პირობებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს. საერთო სასამართლოების მიერ აღნიშნული აქტი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მიმართ რეკომენდაციას, რომელიც ეხება წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ისეთ დანაშაულში, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ იძებნება ის ფაქტი, რომ წინასწარი პატიმრობა უნდა შეეფარდოს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან თავისუფლების აღკვეთით დასჯად დანაშაულში, რადგან სასამართლოს აქამდე არ ჰქონდა შესაძლებლობა, ამრიგად გამოეთქვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს საერთო სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციას მართებულად მიიჩნევენ და ხშირ შემთხვევაში, არ იზიარებენ ბრალდების მხარის არგუმენტაციას, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე იმ დანაშაულთან მიმართებით, რომელიც არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

მაგალითად, საქმეში – კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ,²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მესამე მუხლი, რაც ითვალისწინებს, რომ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას; კონვენციის მეხუთე მუხლის მესამე პარაგრაფი, რაც ითვალისწინებს, რომ პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ, მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა და კონვენციის მეექვსე მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევას, რაც ითვალისწინებს სამოქალაქო

²³ Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial, para. 128.

²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე – კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი no.47095/99.

უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართ-
ლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში
მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება, კანონის საფუძველზე შექმნილი
დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

დასკვნა

საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლის
შემდეგ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ალკვეთის ღონისძიებების სახეებთან მიმართე-
ბით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ
ალკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, კანონმდებელმა და სასამართლომ მაქსიმალურად
გაითვალისწინოს ადამიანის ძირითადი უფლებები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ
ალკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებულ იქნება პატიმრობა.

დღეისათვის, საქართველოში ყველაზე ხშირად გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების
სახეა პატიმრობა და გირაო. ალკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი გირაოსა და პატიმ-
რობის გამოყენების შემთხვევებს მინიმუმამდე შეამცირებს. ასეთ შემთხვევაში, გაიზრდება
ბრალდებულის ინტერესების დაცვის სტანდარტი და აღარ შეეფარდება მის დანაშაულთან
შედარებით არაპროპორციული ალკვეთის ღონისძიების სახე. ასევე აუცილებელია, პრო-
კურორმა სათანადოდ დაასაბუთოს ალკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობა და
მოსამართლეს ჰქონდეს უფრო ფართო დისკრეცია, რათა გამოიყენოს სხვა ალტერნატიული
ღონისძიებები.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ
კანონმდებლობაში და არამართო ქართულ კანონმდებლობაში არსებულ პოზიციას, რომ-
ლის მიხედვითაც, ალკვეთის ღონისძიებას შეიძლება ჰქონდეს გამოყენების პერსპექტივა,
თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა მოხდა და კანონით გათვალისწინებული
საფუძველი არსებობს (ორი ან მეტი პირდაპირი მტკიცებულება), ბრალდებულის მიმართ
უნდა იქნას აუცილებლად გამოყენებული ალკვეთის ღონისძიება, რათა უზრუნველყოფი-
ლი გახდეს მისი გამოცხადება გამომძიებელთან და სასამართლოში. სასამართლოს აქვს
უფლებამოსილება საერთოდ არ გამოიყენოს ალკვეთის ღონისძიება, თუ მისი გამოყენების
საფუძველი არ არსებობს. აღნიშნული კონსტრუქცია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად და
ვფიქრობთ, გაცილებით უკეთესია, თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა მოხდა
და ამის საფუძველი არსებობს, ყველა შემთხვევაში ალკვეთის ღონისძიება გამოყენებული
უნდა იქნას, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ შედარებით მსუბუქ ალკვეთის ღონისძიებებს.

TERMS OF PRETRIAL DETENTION AND PROCEDURES FOR THEIR EXTENSION

NINO TAKTAKISHVILI


Ph.D. Student of Law

at the Caucasus International University

One of the most critical aspects of the criminal justice process is resolving the measure of prevention for the accused. The preventive, procedural coercion measure is employed only in exceptional cases. Its purpose is to prevent the accused from hiding, destroying evidence, influencing witnesses, or committing a new crime. This underscores the necessity of such measures in ensuring a fair and just process.

The court, in its role as the arbiter of justice, is tasked with determining whether the threats emanate from the accused. Only after this crucial determination can the court assign the accused a specific restraining measure, thereby ensuring a fair and just process.

Georgia's criminal law encompasses a range of preventive measures, including imprisonment, bail, personal surety, agreement on absence and appropriate behavior, and command supervision of military service members's behavior. In addition, the court has the authority to apply supplementary measures against the accused, such as banning the approach to the victim,



confiscating the passport, and implementing electronic monitoring. Despite various preventive measures, imprisonment and bail are the most frequently used.

The present article concerns one of the most relevant prevention measures – imprisonment.

Imprisonment, the most severe preventive measure, involves the strict isolation of the accused for a period determined by the court's decision. This measure, due to its severity, restricts the essential rights of the accused, such as their connection with the outside world, freedom of movement, and right to employment. The temporary curtailment of a person's privacy for a certain period as a temporary necessity is strictly regulated by criminal procedural law, international acts, and the guiding precedents of the European Court of Human Rights in Strasbourg.

Given the significant implications, prosecutors and judges must possess high qualifications. Their ability to thoroughly examine the facts and make a fair decision is paramount when considering a preventive measure. Failing to do so could result in the unjust detention of individuals and the overcrowding of penitentiary institutions.

DE FACTO ოჯახური ურთიერთობები წყვილებს შორის ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

თამარ იოსელიანი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, მედიატორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე

ევროპასა და შეერთებულ შტატებში სულ უფრო აქტუალურია ოჯახური კრიზისები – შეიძლება ითქვას, რომ რეგისტრირებული ქორწინება ფაქტობრივ ქორწინებაზე ნაკლებად პოპულარული გახდა. ვერც თეორიამ და ვერც იურიდიულმა პრაქტიკამ ვერ გადაჭრა სრულყოფილად მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მეუღლეთა იურიდიულ სტატუსთან რეალურ ქორწინებაში. პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივი ქორწინება წარმოადგენს მუდმივ, სტაბილურ, მონოგამიურ ურთიერთობებს იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს თანაცხოვრების შედეგად, რომლებიც ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებულნი კანონის შესაბამისად თუმცა, რეალურად აქვთ ოჯახი ორ წელზე მეტი

ხანგრძლივობით, რაც იწვევს უფლებებსა და მოვალეობებს როგორც ერთმანეთის, ისე ბავშვების მიმართ – თუ წყვილს ჰყავს შვილები. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება, რომ ფაქტობრივი მეუღლეების საერთო საკუთრება უნდა რეგულირდებოდეს სამოქალაქო სამართლის რეგულაციებით.¹

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება – მრავალ საკითხს აერთიანებს ამ სფეროში, რომლებიც ერთი შეხედვით, თითქოს არ არის დაცული ამ უფლებით, რადგან პირდაპირ არ მოიხსენიება მის ტექსტში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები, რომლებიც საშუალებას იძლევა კონვენციის მუხლების და მისი დამატებითი ოქმების პრაქტიკაში უკეთესად გამოყენების შესაძლებლობას. ევროსასამართლოს განმარტებები კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების ოფიციალურ განმარტებებად მიიჩნევა და აღნიშნული ნორმების გამოყენებისას შესაძლებელია ამ განმარტებებზე დაყრდნობა.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უფლებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს. თუმცა, სტატიის ფარგლებში ევროსასამართლოს რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილების მაგალითზე განხილულია, წყვილებს შორის ურთიერთობა ე.წ. de facto ურთიერთობები, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს „ოჯახურ ცხოვრებად“ და როდის ექცევა ის კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის სფეროში.

ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით, ფართოდ განმარტა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ კონცეფცია, რომელმაც თავის თავში მოიცვა არა მხოლოდ ოფიციალურ ქორწინებაში მყოფი პირების ურთიერთობა, არამედ დე ფაქტო კავშირებიც.²

ევროსასამართლოს განმარტებით, „ოჯახურ ცხოვრებაში“ მოიაზრება ურთიერთობათა ფართო სპექტრი, როგორც კლასიკური გაგებით (მაგალითად, ქორწინებაში მყოფი პირების ურთიერთობა, ქორწინებაში დაბადებული ბავშვის ურთიერთობა მშობელთან, ურთიერთობა ბებია-ბაბუასთან და სხვა), ასევე არაკლასიკური გაგებით (პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი პირები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის ურთიერთობა მეორე მშობელთან, ბებია-ბაბუასთან და სხვა) ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო თითოეულ კონკრეტულ საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას

¹ Kirillova E.A., Bogdan V.V., Kaymakova E.V., Ozerov I.N. and Zenin, S.S., 2016., Inheritance rights of spouses in the actual marriage: a comparative-legal aspect, *Journal of Advanced Research in Law and Economics*, 7(2), pp. 270-27.

² ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ., 2017, გვ. 171-172.

ოჯახური ცხოვრების არსებობასთან დაკავშირებით. სასამართლოს მიდგომა თითოეულ კონკრეტულ საქმეზე გულისხმობს, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი იმ ურთიერთობების ჩამოთვლა, რომლებიც წარმოადგენს ან არ წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას თუმცა, ზოგადი პრინციპი, რომელსაც სასამართლო იყენებს, არის მხარეებს შორის ახლო პირადი კავშირების არსებობა.

ევროსასამართლო თავის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში ეხება ე. წ. de facto კავშირებს წყვილს შორის, როგორც ოჯახური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფერო. ამ კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული გადაწყვეტილებაა X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y, and Z v. the United Kingdom), სადაც „ოჯახური ცხოვრების“ ცნება ასე განიმარტა: „არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახებით და შეიძლება, მოიცავს სხვა დე ფაქტო ურთიერთობები. როდესაც წყდება, შეიძლება თუ არა ურთიერთობა შეადგენდეს „ოჯახურ ცხოვრებას,“ რიგი ფაქტორები შეიძლება იყოს ამასთან კავშირში, მათ შორის: ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად, მათი ურთიერთობის ხანგრძლივობა და გამოავლინეს თუ არა მათ თავიანთი ვალდებულება ერთმანეთის მიმართ ბავშვების ერთად ყოლით ან რაიმე სხვა საშუალებით.“³

აღნიშნული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, საქმეში – კრონი ნიდერლანდის წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands), ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ თანაცხოვრება არ მიიჩნევა ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელ წინაპირობად. ჩვეულებრივ, ერთად ცხოვრება შეიძლება იყოს ასეთი ურთიერთობის მოთხოვნა, მაგრამ როგორც გამონაკლისი, ოჯახური ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს, მიუხედავად თანაცხოვრებისა.⁴ იგივე პოზიცია გამოხატა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – ბუგანემი საფრანგეთის წინააღმდეგ (Boughanemi v. France), სადაც მიუთითა, რომ ოჯახური ცხოვრება შეიძლება არსებობდეს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს თანაცხოვრება. სასამართლომ აღნიშნა, რომ: „ოჯახური ცხოვრების კონცეფცია, რომელსაც ეფუძნება მე-8 მუხლი, მოიცავს კავშირს მშობელსა და მის შვილს შორის, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს თანაცხოვრება...“⁵

საქმე – პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Petrov v. Bulgaria), ეხებოდა საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, პატიმრებს მეუღლეებთან და რეკვა თვეში ორჯერ შეეძლოთ. განმცხადებელი დაპატიმრებამდე ორი წლის განმავლობაში

³ X, Y და Z v. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y, and Z v. the United Kingdom), 1997 წლის 24 აპრილი.

⁴ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ., 2017, გვ. 176-177.

⁵ იქვე, გვ. 177.

პარტნიორთან ერთად ცხოვრობდა და მასთან შვილიც ჰყავდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებას განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა, ტელეფონით კომუნიკაციის წესთა მიზნებისათვის, განმცხადებელი, რომელმაც ოჯახი შექმნა სტაბილურ პარტნიორთან, დაქორწინებულ წყვილთან თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების გარკვეული ფარგლები ჰქონდათ მინიჭებული, რათა დაქორწინებულ და დაუქორწინებელ წყვილებს სხვადასხვაგვარად მოპყრობოდნენ ისეთ სფეროებში, როგორცაა, მაგალითად, დაბეგვრა, სოციალური დაზღვევა ან სოციალური პოლიტიკა, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა მოპყრობოდნენ სხვადასხვაგვარად დაქორწინებულსა და იმ დაუქორწინებელ წყვილებს, რომლებმაც ოჯახი შექმნეს, ერთ-ერთი მათგანის საპატიმროში ყოფნისას, როცა საქმე ეხება პარტნიორთან ტელეფონით კონტაქტის შენარჩუნებას.“ შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დისკრიმინაცია გაუმართლებლად მიიჩნია.⁶

საქმე – სერიფე იგითი თურქეთის წინააღმდეგ (*Serife Yigit v. Turkey*), ეხებოდა თურქეთის მოქალაქეს (მოსარჩელე), რომელიც ქმრის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მასთან რელიგიურ, მაგრამ არა სამოქალაქო ქორწინებაში. მათ ერთობლივად ჰყავდათ ექვსი შვილი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, მომჩივანმა ეროვნულ დონეზე მოითხოვა ქორწინების აღიარება, რაც არ დაკმაყოფილდა. მომჩივანმა ასევე, მოითხოვა პენსიისა და ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული შეღავათების მიღება. საქმის შესაფასებლად ევროპულ სასამართლოს პირველ ყოვლისა, უნდა განესაზღვრა, ჰქონდათ თუ არა მომჩივანსა და გარდაცვლილს „ოჯახური ცხოვრება“. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების გარანტირებით, მე-8 მუხლი ვარაუდობს ოჯახის არსებობას. „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა ან არარსებობა ძირითადად, არის ფაქტის საკითხი, რომელიც დამოკიდებულია ახლო პირადი კავშირების რეალურ არსებობაზე.“⁷

საქმეზე – კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (*Keegan v. Ireland*), განმცხადებლის მეგობარმა ქალმა მისგან გააჩინა გოგონა. თუმცა, ბავშვის დაბადებამდე ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. მამას არ მისცეს ბავშვის ნახვის უფლება. დაბადებიდან სულ მალე, დედამ გააშვილა გოგონა და მხოლოდ შემდეგ შეატყობინა ბავშვის მამას ამის შესახებ. ამ უკანასკნელმა აღძრა საქმე ბავშვის მზრუნველად მისი დანიშვნის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მამის მოთხოვნა და დანიშნა ის ბავშვის მზრუნველად, მაგრამ საქმე გააგზავნა უმაღლეს სასამართლოში, ირლანდიის 1964 წლის კანონის დებულებების განმარტების

⁶ პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Petrov v. Bulgaria*), 2008 წლის 22 მაისი.

⁷ სერიფე იგითი თურქეთის წინააღმდეგ (*Serife Yigit v. Turkey*), 2010 წლის 02 ნოემბერი.

მიზნით. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „კანონიერი ქორწინების“ გარეშე დაბადებული ბავშვის მამას, კანონის შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება დანიშნული ყოფილიყო ბავშვის მზრუნველად. მანვე, საქმის განმეორებით განხილვის დროს, უარყო განმცხადებლის სარჩელი მისი მზრუნველად დანიშვნის შესახებ იმ მოტივით, რომ გაშვილებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის გამო, გოგონას ჩამოუყალიბდა თბილი დამოკიდებულება თავისი მშვილებლებისადმი, მიეჩვია მათ და ნებისმიერი ახალი ცვლილება მის ცხოვრებაში გოგონას ახალ ტრავმას მიაყენებდა.⁸

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ გააფართოვა „ოჯახური კავშირების“ გაგება: ბავშვის მშობლები, მის დაბადებამდე ეწეოდნენ ერთობლივ ცხოვრებას და განზრახული ჰქონდათ დაქორწინება ე. ი. de facto „ოჯახური კავშირები“ არსებობდა. ამის შესაბამისად, ასეთი კავშირის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და მის მშობლებს შორის არსებობდა კავშირი, რომელიც ტოლფასი იყო „ოჯახური კავშირისა“ იმის მიუხედავად, რომ ბავშვის დაბადების დროისათვის მშობლები ერთად აღარ ცხოვრობდნენ. სასამართლომ განმარტა, რომ ოჯახურ ცხოვრებაზე პატივისცემის უფლების მიმართ სახელმწიფოებს გააჩნდათ არა მარტო ნეგატიური ვალდებულება, არამედ პოზიტიურიც – ეზრუნათ, რომ ხელი შეეწყოს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებული იყო ეზრუნა, რომ განემტკიცებინა „ოჯახური კავშირები“ და შეექმნა კანონიერი გარანტიები საიმისოდ, რომ ბავშვი დაბადებისთანავე ჩაბმულიყო ოჯახურ კავშირში.⁹

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ კონცეფცია კიდევ უფრო ფართოდ განმარტა, რომელმაც მოიცვა ერთი და იმავე სქესის წყვილების ურთიერთობა. საქმე – შაკლი და კოფი ავსტრიის წინააღმდეგ (Schalk and Kopf v. Austria),¹⁰ მოსარჩელებმა, ერთი და იმავე სქესის წყვილმა უარი მიიღო თხოვნაზე, დაერთოთ ნება, დაქორწინებულიყვნენ. მართალია, არ დადგინდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ბოლო პერიოდში, ევროპის მრავალ ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა მიმართ სოციალური დამოკიდებულებისკენ სწრაფი ევოლუციის გათვალისწინებით, „ხელოვნური იქნებოდა სასამართლოსათვის მოსაზრების შენარჩუნება, რომ ერთი და იმავე სქესის წყვილები ვერ ისარგებლებენ „ოჯახური ცხოვრებით“, კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მოსარჩელეთა – ერთად მცხოვრები ერთი და იმავე სქესის წყვილის ურთიერთობა, რომლებსაც სტაბილური დე ფაქტო პარტნიორობა აქვთ, ექცევა ცნებაში – „ოჯახური

⁸ კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland), 1994 წლის 26 მაისი.

⁹ კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland), 1994 წლის 26 მაისი.

¹⁰ შაკლი და კოფი ავსტრიის წინააღმდეგ (Schalk and Kopf v. Austria), 2010 წლის 22 ნოემბერი.

ცხოვრება,“ ისევე როგორც მოექცეოდა განსხვავებული სქესის წყვილის ურთიერთობა იმავე სიტუაციაში.“¹¹

საქმეში – სოუსედო გომესი ესპანეთის წინააღმდეგ (Saucedo Gómez v. Spain), განმცხადებელი, რომელიც უკვე დაქორწინებული იყო სხვა პირზე 18 წლის განმავლობაში (1974–1992 წლებში) თანაცხოვრებაში (დე ფაქტო ურთიერთობაში) იმყოფებოდა A.R.-თან, რომელთანაც დაქორწინება თავიდან არ შეეძლო. აღსანიშნავია, რომ 1981 წლამდე (ახალი კანონის მიღებამდე), ესპანეთში მოქმედი კანონმდებლობით განქორწინება არ იყო დაშვებული. სოუსედო გომესი თავის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა A.R.-ის საკუთრებაში არსებულ სახლში. ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ, განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახლით სარგებლობის უფლების გამოყოფა და ფინანსური უზრუნველყოფა ყოფილი პარტნიორისგან. სარჩელი ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმის საფუძველზე, რომ შესაბამისი კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა დე ფაქტო ურთიერთობებზე. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მოსამართლის მიერ საცხოვრებლით სარგებლობაზე უარის თქმის მიზეზები წარმოადგენდა დისკრიმინაციულ მოპყრობას და არღვევდა მის უფლებას ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე. ამ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ფაქტებით ნამდვილად დასტურდებოდა ოჯახური ცხოვრების არსებობა სოუსედო გომესა და A.R.-ს შორის და, რომ ეროვნული სასამართლოების მხრიდან დაფიქსირებული იქნა განსხვავებული მოპყრობა ოფიციალურ ქორწინებაში არსებულ წყვილებსა და თანაცხოვრებაში არსებულ წყვილებს შორის. ამასთან, განმარტა, რომ „სოციალური რეალობა“ აჩვენებს სტაბილური კავშირების არსებობას მამაკაცებსა და ქალებს შორის [ქორწინების გარეთ]... თუმცა, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ განმცხადებელი უკვე იმყოფებოდა ოფიციალურ ქორწინებაში, რომელთან განქორწინებაც მართალია A.R.-თან თანაცხოვრების დაწყების დროისათვის (1974 წელი) ვერ მოახერხა, შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის გამო თუმცა, 1981 წლიდან მას ჰქონდა ყველანაირი შესაძლებლობა ოფიციალურად განქორწინებულიყო, რაც არ გაუკეთებია.¹²

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესწავლის შემდგომ, თვალშისაცემია შესამჩნევი ცვლილებები de facto ურთიერთობის განმარტებაში.

¹¹ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ., 2017, გვ. 178; იხ.: D. Harris, M. O’Boyle C Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 526.

¹² სოუსედო გომესი ესპანეთის წინააღმდეგ (Saucedo Gómez v. Spain), 1999 წლის 26 იანვარი.

სასამართლო დე ფაქტო ურთიერთობებს უფრო ფართოდ, უფრო მოქნილი ინტერპრეტაციით განმარტავს, თანაცხოვრების ინდიკატორის ნაკლებად ფორმალისტური მიდგომით. ასევე, შესამჩნევია ნაკლები ფოკუსირება ტრადიციულ მახასიათებლებზე, როგორცაა ოფიციალური ორგანოში ხელმოწერის არსებობა, საჯარო რეპუტაცია და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ სტატიაში განხილული პრეცედენტული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანი „საგზაო ნიშნებია“, რადგან საოჯახო სამართალი მალე გაუმკლავდება კითხვებს დე ფაქტო ურთიერთობების შესახებ, მათ შორის, თუ როგორ უნდა დადგინდეს ურთიერთობის არსებობა, ხანგრძლივობა და ნამდვილობა, ვინაიდან ამას დღევანდელი რეალობა და სოციუმი მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ კანონი იმისთვის არსებობს – დააკმაყოფილოს სოციუმის მოთხოვნა, უზრუნველყოს მათი დაცულობა და უსაფრთხოება. კანონი კი არ უნდა კარნახობდეს საზოგადოებას, თუ რა არის სამართლიანი პირიქით, საზოგადოება უნდა კარნახობდეს კანონს სამართლიანობას. შესაბამისად, როდესაც საზოგადოების განვითარებასთან ერთად წარმოიშობა გარკვეული სახის ურთიერთობები, რომლებიც თავისი შინაარსით ნამდვილია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ ურთიერთობების შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევა (დაცვა) და არა იგნორირება სწორხაზოვნად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ბოხაშვილი, კ. კორკელია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი 2017;
2. Kirillova, E.A., Bogdan, V.V., Kaymakova, E.V., Ozerov, I.N. and Zenin, S.S., 2016. Inheritance rights of spouses in the actual marriage: a comparative-legal aspect. *Journal of Advanced Research in Law and Economics*, 7(2);



DE FACTO FAMILY RELATIONS BETWEEN COUPLES ACCORDING TO THE CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF JUSTICE

TAMAR IOSELIANI

*PhD student of the Faculty of Law and Social Sciences of
the East European University, Mediator
Assistant to the judge of the Tbilisi Court of Appeal*

Today, in Europe and the United States, family crises are becoming more and more relevant – it can be said that registered marriages have become less popular than actual marriages. Neither theory nor legal practice could fully resolve many issues related to the legal status of spouses in actual marriage. Based on case law, it can be said that a de facto marriage is a permanent, stable, monogamous relationship between people who have reached marriageable age and are not officially registered under the law but, in fact, have a family for more than two years, which gives rise to rights and obligations both to each other and to their children – if they have children. Therefore, it becomes increasingly crucial that civil law regulations should regulate the common property of de facto spouses.

The right to respect private and family life is undoubtedly one of the most interesting rights, covering a wide range of issues. However, the article discusses several precedent decisions of

the European Court of Justice and the relationships between couples in so-called de facto relationships, when they can be considered "family life" and fall within the scope of protection of Article 8 of the Convention.

After studying the case law of the European Court of Human Rights, noticeable changes in the definition of de facto relationships are evident. Courts interpret de facto relationships more broadly and more flexibly, with a less formalistic approach to the cohabitation indicator. Also, there is noticeably less focus on traditional features, such as the presence of a signature in an official body, public reputation, and others. It can be said that the precedent decisions discussed in the article are essential "road signs" because family law will soon deal with questions about de facto relationships, including how to determine the existence, duration, and validity of the relationship, as today's reality and society require it.

It should be noted that the law exists to meet society's demands and ensure their safety and security. The law should not dictate to society what is fair; on the contrary, society should dictate justice to the law. Accordingly, when certain genuine relationships arise along with society's development, the state must ensure that these relationships are brought into the appropriate legal framework (protection) and not simply ignored.

სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერება მისი გასაჩივრებისას უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის პირობით

ხათუნა სხირთლაძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის

უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების/სასამართლო აქტების, ისე ძალაში შესული სასამართლო აქტების გასაჩივრება. კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო აქტების გასაჩივრება ერთდროულად ორ მიზანს ისახავს: გასაჩივრებული აქტის კანონიერი ძალის შეჩერებას – ცხადია, იგულისხმება, რომ საჩივარი ვადაში არის შეტანილი და საქმეზე დამდგარი შედეგის შეცვლას ზემდგომი სასამართლოს მეშვეობით. რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესული აქტის გასაჩივრებას, მისი მიზანი უწინარეს ყოვლისა, არის ფაქტობრივი, არასამართლებრივი ხასიათის შეცდომების გამოსწორება. იშვიათ შემთხვევაში, საქმის განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს სამართლებრივი ხასიათის

შეცდომაც. ეს ხდება ცალკეულ შემთხვევაში. ერთ-ერთი ასეთია ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის დარღვევის დადგენა, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნულ დარღვევას ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მართოდენ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებას როდი უშვებს. აღსრულება გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია ძალაში შეუსვლელი აქტების მიმართაც დადგინდეს. არამართლზომიერმა აღსრულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს აღსრულების მოვალეს. ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს არამართლზომიერი აღსრულების თავიდან აცილების მექანიზმი. მეორე მხრივ, აღსრულების შეფერხებით შეილახება კრედიტორის ინტერესები. საჭიროა ამ ორი ინტერესის დაბალანსება. მოცემული სტატიის მიზანია გამოკვლეული იქნას აღნიშნული პრობლემა, თუ როგორ არის დაბალანსებული მხარეთა ინტერესები სასამართლო აქტების გასაჩივრებისას, აღსრულების შეჩერების და უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების ასპექტით.

ამ პრობლემის ანალიზი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ სასამართლო პრაქტიკაში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების საკითხისადმი. არც მონოგრაფიული კვლევა არსებობს აღნიშნულ პრობლემაზე. დღიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებისა, გარკვეული ცვლილებები განიცადა გადაწყვეტილებათა აღსრულების მომწესრიგებელმა დანაწესებმა, რაც განაპირობებს კვლევის აქტუალობას.

თავი I. ნორმატიული დანაწესები საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით

კვლევის საგანთან დაკავშირებით, შესაბამისი დანაწესები გვხვდება როგორც კერძო საჩივრის, ისე აპელაციის, კასაციის და საქმის განახლების მომწესრიგებელ ნორმებში (სსსკ-ის 418-ე, 375-ე, 402-ე და 432-ე მუხლები).¹ უზრუნველყოფის გარანტიებზე კი, საუბარია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 58-ე მუხლებში.

თავი II. ძალაში შეუსვლელი სასამართლო აქტის აღსრულება და ასეთი აქტის გასაჩივრების სამართლებრივი შედეგები

კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო აქტის გასაჩივრება სამართლებრივი შედეგის სახით ყოველთვის იწვევს მისი კანონიერი ძალის შეჩერებას, მაგრამ ყოველთვის როდი იწვევს ასეთი აქტის აღსრულების შეჩერებას. მაშასადამე, კანონიერი ძალის შეჩერება უნდა განვასხვაოთ აღსრულების შეჩერებისაგან. სასამართლო აქტის კანონიერი ძალის შეჩერე-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ბით, აღსრულების დაწყების პროცესიც სამომავლოდ გადაიწვეს, რამეთუ სსსკ-ის 267-ე მუხლის შესაბამისად, აღსრულება დასაშვებია სასამართლო აქტის მხოლოდ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ ეს არ ეხება შემთხვევებს, როცა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.² გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შეჩერების ფარგლები განისაზღვრება სააპელაციო საჩივრის/კერძო საჩივრის თუ საჩივრის ფარგლებით.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულება, როგორც წესი, არ შეჩერდება. დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც დადასტურდება, რომ არსებობს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის და მამასადამე, აღსრულების შეჩერების მნიშვნელოვანი საფუძველი. ეს კი, მაშინ ხდება, როდესაც მოსალოდნელია საქმის შედეგის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს (ზოგადად, ზემდგომ სასამართლოს) შეუძლია აღსასრულებლად მიქცეული აქტების მხოლოდ დროებითი შეჩერება და ასეთ გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმება.³ ამასთან, არსებული წესის (სსსკ-ის 375-ე და 402-ე მუხლები – შესაბამისად, 418-ე მუხლიც) თანახმად, აღნიშნულის განხორციელება ზემდგომ სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

თავი III. უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების წინაპირობა და საფუძველი

აუცილებელია გააანალიზდეს, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ყველა გადაწყვეტილების მიმართ არის თუ არა საჭირო ამგვარი გარანტიების გამოყენება მათი აღსრულების პრევენციისთვის? ანალიზს მოითხოვს ის საკითხიც, თუ რას გულისხმობს კანონი „გარანტიების გამოყენებაში“ – სასამართლოს ინიციატივით მათ გამოყენებას თუ მხარის მიერ გარანტიების შეთავაზებას? საინტერესოა, რა იგულისხმება დასახელებული ღონისძიებების გაუქმებაში? ან შეუძლია თუ არა სასამართლოს საჩივრის ფარგლებში, გააუქმოს ეს ღონისძიებები? საჩივრის ფარგლებში შეუძლებელია სასამართლომ იმსჯელოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. მით უმეტეს, ისინი აღსრულების შეჩერებამდე კანონიერად განხორციელებულად ითვლებიან. თუ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება გაუქმდება, ამის შემდეგ აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე შეწყვეტს აღსრულებას, თავად გააუქმებს აღსრულების ფარგ-

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: 195-ე, 268-ე, 270-ე მუხლები.

³ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა), გამომც. სამართალი, თბ., 2007, გვ. 643, 712-713.

ლებში მიღებულ ღონისძიებებს და საქმეს გადასცემს შესაბამის არქივს.⁴ აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმება სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე.

სსსკ-ის 375-ე და 402-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები არ გულისხმობენ არც სარჩელის უზრუნველყოფის მსგავს ღონისძიებას, რამეთუ სარჩელი დაკმაყოფილებულია და გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ მიქცეულია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. თუმცა, აშკარაა, რომ დასახელებულ ნორმებში საუბარია აღსრულების შეჩერებაზე და მაშასადამე, ამით მოვალის უფლებათა უზრუნველყოფაზე. ხოლო ვინაიდან აღსრულების დაყოვნების გზით მოვალის უფლების უზრუნველყოფა გავლენას ახდენს მოსარჩელის (უფრო სწორად კი, აღსრულების კრედიტორის) უფლებაზე, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება. გარანტიის მოთხოვნა ფაქტობრივად გულისხმობს მოვალის მიერ საპასუხო უზრუნველყოფის განხორციელების ვალდებულებას. საყურადღებოა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, აღსრულების შეჩერების საფუძველები არ არის ამომწურავი.⁵

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებულ ნორმებში საუბარია როგორც აღსრულების დროებით შეჩერებაზე, ისე ზოგადად, აღსრულების შეჩერებაზე. ვფიქრობთ, სიტყვები: „დროებით შეჩერება,“ ნორმაში არასწორად არის გამოყენებული, ვინაიდან აღსრულების შეჩერება, ისევე როგორც პროცესის (საქმის) შეჩერება, შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტული დროის მონაკვეთით ან კალენდარული თარიღით. მით უმეტეს, ამავე ნორმის დანაწესის შესაბამისად, აღსრულების შეჩერება დამოკიდებულია გარანტიათა მექანიზმის გამოყენებაზე და მაშასადამე, აღსრულება შეჩერდება დავის არსებითად გადაწყვეტამდე, საქმის დასრულებამდე. თუ საქმე დასრულდება მოვალის სასარგებლოდ, მაშინ აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც გაუქმდება. ამრიგად, აღსრულების დროებითი შეჩერების ტერმინი არავითარი დატვირთვის მატარებელი არ არის შედეგობრივი თვალსაზრისით. ნებისმიერ შემთხვევაში, საუბარია აღსრულების შეჩერებაზე, რომელიც გარანტიის მოთხოვნისა და გამოყენების საფუძველია თუმცა, გარანტიის წარდგენა/მოთხოვნა წინ უსწრებს აღსრულების შეჩერებას. აღნიშნული წესი შეიძლება შედარებული იქნას მოსარჩელი-სათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ წესთან. უკანასკნელ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფა

⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (16/04/1999), მუხლი 34; ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ქურდაძე გ., ჭყონია მ., სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის კომენტარი. გამომც. დანი, თბ., 2018, გვ.18.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 07 მარტის განჩინება №ბს-727-711(კ-12).

მხოლოდ მაშინ უქმდება, თუ იგი შემხვედრ უზრუნველყოფას არ განახორციელებს (სსსკ-ის 199-ე მუხლი) მაშინ, როდესაც სსსკ-ის 375-ე, 402-ე, 432-ე მუხლების დანაწესების გამოყენების წინაპირობა გარანტიის წინასწარ წარდგენაა.

დაბოლოს, არასწორი იქნებოდა, თუ აღსრულების გაუქმების ან შეჩერების წესის გამოყენება მოხდებოდა დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ. საქმე ის არის, რომ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ესა თუ ის გადაწყვეტილება სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან საქმეზე მიიღება. მაგალითად, დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება ალიმენტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაც, რომელიც მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე ყოველთვის უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამიტომ გაუმართლებელი იქნება, თუ სასამართლო აღსრულებას შეაჩერებს ან გააუქმებს იმ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც უპირობოდ ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ აღსრულებას.⁶

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს სსსკ-ის 375-ე და 402-ე მუხლების დანაწესში გამოყენებულ ტერმინს. კერძოდ, ამ ნორმათა თანახმად, აღსრულების გაგრძელების საკითხს იმის მიხედვით, იძლევა თუ არა აღსრულების შეჩერების მომთხოვნი პირი „შესაბამის გარანტიებს.“ ტერმინი „შესაბამისი გარანტიები“ სწორედ იმის მაუწყებელია, რომ გარანტია აღსასრულებელი მოთხოვნის შესაბამისი უნდა იყოს. ამიტომ, თუ მოთხოვნა არ საჭიროებს გარანტიების წარდგენას, ვერც ამგვარი გარანტია დაუდგინდება აღსრულების შეჩერების მომთხოვნს. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს სავინდიკაციო სარჩელზე⁷ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც აღსრულდება დაუყოვნებლივ. ასეთ სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაჩერებლად არაგონივრული იქნება მოვალეს მოეთხოვოს გარანტიის წარდგენა, რამეთუ ვინდიკაციის განხორციელება არ უკავშირდება ქონებრივი ხასიათის გადასახდელს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სხვა გადაწყვეტილებები უკავშირდებიან ქონებრივ გადასახდელს. სავინდიკაციო სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ აღსრულების წესი შემოღებული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ამავე კოდექსის 375-ე და 402-ე მუხლები კი, არ შეცვლილა. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არის დასაშვები. ასეთი განსაკუთრებული შემთხვევა მოცემულია მაშინ, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, მოსალოდნელია საქმეზე შედეგის შეცვლა და

⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმეები.

⁷ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 97-98.

მაშასადამე, აღსრულების შეჩერებით კრედიტორის უფლებები არსებითად არ შეილახება. თუ სხვა საქმეზე დადგენილი დაუყოვნებლივ აღსრულება,⁸ მაშინ დასაშვებია სსსკ-ის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება და 375-ე მუხლის შინაარსი, ამ ასპექტით, არ შეიძლება განიმარტოს სიტყვასიტყვით, მისადაგოს დაუყოვნებლივ აღსრულების ყველა შემთხვევას, მაშასადამე, მას უფრო ვიწრო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

რაც შეეხება გარანტიებს, რომელზეც საუბარია 375-ე და 402-ე მუხლებში, მათში მოიაზრება სსსკ-ის 199-ე მუხლის, 57-ე და 58-ე მუხლების დანაწესების გამოყენება.

თავი IV. უზრუნველყოფის გარანტია, როგორც მხარეთა ინტერესების დაბალანსების მექანიზმი

აღსასრულებელი ღონისძიებების გაუქმებით, აღსრულების შეჩერებით ან პირიქით, აღსრულების გაგრძელებით შესაძლოა ზიანი განიცადოს ამა თუ იმ მხარემ, არსებითად შეილახოს მხარის უფლებები. ამიტომ სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნული ზიანის უზრუნველსაყოფად⁹ სათანადო გარანტიების წარმოდგენა მოსთხოვოს იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც დროებით უქმდება, ჩერდება ან გრძელდება აღსრულება. მაშასადამე, უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენება ფართოდ უნდა იყოს გაგებული, რომელიც უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს მხარის ვალდებულებას, წარადგინოს ამგვარი გარანტიები, ასევე სასამართლოს უფლებას (უფრო კი, ვალდებულებას), თუ აჩერებს აღსრულებას, გარანტიების წარდგენა მოსთხოვოს იმას, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება აღსრულების შეჩერება. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა სსსკ-ის 57-ე მუხლის დანაწესი, რომელიც აქცენტს მოსარჩელეზე ან მოპასუხეზე კი არ აკეთებს, არამედ ზოგადად, მხარეზე. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება: „მოცემული და ასევე 58-ე მუხლი ვრცელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებებზე, სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებებზე. საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების საჭიროება მართლოდენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას როდი წარმოიშობა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სსსკ-ის 57-ე მუხლი ფართო მნიშვნელობისაა და მიუთითებს შესაბამის საპროცესო მოქმედებებზე, რომელთა შესრულებითაც შეიძლება მოწინააღმდეგე მხარემ ბარალი განიცადოს. შესაბამისად, ასეთი საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებამაც შესაძლოა წარმოუშვას ბარალი მოწინააღმდეგე

⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

⁹ სსსკ-ის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 402-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებულ უზრუნველყოფაში იგულისხმება სწორედ მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა.

მხარეს, გათვალისწინებულია არა მარტო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით (სარჩელის უზრუნველყოფა), არამედ აგრეთვე, სსსკ-ის 268-ე, 271-ე, 432-ე და სხვა მუხლებით. ამ დანაწესების მიზანია მოწინააღმდეგე/მეორე მხარის მოთხოვნების უზრუნველყოფა და არა სასამართლო ხარჯების გადახდაზე სახელმწიფო ხაზინის/ბიუჯეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, უზრუნველყოფის გარანტია შეიძლება დადგინდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის სასარგებლოდ.¹⁰ დასახელებული მოსაზრება მართებულია, თუმცა უნდა დაზუსტდეს, რომ უზრუნველყოფის გარანტია არა მხოლოდ მოსარჩელის და/ან მოპასუხის სასარგებლოდ შეიძლება დადგინდეს – მისი დადგენა დასაშვებია კრედიტორისა და მოვალის მიმართაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღება უწინარეს ყოვლისა, უნდა გამახვილდეს უზრუნველყოფის გარანტიის დამდგენ ნორმაზე, რომელიც ასახულია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტში. კერძოდ, ეს არის სსსკ-ის 199-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას.¹¹ მისი ფორმულირება ზედმეტად გამოიყურება სსსკ-ის 57-ე მუხლის დანაწესის არსებობის პირობებში. ეს უკანასკნელი ისედაც გულისხმობს და უფრო ზუსტადაც ასახავს უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსს და ფართო გარანტიებს აწესებს ორივე მხარისათვის და არა მხოლოდ რომელიმე ერთი სუბიექტისათვის. მისგან განსხვავებით, სსსკ-ის 199-ე მუხლის გამოყენება დამოკიდებულია პროცესში მონაწილის სტატუსზე – უზრუნველყოფის გარანტია დგინდება მოპასუხის სასარგებლოდ.¹² მეორე ის, რომ სარჩელის უზრუნველყოფისას დაწესებული მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის გარანტიისაგან განსხვავებით, სასამართლო აქტების გასაჩივრების ეტაპზე გამოყენებული უზრუნველყოფის გარანტიის (და საერთოდ, სსსკ-ის 57-ე მუხლით ნაგულისხმევი გარანტიის) დადგენა კი, ხდება არამარტო პროცესის მხარეთა სასარგებლოდ, არამედ სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა სასარგებლოდ. სააღსრულებო წარმოების მონაწილე მხარე არის კრედიტორი და მოვალე. აღსრულების კრედიტორი და მოვალე შეიძლება სრულებითაც არ ემთხვეოდეს სამოქალაქო პროცესში მონაწილე მოსარჩელესა და მოპასუხეს. ამასთან, სააღსრულებო წარმოება სამოქალაქო პროცესის გაგრძელებაა. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 57-ე მუხლი, როგორც ფართო გამოყენების ნორმა, შესაძლოა გამოყენებული იქნას და გამოიყენება კიდევ, სააღსრულებო წარმოების მხარეების მიმართაც.

¹⁰ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომც. მერიდიანი, თბ., 2022, გვ. 256.

¹¹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, 2005, თბ., გვ. 220.

¹² ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, გვ. 142; Yeazell, S., Schwartz, J., Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer, 2019, 316.

უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების საჭიროება შეიძლება დადგეს სასამართლო განჩინებათა გასაჩივრების დროსაც. გარკვეულწილად, აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სსსკ-ის 418-ე მუხლი. მართალია, მოცემულ ნორმაში საუბარია კერძო საჩივრის შეტანის შედეგებზე, მაგრამ ნორმის დანაწესები თანაბრად ვრცელდება განჩინებაზე შეტანილ საჩივარზეც. მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულდება, სსსკ-ის 195-ე მუხლის თანახმად. სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების საჩივრით გასაჩივრებისას, უზრუნველყოფის განჩინება ავტომატურად როდი შეჩერდება. მოცემული მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია სასამართლოს. იგულისხმება განჩინების გამომტანი სასამართლო, როცა ცალკეულ შემთხვევაში (როგორც ეს სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრებისას ხდება), სწორედ აღნიშნული სასამართლო მსჯელობს განჩინების კანონიერებაზე.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერებას, მოპასუხეს შეუძლია როგორც აღსრულების შეჩერების საკითხის დასმა, ისე უფლება აქვს მოსარჩელისაგან მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც ცხადია უკავშირდება შესაბამისი გარანტიების გამოყენებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედების დასაწყის ეტაპზე, თავად განჩინების გამომტანი სასამართლო იყო უფლებამოსილი კერძო საჩივრის შეტანისას, მის საფუძველზე განეხორციელებინა თავისი განჩინების კორექტირება, თუ საჩივარს საფუძვლიანად ჩათვლიდა. მოგვიანებით, საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად, კერძო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი გახდა ზემდგომი სასამართლო. მაშასადამე, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც განჩინების გამომტან სასამართლოს თავად ეძლევა მისი კორექტირების საშუალება, უკავშირდება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არსებულ სხვადასხვა განჩინებას. სხვა შემთხვევებში კი, განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივარს იხილავს ზემდგომი სასამართლო. სწორედ ზემდგომ სასამართლოს ეგზავნება განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივარი. მაგალითად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება დგინდება განჩინებით, რომელიც ექვემდებარება კერძო საჩივრით გასაჩივრებას. განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების დანაწესი, ზემდგომ სასამართლოს ანიჭებს გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, აღსრულების შეჩერების თაობაზე იმსჯელებს ზემდგომი სასამართლო.¹³ რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შეჩერე-

¹³ სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას სასამართლო ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით და არა განჩინებით. თუმცა, სარეზოლუციო ნაწილის ის პუნქტი, რომლითაც დადგინდა დაუყოვნებლივ აღსრულება, საჩივრდება კერძო საჩივრით, ხოლო დანარჩენი პუნქტები, ანუ გადაწყვეტილება – სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით, იმის მიხედვით, თუ რომელი სასამართლოს აქტი საჩივრდება.

ბის ფორმას, ეს არის განჩინება. სასამართლო/ზემდგომი სასამართლო განჩინებით აჩერებს შესაბამის საპროცესო მოქმედებას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს შესაბამისი გარანტიების გამოყენების საკითხი (სსსკ-ის 420-ე, 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის,¹⁴ 57-ე და 58-ე მუხლების დანაწესები და სხვა ნორმები).¹⁵ საქმე ის არის, რომ ზემდგომი სასამართლო კერძო საჩივარს იხილავს შესაბამისი ინსტანციისთვის დადგენილი წესების მიხედვით. ამიტომ მართალია, საკუთრივ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლი არ ითვალისწინებს ამავე კოდექსის 375-ე და 402-ე მუხლებით დადგენილი წესების პირდაპირ გამოყენებას, მაგრამ ეს არ აბრკოლებს კერძო საჩივრის განმხილველ სასამართლოს გარანტიების გამოყენების ან მხარისათვის მათი წარდგენის მოთხოვნისას.

თავი V. უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება ძალაში შესული სასამართლო აქტის გასაჩივრებისას

უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების საკითხი აქტუალურია სასამართლო აქტის გასაჩივრების საგამონაკლისო მექანიზმის გამოყენების დროსაც, რაშიც იგულისხმება საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა.

საქმის განახლების განცხადების შეტანას კანონმდებელი სასამართლო აქტის გასაჩივრებას უწოდებს თუმცა, ეს არ არის ზუსტი ფორმულირება.¹⁶ სახელდობრ, სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებად მიიჩნევს. ნორმაში ნათქვამია: „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.“ საქმის განახლებისას ხდება არა გასაჩივრება, არამედ საქმის ხელახლა განხილვის საფუძვლების შემოწმება იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც არსებითად განიხილა საქმე ან რომლის აქტივაც და მთავრდა საქმის საბოლოო განხილვა. საყურადღებოა ისიც, რომ საქმის განახლების მიზნით შეტანილი საპროცესო დოკუმენტი, განცხადებად იწოდება და არა საჩივრად. თუმცა, რადგან კანონი იყენებს გასაჩივრების ტერმინს, წინამდებარე ნაშრომშიც ამ სახით არის წარმოდგენილი აღნიშნული აქტების გასაჩივრების მექანიზმი.

¹⁴ ამ ნორმაზე აქცენტირება რელევანტურია, რამეთუ უშვებს მიღებული უზრუნველყოფის ნაცვლად დებოზიტზე თანხის შეტანის შესაძლებლობას.

¹⁵ მაგალითად ისინი, რომლებიც აღსრულების შეჩერების და სააღსრულებო მოქმედებათა გაუქმების შესაძლებლობას ითვალისწინებენ შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

¹⁶ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომც. მერიდიანი, თბ., 2022, გვ. 270.

საქმის განახლების განცხადების შეტანას არა აქვს აღსრულების შემაჩერებელი ეფექტი.¹⁷ განცხადების შეტანას გააჩნია გადასასინჯ გადაწყვეტილებაზე სამომავლო გავლენის მომხდენი ეფექტი და ისიც, გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელ ნაწილშიც განცხადება გამოიწვევს საქმის გადასინჯვას ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტით. საქმის განახლების ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლო აქტის გასაჩივრების რესტრექციულ მექანიზმს.¹⁸ საქმის განახლების მიზანია მართოდენ ის, რომ ფაქტობრივი, არასამართლებრივი და ზოგჯერ კი, სამართლებრივი შეცდომის გამოც, გადასინჯოს სასამართლო აქტი და საქმე ხელახლა განიხილოს ამ აქტის გამომტანმა სასამართლომ.

თუ გადასასინჯი გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული, მაშინ ეს განცხადება ვერ შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს განჩინებით დროებით შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება.¹⁹ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება (როგორც ნორმაშია „სისრულეში მოყვანა“) ასეთ შემთხვევაში, იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების განახლების მომთხოვნ²⁰ პირი შესაბამის გარანტიებს (სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლები).

გარანტიების მოთხოვნის საჭიროება განპირობებულია მოსალოდნელი ზიანით, რომელიც შესაძლოა განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით ყოველთვის როდი შეიძლება განიცადოს ზარალი. მაგალითად, თუ აღსრულება ხორციელდება და აღსრულების ფარგლებში მოვალის (საქმის განახლების მომთხოვნი პირი) მიმართ უკვე გამოყენებულია შესაბამისი შეზღუდვები (მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება და სხვა), მაშინ დამატებითი გარანტიების წარმოდგენა აღარ შეიძლება მოეთხოვოს საქმის განახლების მომთხოვნს ან ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 432; ლილუაშვილი ა., კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმეების წარმოების განახლება (სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი), 2010, გვ. 155.

¹⁸ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (კერძო საჩივარი, აპელაცია, კასაცია, საქმის განახლება), გამომც. მერიდიანი, თბ., 2024, 364-ე – 432 პრიმა მუხლები.

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 432-ე მუხლი აღსრულების შეჩერებაში, ფართო გაგებით, კრედიტორის სასარგებლოდ ნებისმიერი სააღსრულებო მოქმედების შეჩერებას გულისხმობს. მაგალითად, თუ მოვალის კუთვნილი ნივთი უკვე გაყიდულია, მაგრამ ამონაგები თანხა ჯერ არ გადასცემია კრედიტორს, შეჩერდება ამონაგები თანხის კრედიტორისათვის გადაცემა.

²⁰ ნორმაში საუბარია საქმის წარმოების მომთხოვნი პირის მიერ შესაბამისი გარანტიების მიცემაზე. ჯერ ერთი, უფრო მართებული იქნებოდა, თუ სიტყვები: „იძლევა თუ არა... გარანტიებს,“ შეცვლილიყო სიტყვებით: „წარადგენს თუ არა... გარანტიებს.“ მეორე ის, რომ ნორმაში საუბარი უნდა იყოს არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირის გარანტიებზე, არამედ საქმის წარმოების განახლების მომთხოვნი პირის მიერ გარანტიების წარდგენაზე, რადგან საქმის წარმოების მომთხოვნი არის სააღსრულებო საქმის წარმოების მომთხოვნი პირიც. რეალურად კი, სწორედ ამ უკანასკნელის საზიანოდ ჩერდება აღსრულება და მასშასადამე, არალოგიკურია მას რაიმე გარანტიის წარდგენა მოეთხოვოს.

გარემოების მხედველობაში მიღებით (დაცადაღებული ქონების ღირებულება და აღსასრულებელ მოთხოვნასთან მისი თანაფარდობა და სხვა), გარანტიის ოდენობა უფრო დაბალი იქნება.

საქმე ის არის, რომ სსსკ-ის 432-ე მუხლში საუბარი დამატებით, ანუ ცალკე გარანტიებზე კი არ არის, არამედ შესაბამის გარანტიებზე. მაშასადამე, მასში მაინცდამაინც სსსკ-ის 57-ე მუხლში მითითებული გარანტიების წარმოდგენა კი არაა, ზოგადად, უზრუნველყოფა, გარანტირებულობა იგულისხმება. ხოლო თუ აღსრულების ფარგლებში მიღებული ღონისძიებები საკმარისი არ არის აღსრულებაზე კრედიტორის უფლების განსახორციელებლად, მაშინ მოვალეს მოეთხოვება დამატებითი გარანტიების წარმოდგენა. შესაბამისად, არსებული აღსრულების ფარგლებში გამოყენებული უზრუნველყოფა რომ საკმარისია, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია.

უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება გარდაუვალად უკავშირდება იმ საკითხს, თუ უზრუნველყოფის გარანტიის რომელი სახე შეიძლება იქნას წარდგენილი. ასევე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის მოცულობის საკითხი.

უზრუნველყოფის სახე საპროცესო კანონით არ არის ამომწურავად განსაზღვრული.²¹ მხოლოდ მისი სანიმუშო სახეებია დადგენილი. ნორმის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეღავათიანი პირობებით დაუშვას უზრუნველყოფის სხვა საშუალებაც, რომელიც არ არის პირდაპირ მითითებული 57-ე მუხლში. რაც შეეხება უზრუნველყოფის ოდენობას, აღნიშნულზე საერთოდ არაფერია ნათქვამი მოცემულ ნორმაში. ამრიგად, უზრუნველყოფის გარანტიის სახეს და ოდენობას განსაზღვრავს საქმის განმხილველი ის სასამართლო, რომელმაც დაადგინა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება (ან ასეთ გარანტიას წარადგენს დაინტერესებული პირი, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, რამდენად ადეკვატურია წარდგენილი გარანტია). ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო. აღსრულების დროებით შეჩერებისას (მაგალითად, სსსკ-ის 432-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ის სასამართლო დაადგენს უზრუნველყოფას, რომელმაც დროებით შეაჩერა აღსრულება. ასეთ დროს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები უნდა გაუქმდეს.

უზრუნველყოფის ოდენობა, სასამართლომ უნდა გამოხატოს/განსაზღვროს ფულში თავისუფალი შეხედულებისამებრ. ამგვარი დისკრეციის საფუძველზე მოსამართლის მოქმედება კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს. როგორც საპროცესო უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შერჩევის საკითხში სასამართლო დისკრეცია არ ექვემდებარება კონტროლს/გადამოწმებას²² ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც კანონის ერთგვარი ხარვეზია.

²¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა), გამომც. სამართალი, თბ., 2007, გვ. 107.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-612-949-07.

უზრუნველყოფის სახის შერჩევის დროსაც თავისუფალია სასამართლო. ამასთან, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ დადგენილი უზრუნველყოფის სახე და ოდენობა, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. თუ მხარეთა შეთანხმება სასამართლო აქტში ჯერ გათვალისწინებული არ არის, შეიძლება შეთანხმების გათვალისწინებით, განცხადების საფუძველზე მოთხოვნილი იქნას უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის გარანტიის სახისა და ოდენობის შეცვლა, რის თაობაზეც სასამართლო გამოიტანს შესაბამის განჩინებას.

სამეცნიერო განმარტების²³ თანახმად, რომელიც გაზიარებულია სასამართლო პრაქტიკაში²⁴ სსსკ-ის 57-ე მუხლი თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. საჭიროა ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.²⁵

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ოდენობის დადგენისას, სასამართლოსათვის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ უზრუნველყოფის ოდენობა საჭირო უნდა იყოს იმ პირის ინტერესების დასაცავად და შესაძლო რისკების პრევენციისათვის, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უზრუნველყოფა. პრაქტიკულად, ეს არის ხოლმე აღსასრულებელი ძირითადი/მთავარი მოთხოვნის ფაქტობრივი ღირებულება, რომელსაც ემატება პროცენტები და ხარჯები.

დასაშვებია ნაწილობრივი უზრუნველყოფა, თუ აღსრულება მთლიანი გადასახდელი თანხის მხოლოდ ერთი გარკვეული ნაწილის გადახდით (მაგალითად, მხოლოდ პროცენტის ან ხარჯების გადახდით) უნდა განხორციელდეს. გადასახდელი თანხის ოდენობა განსაზღვრავს უზრუნველყოფის ოდენობასაც.

საინტერესოა განიმარტოს, როგორ უნდა გავიგოთ სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ელ ნაწილში ასახული დებულება: „თუ... მხარეს დაეკისრა... ბარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა...“ ამასთან დაკავშირებით, ორი საკითხის გარკვევაა მნიშვნელოვანი. პირველი ის, თუ როგორ უნდა გავიგოთ დასახელებული დებულება სასამართლოსა და მხარეებს შორის წარმოშობილი საპროცესო ურთიერთობის ასპექტით. მეორე ის, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაეკისროს თუ არა მხარეს (მოვალეს) გარანტიის წარმოდგენა, როდესაც ის ითხოვს აღსრულების შეჩერებას და მოვალის კუთვნილ აღსრულების საგანზე გამოყენებულია ყადაღა. შევხებით თითოეულ საკითხს ცალ-ცალკე:

²³ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა), გამოც. სამართალი, თბ., 2007, 432-ე მუხლის კომენტარი.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე N ას 800-800-2018.

²⁵ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights – Right to a Fair Trial (Civil Limb), Council of Europe/ European Court of Human Rights, 2022, გვ. 90; Feldbrugge v. the Netherlands, 29 May 1986, Series A no. 99; გამკვეცი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება – სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017, გვ. 122.

სარჩელის უზრუნველყოფისაგან განსხვავებით, სასამართლოს ყოველთვის განჩინება როდი გამოაქვს. უმთავრესად, სასამართლო კი არ ადგენს საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებას, არამედ სასამართლო უშვებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, ნებას რთავს მხარეს ან თვითონ აძლევს წინადადებას, წარმოადგინოს უზრუნველყოფის გარანტია.²⁶ განცხადების თუ სარჩელის შემტან მხარეს, მისივე თანხმობით, სასამართლო დააკისრებს საპროცესო უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული ფულადი თანხის თუ ფასიანი ქაღალდის დეპოზიტზე შეტანას, რასაც მხარე ასრულებს ნებაყოფლობით.²⁷ სასამართლო პრაქტიკაშიც მხარის აქტიურობაზე კეთდება აქცენტი:²⁸ მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს შეიძლება მიადგეს ზიანი, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საპროცესო მოქმედების შესრულების მოთხოვნით. მან იმავედროულად უნდა შესთავაზოს სასამართლოს გარანტია, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს ამ საპროცესო მოქმედების შესრულებით, ვთქვათ, სარჩელის უზრუნველყოფით. მხარე, რომელიც მოითხოვს მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფას, ვალდებულია მიუთითოს, თუ რას სთავაზობს იგი სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ უკანასკნელმა შესაძლებელია განიცადოს. თუ მხარე ამ მოვალეობას არ ასრულებს, მისი მოთხოვნა საპროცესო მოქმედების შესრულებაზე, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარემ თავად უნდა დაურთოს განცხადებას უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულება.

დასკვნა

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დასმულ პრობლემას იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენება და მაშასადამე, მათი წარდგენის ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნა მოვალისათვის, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. დაუშვებელი უნდა იყოს ამგვარი გარანტიების ნებისმიერ შემთხვევაში წარდგენის მოთხოვნა მოვალისათვის. გარანტიები შესაძლოა მოთხოვნილ იქნას მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ქონებრივი ხასიათის მოთხოვნებზე მიღებული გადაწყვეტილებების

²⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ელ ნაწილში დაშვებულია შეცდომა – საუბარი სამოქალაქო კოდექსით მისაღები გარანტიის უზრუნველყოფაზე, მაშინ როცა საუბარი უნდა იყოს უზრუნველყოფისათვის ვარგის ანუ მისაღებ გარანტიაზე. გარანტია უზრუნველყოფის საშუალებაა. ამიტომ გარანტია კი არ უნდა იქნას უზრუნველყოფილი, არამედ მხარემ უნდა უზრუნველყოს გარანტიის წარმოდგენა.

²⁷ კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, გამოც. საქართველოს მაცნე, გვ. 274.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 იანვრის განჩინება საქმეზე Na-4265-ბ-15-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე N ას 800-800-2018.

აღსრულებას. შესაბამისად, არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნათა მიმართ მათი გამოყენება უნდა გამოირიცხოს. ერთ-ერთი ასეთია, უძრავი ნივთის ვინდიკაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საქმე.

გარანტიების წარდგენა ევალემა მხარეს, ამასთან გარანტიის წარდგენის მოთხოვნა დასაშვებია სასამართლოს ინიციატივითაც. გარანტიები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნას წარდგენილი/მოთხოვნილი. ამის გარეშე დაუშვებელია აღსრულების შეჩერება. ამ წესის არსებობით დაბალანსებულია, როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესები.

აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმება არ გულისხმობს აღმასრულებლის მოქმედებების გაუქმებას. აგრეთვე, აღნიშნული არ გულისხმობს სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას ან გაბათილებას. სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუ გაუქმდება აღსასრულებელი გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცელიც ძალას კარგავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მოქმედების არეალი გაცილებით ფართოა და არ მოიცავს მარტოდენ სამოქალაქო პროცესის მხარეებს. მიზანშეწონილია უზრუნველყოფის ერთიანი ინსტიტუტის შექმნა. სარჩელის უზრუნველყოფა ჩანაცვლებული უნდა იქნას უფლებათა უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმით, რაც მრავალ გაუგებრობას აღმოფხვრის მხარეთა ინტერესების დაბალანსების თვალსაზრისით. უზრუნველყოფის გარანტია არ შეიძლება წარმოადგენდეს აღსასრულებელი მოთხოვნის ტოლფას ოდენობას. ამით დაირღვევა იმ პირის ინტერესები ვის წინააღმდეგაც ხორციელდება აღსრულება. აღსასრულებელი მოთხოვნის ტოლფასი ოდენობით გარანტიის მოთხოვნა გაუმართლებელი ტვირთის დაკისრება იქნება მოვალისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ არასრულყოფილია ცალკეულ ნორმათა დანაწესი. რეკომენდაციის სახით მიზანშეწონილია სსსკ-ის 375-ე მუხლის შემდგენაირად ჩამოყალიბება: „დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლომ შეიძლება შეაჩეროს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცვალოს საქმის შედეგი. ამასთან, საქმის შეჩერება უნდა განხორციელდეს გარანტიის წარდგენის პირობით. გარანტია შეიძლება წარდგენილი იქნას როგორც მოვალის მიერ, ისე სასამართლოს მოთხოვნით. გარანტიის ოდენობა უნდა იყოს გონივრული და აბალანსებდეს ორივე მხარის ინტერესს. კრედიტორს უფლება აქვს თავადაც წარადგინოს გარანტია და მოითხოვოს აღსრულების გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში, გარანტიის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ ქონების საბაზრო ღირებულებას, რომელზეც მიქცეულია გადახდევინება.“ შესაბამისად, მსგავსად უნდა ჩამოყალიბდეს სსსკ-ის 402-ე მუხლი, მით უმეტეს, რომ ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ერთგვარად აზრს მოკლებულ დებულებად გამოიყურება. თითქოს გარანტიის წარმოდგენა მიემართება ზეპირი განხილვის გარეშე საკითხის განხილვას და არა აღსრულების შეჩერებას. სსსკ-ის 375-ე მუხლი არასრულყოფილია იმ მხრივაც, რომ არ ითვალისწინებს აღსრულების შეჩერების განჩინების გასაჩივრებას. უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ განჩინება უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას, რაც შესაძლებლობას იძლევა გადაისინჯოს მისი გამოყენება-არგამოყენების მართლზომიერების საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
2. საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ (16/04/1999);
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-612-949-07;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 07 მარტის განჩინება №ბს-727-711(კ-12);
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე N ას 800-800-2018;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 იანვრის განჩინება საქმეზე N ა-4265-ბ-15-2015;
8. ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004;
9. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003;
10. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003;
11. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, თბილისი, 2005;
12. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა), თბილისი, 2007;
13. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (კერძო საჩივარი, აპელაცია, კასაცია, საქმის განახლება), თბილისი, 2024;
14. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ქურდაძე გ., ჭყონია ზ., საალსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2018;
15. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2022;
16. ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი, №1, 2018, 5-22;
17. ლილუაშვილი ა., კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმეების წარმოების განახლება (სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი), 2010;
18. გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება – სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017;
19. Feldbrugge v. the Netherlands, 29 May 1986, Series A no. 99;
20. Yeazell, S., Schwartz, J., Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer, 2019;
21. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights – Right to a Fair Trial (Civil Limb), Council of Europe/European Court of Human Rights, 2022.

SUSPENSION OF THE ENFORCEMENT OF THE JUDICIAL ACT DURING APPEAL UPON PROVIDING A SECURITY GUARANTEE


KHATUNA SKHIRTLADZE

Davit Aghmashenebeli University of Georgia

PhD student at the Faculty of Law

The existing civil procedural legislation allows appealing court decisions/judicial acts not yet in legal force and those already in legal force. The legislation not only allows the enforcement of decisions that have been entered into force, but in exceptional cases, it is permissible to establish enforcement of the acts that are not in legal force. Illicit enforcement, on the one hand, may harm the debtor, and on the other hand, the delay in enforcement may harm the creditor's interests.

The present article examines how the parties' interests are balanced when applying the suspension of the enforcement of judicial acts and the provision of security guarantees during an appeal. The research makes it clear that requiring the debtor to



provide security guarantees in any case is not permissible. Such guarantees may be required only in cases involving enforcing property claims decisions.

The article discusses that the scope of Article 57 of the Code of Civil Procedure is much broader and applies not only to the parties of the process but also to the parties of the enforcement proceedings. The security guarantee should be reasonable and balance the interests of both parties: the creditor and the debtor. To balance the interests of the parties, it is recommended that a mechanism for appealing the judgment on the security guarantee be introduced, which will make it possible to review the question of the legitimacy of the use or non-use of the guarantee. Based on all of the above, it is advisable to refine the institution of security as a whole, and instead of having provisional remedies separately, gather the norms regulating the security of the right into a single institution of procedural security.

წამება, როგორც მოხელის მიერ განმარტების, ჩვენების, დასკვნის მიღების ხერხი

ნანო ვაჭარაძე

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლთან დაკავშირებით, ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება, განსხვავებით ამავე კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავის სხვა მუხლებისა (საუბარია, კონკრეტულად სსკ 335-ე მუხლზე), რაც საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს. გარდა ამისა, დღის წესრიგში დგება დამატებითი საფრთხე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სსკ 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია გაცილებით მსუბუქია (თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე), ვიდრე წამების მუხლის მე-2 ნაწილისა (თავისუფლების აღკვეთა ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით ხუთ წლამდე).

ნათელია, რაც წამების ამ დამამძიმებელ გარემოებაში სასჯელის მინიმუმია, სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის მაქსიმუმია, რაც ტოვებს უსამართლობის განცდას.

საქართველოს საკანონმდებლო რეალობაში, შედეგად მივიღეთ ის, რომ მოხელე, რომელიც აწარმოებს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას, პროცესის მონაწილე რომელიმე პირის წამების ჩადენის შემთხვევაში, სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში გაცილებით მსუბუქად დაისჯება, ვიდრე სხვა მოხელე, რომელიც რაიმე ინფორმაციის მისაღებად ჩადის წამებას, რაც სრულებით გაუმართლებელია.¹ გარდა ამისა, არასწორი კვალიფიკაციის შედეგად ვიღებთ არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, რაც მსგავსი ქმედების განმეორების ჩადენის შემთხვევაში, დამატებით ბუნდოვანებას ქმნის.

შედეგად ვიღებთ, როგორც მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, ასევე წახალისებისა და დაუსჯელობის სინდრომის განცდას, როგორც ბრალდებულების, ასევე პოტენციური ბრალდებულების მიმართ.

ქმედების წამებად კვალიფიცირება

წამების დეფინიცია ყველაზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საწინააღმდეგო კონვენციაში,² რომლის თანახმად: „ტერმინი წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური თუ სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორცაა მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან ან მათი თანმდევი.“³

წამება არის „სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის საშუალებებია. ტანჯვა არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი და აუტანელი ტკივილია, რომელსაც დაზარალებული განიცდის წამების შედეგად.“⁴ წამება სპეციალური სუბიექტის მქონე დელიქტია. ადამიანის უფლებათა ევროპუ-

¹ იხ.: საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბ., 2015, გვ. 101.
² ბურჯანაძე გ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა #1, თბ., 2013, გვ. 66.
³ Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 26 June 1987, Art 1.
⁴ იხ.: <http://www.nplg.gov.ge>

ლი კონვენცია არ იმეორებს ტექსტუალურად ამ განმარტებას თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლო ფაქტობრივად ახდენს ამ განმარტების ინკორპორაციას.⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლება – არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, აბსოლუტური ხასიათისაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია რაიმე საზოგადოებრივი აუცილებლობით ან სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.⁶

წამების აკრძალვას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი – *jus cogens*, რაც ნიშნავს, რომ დაუშვებელია რაიმე გამონაკლისის არსებობა მოცემული აკრძალვიდან ნებისმიერ გარემოებაში, მათ შორის, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, ომის საშიშროების თუ შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის დროსაც. თავდაცვის აუცილებლობა ან სხვა გარემოებები ვერ იქნება გათვალისწინებული წამების შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, თუ რაოდენ მძიმე შედეგები შეიძლება დადგეს პოტენციურად, მომავალში.⁷

ეს იმპერატიული ნორმა სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის შესასრულებლად, მიუხედავად რატიფიცირებული აქვს თუ არა მოცემული ხელშეკრულება.⁸ საერთაშორისო ხელშეკრულებები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პირის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, არის აბსოლუტური.⁹ ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული ტერმინისა და მის ქვეშ გაერთიანებული ქმედების აკრძალვის მნიშვნელობას.¹⁰

განსახილველი ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ახალია. სსკ-ის 144¹ მუხლი 2005 წლის 23 ივნისიდან ჩამოყალიბდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის შედარება მომიჯნავე შემადგენლობებთან

წამება და არასათანადო მოპყრობა საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება ბლანკეტურ აკრძალვას¹¹ – როგორც წამების, ასევე არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.

⁵ იხ.: მოსამართლე ზუპაჩინის თანმხვედრი მოსაზრება საქმეზე – იალო გერმანიის წინააღმდეგ (*Jalloh v. Germany*), #54810/00, 28 ივლისი, 1999.

⁶ გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი #2.

⁷ იხ.: Preventing Torture: An Operational Guide for National Human Rights Institutions, May 2010, p. 16.

⁸ იხ.: ფოული კ., წამების დასამარცხებლად, დიდი ბრიტანეთი, 2003, გვ.32.

⁹ იხ.: გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი №2, § 5.

¹⁰ იხ.: წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019, გვ. 15.

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, თბ.1995, მუხლი 17.

335-ე მუხლის კონკრეტული დამამძიმებელი გარემოება ბუნდოვანებას იწვევს პრაქტიკაში, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს კონკრეტული მუხლები, რომლებიც თანაკვეთაში მოდის განსახილველი მუხლის შინაარსთან. აღნიშნული მუხლებია: სსკ-ის 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სსკ 333-ე და 335-ე მუხლებს შორის ზღვარი საკმაოდ მცირეა, რიგი მიზეზების გათვალისწინებით, ორივე შემთხვევაში სახეზეა სპეციალური ამსრულებელი – მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით, რაც თავის თავში შესაძლოა გულისხმობდეს ყველა იმ ქმედებას, რაც 335-ე მუხლით არის განსაზღვრული. ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს 335-ე მუხლით, როდესაც მოხელე თავის უფლებამოსილებას იყენებს პირისათვის განმარტების ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებისთვის. შესაბამისად, გამოდის რომ 333-ე მუხლი არის ზოგადი, ხოლო 335-ე მუხლი სპეციალური. კოლიზიის შემთხვევაში კი, უპირატესობა (სხვა ფაქტორებთან ერთად) ენიჭება სპეციალურ მუხლს.

გაცილებით რთულადაა საქმე სსკ 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში. აღნიშნული მუხლების ურთიერთმიმართებისას, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ – ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას თუ კონკურენციას.

თუ ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას, მაშინ საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე ხერხი არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც უფრო ზემდგომი ორგანოს მიერაა მიღებული. ვინაიდან, ორივე ნორმა მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც უფრო ახალია, უფრო ახალი კი, სსკ-ის 144¹ მუხლია.

ხოლო, თუ ადგილი აქვს ნორმათა კონკურენციას, ანუ ზოგადი და სპეციალური ნორმების მიმართებას, მაშინ სსკ-ის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ ნორმას. აღნიშნულ მუხლებში იკვეთება, როგორც ნორმათა კონკურენციის, ასევე კოლიზიის ნიშნებიც.

განვიხილოთ ორივე მათგანი. ორივე მუხლის შემთხვევაში, სახეზეა ქმედება, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ხანგრძლივობით საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. თუმცა, ბუნდოვანია ის, რომ არც ერთი გარემოება ნათლად არ არის სსკ-ის 335-ე მუხლის დისპოზიციასში ნახსენები. მითითება კეთდება მხოლოდ ქმედების საფრთხეზე, განსხვავებით 144¹ მუხლისა, სადაც აღწერილია ფაქტი თუმცა, არ კეთდება მის საფრთხეზე ხაზგასმა. რაც შეეხება მიზანს, ის ორივე მუხლის შემთხვევაში შესაძლოა დაემთხვას.¹²

¹² საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევის კრებული, თბ., 2015, გვ. 124.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: როცა მოხელე წამებით აიძულებს პირს, მისცეს ჩვენება, რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება – სსკ-ის 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით თუ 335-ე მუხლის II ნაწილით, რომელიც გულისხმობს ამ ქმედების მსხვერპლის წამებასაც?

სსკ-ის 335-ე მუხლის II ნაწილი არის იძულების კერძო შემთხვევა, რადგანაც დაკონკრეტებულია როგორც ქმედება, ასევე დამნაშავეს მიზანიც. გარდა ამისა, 335-ე მუხლის ძირითადი შემადგენლობა ითვალისწინებს სპეციალურ ამსრულებელს, ხოლო წამების 144¹ მუხლის ძირითადი შემადგენლობა ითვალისწინებს საერთო სუბიექტს. შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაციისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ ნორმას (სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილს).

ამდენად, 144¹ მუხლის ამ დამამძიმებელი გარემოების შემოღებით, კანონმდებელი აღმოჩნდა არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში: ჩვენების, განმარტების ან დასკვნის მისაცემად გამოყენებული წამება ჩადენილი მოხელის მიერ, რომლის მიზანია ეს ჩვენება მტკიცებულებად იქნას გამოყენებული გამოძიებისას, უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე მოხელის მიერ ჩადენილი წამება რაიმე ინფორმაციის მისაღებად, მაგალითად, სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირისაგან ინფორმაციის მისაღებად.¹³

ზოგადი და სპეციალური მუხლების მნიშვნელობა სისხლის სამართალში

სისხლის სამართალი არის მრავალმხრივი სფერო, რომელიც მოიცავს წესდებებს, რეგულაციებსა და პრეცედენტებს, რომლებიც მიმართულია სოციალური წესრიგისა და ინდივიდების უფლებების დაცვაზე. ამ სამართლებრივი ლანდშაფტის ფარგლებში, ზოგად და სპეციალურ მუხლებს შორის განსხვავება გადამწყვეტ როლს ასრულებს სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბებასა და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების წარმართვაში.

ზოგადი მუხლები ასახავს ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც გამოიყენება დანაშაულთა ფართო სპექტრისთვის. ეს დებულებები ადგენს ყოვლისმომცველ ცნებებს, რაც უზრუნველყოფს დანაშაულის შეფასების ჩარჩოს და შესაბამისი სანქციების დაწესებას.¹⁴ ამ ფუძემდებლური ელემენტების გამოკვეთით, ზოგადი მუხლები ხელს უწყობს კანონის გამოყენების თანმიმდევრულობას, რაც უზრუნველყოფს მსგავსი შემთხვევების სწორად განსაზღვრას.¹⁵

¹³ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, წიგნი 1, ნაწილი პირველი, მერვე გამოცემა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2023, გვ. 399-400.

¹⁴ Smith John, The Role of Mens Rea and Actus Reus in Criminal Liability, Journal of Criminal Law 20, no. 3 (2019): 45.

¹⁵ Johnson David, Interpreting General Articles in Criminal Statutes, Yale Law Journal 115, no. 2 (2018): 213.

უფრო მეტიც, ზოგადი მუხლები ხელს უწყობენ სამართლებრივ უსაფრთხოებას კანონის ინტერპრეტაციისა და გამოყენების საერთო ჩარჩოს მიწოდებით. გარდა ამისა, ზოგადი მუხლები ხელს უწყობს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას სისხლის სამართლის სისტემაში დასაშვები ქცევის საზღვრების გამოკვეთით და ბრალის განსჯის მკაფიო სტანდარტების დაწესებით.¹⁶

მაგალითად, კოდექსი, რომელიც დანაშაულად განსაზღვრავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა მკვლელობა, ქურდობა და ყაჩაღობა, როგორც წესი, მოიცავს ზოგად დებულებებს, რომლის დისპოზიცია განსაზღვრავს იმ ელემენტებს, რომელთა მიხედვითაც, ქმედება რომელიმე დანაშაულად დაკვალიფიცირდება. ეს დებულებები ემსახურება როგორც სახელმძღვანელო პრინციპებს პროკურორებისთვის, ადვოკატებისა და მოსამართლეებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს, გადახედონ რთულ სამართლებრივ საკითხებს და უზრუნველყონ მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელება.¹⁷

ზოგადი ნორმებისგან განსხვავებით, სპეციალური ნორმები არის მორგებული დებულებები, რომლებიც შექმნილია კონკრეტული დანაშაულების ან გარემოებების მოსაგვარებლად, რომლებიც შეიძლება ადეკვატურად არ იყოს დაფარული უფრო ფართო წესდებით. სპეციალური ნორმები ემსახურება კანონში არსებული ხარვეზების შევსებას და წარმოშობილ გამოწვევებს ან საზოგადოებრივ პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ მიზანმიმართულ ჩარევას. სპეციალური მუხლების არსებობა კანონმდებლებს საშუალებას აძლევს შეიმუშაონ დებულებები, რომლებიც ასახავს დანაშაულის უნიკალურ ბუნებას და დამახასიათებელ ნიშნებს.¹⁸

სპეციალური ნორმები ასევე, აძლიერებს სამართლებრივ სიცხადეს და სიზუსტეს აკრძალული ქცევისა და მასთან დაკავშირებული სანქციების მკაფიო მითითებებით. ეს დებულებები ხაზს უსვამს სამართალდარღვევის ელემენტებს, სპეციფიკურად ამცირებს ბუნდოვანებას და უზრუნველყოფს კანონის გამოყენების თანმიმდევრულობას.¹⁹ გარდა ამისა, სპეციალური მუხლები უფლებამოსილებას ანიჭებს სამართალდამცავ ორგანოებსა და პროკურორებს სპეციალიზებული დანაშაულების გამოძიების და ამასთან, სისხლისამართლებრივი დევნა განახორციელონ მკაფიო დირექტივებით.²⁰

¹⁶ White Emily, Transparency and Accountability in Criminal Justice, Stanford Law Review 30, no. 1 (2020): 102.

¹⁷ Davis Michael, Addressing Emerging Challenges: The Role of Special Articles in Criminal Law, Criminal Law Quarterly 25, no. 4 (2022): 225.

¹⁸ Harris L., Policy Considerations in Crafting Special Articles. Harvard Law Review 40, no. 3 (2017): 312.

¹⁹ Miller J., Enhancing Clarity through Special Provisions, Journal of Legal Studies 15, no. 2 (2018): 57.

²⁰ Wilson Andrew, Empowering Law Enforcement: Special Directives for Prosecutors, Criminal Justice Policy Review 28, no. 2 (2021): 182.

მაგალითად, კიბერდანაშაულის მარეგულირებელი დებულებები ხშირად, შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც მორგებულია ციფრული ტექნოლოგიებისა და ონლაინ აქტივობების მიერ წარმოქმნილი უნიკალური გამოწვევების გადასატრიალად. ეს დებულებები შეიძლება მოიცავდეს აკრძალული ქცევის სპეციფიკურ დეფინიციებს, განსხვავებულ სანქციებს კიბერ დაკავშირებულ დანაშაულებებზე და ელექტრონული მტკიცებულებების დამუშავების პროცედურულ მითითებებს.²¹

სადავო საპოთხის გადაწყვეტის ალტერნატივები

იურიდიულ საზოგადოებაში არსებობს ორი თეორია, რომლის მიხედვითაც, სადავო საპოთხი შესაძლოა მართებულად გადაწყდეს.

პირველი თეორიის მიხედვით: როცა მოხელე იყენებს წამებას იმ მიზნით, რათა აიძულოს მოწმე დაზარალებული ან ბრალდებული მისცეს განმარტება ან ჩვენება ანდა ექსპერტმა მისცეს დასკვნა, ქმედების კვალიფიკაციისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილს და არა წამების დამამძიმებელ გარემოებას.

ხოლო მაშინ, როდესაც წამების ჩამდენი მოხელის მიზანი არაა წამების შედეგად მოპოვებული აღიარების, ინფორმაციისა თუ მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმეში გამოყენება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოხელე არ აწარმოებს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას. იგი მიმართავს წამებას, რათა შეიტყოს ისეთი ინფორმაცია ან ხელთ იგდოს ისეთი მტკიცებულება, რაც მას აინტერესებს პირადი ან სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

მეორე თეორიის მიხედვით:

როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ, რომ შესაძლოა ჩადენილია წამება ან არაადამიანური მოპყრობა, გაეროს და ევროპის საბჭოს სტანდარტები ნათლად უსვამენ ხაზს სახელმწიფოების ვალდებულებებს, რომ გამოძიება დაიწყოს და ქმედება დაკვალიფიცირდეს შესაბამისი მუხლებით (საქართველოს შემთხვევაში სსკ-ის 144¹-144³ მუხლებით).²²

სსკ-ის 71-ე მუხლი არეგულირებს სისხლის სამართლის საქმეებზე ხანდაზმულობის საკითხებს.²³ ხსენებული მუხლის მე-5¹ პუნქტის თანახმად, ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-144³ მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე. აღნიშ-

²¹ Roberts J., *Cybercrime: Legal and Policy Implications*. Cambridge: Cambridge University Press, 2019, 76.

²² სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სახელმძღვანელო – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით, 2023, გვ. 13.

²³ სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წელი, მუხ. 71, პუნქ. 5¹.

ნულის საპირისპიროდ, ხანდაზმულობის ვადა (15 წელი) მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის 332-342¹ მუხლებთან მიმართებით.²⁴ გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-2 ზოგადი მოხსენება და შესაბამისი იურისპრუდენცია, ისევე როგორც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცალსახად, კრძალავს წამების ან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ქმედების გამოძიებისას, რაიმე სახის ხანდაზმულობას. თუ მსხვერპლს წინასწარგანზრახული ქმედებით ადგება ინტენსიური ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა იმ მიზნით, რომ მისგან მოპოვებულ იქნას ჩვენება, აღიარება ან საექსპერტო დასკვნა, ქმედება აუცილებლად უნდა დაკვალიფიცირდეს წამებად, ანუ 144¹ მუხლით და არა 335-ე მუხლით.²⁵

ორივე თეორია ურთიერთგამომრიცხავია, რადგან პირველი ხაზს უსვამს მოხელის მიზანს, თუ რისთვის გამოიყენებს მიღებულ ჩვენებას, დასკვნას თუ მტკიცებულებას – პირადი მიზნით თუ საქმის „სასიკეთოდ.“ მეორე თეორია ხაზს უსვამს ხანდაზმულობის ვადებს და შესაძლებლობას, რომ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა შესაძლოა თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ორივე თეორიას აქვს არსებობის უფლება თუმცა, საინტერესოა, თუ როგორ რეგულირდება ესოდენ სადავო საკითხი სასამართლო პრაქტიკაში.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ქართული სასამართლო პრაქტიკიდან არაერთი მაგალითის მოტანაა შესაძლებელი. მაგალითად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, მ.ქ-ს მსჯავრი დაედო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამებისთვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველო სსსკ-ის 138-ე, 143-ე და 144¹-ე მუხლებით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, განსაზღვრული აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ.ქ.-მ, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა ეკავა და სამინისტროს სხვა თანამშრომლებმა, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ორ პირს. ამის შემდეგ, ხსენებული პირებისგან ტერორისტული აქტების განხორციელებაში მონაწილეობის შესახებ აღიარების მისაღებად, მ.ქ. მათ ელექტროშოკით დენს არტყამდა, სხვა პირები კი, აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ გაუპატიურებით. სასურველი აღიარების მისაღებად, თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ განხორციელდა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება.²⁶

²⁴ სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წელი, მუხლი 71, ნაწ.1, ქვებ. გ²

²⁵ UNCAT, General Comment N.2, Par 10.

²⁶ საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 17 სექტემბრის განცხადება, <https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generaluri-prokuraturis-shuamdgomlobis-safuZvelze-ukrainidan-araerTi-mZime-da-gansakuTr>

ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 10 ივლისს განიხილა სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულ ჯ. შ-ს მიმართ.²⁷ განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ჯ. შ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: იგი იყო ერთ-ერთი პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი. 2006 წლის აგვისტოში პოლიციაში მიიყვანეს მოქალაქე ბ. ფ., რომელიც დაკავებული იყო მობილური ტელეფონის, ოქროს ყელსაბამისა და ოქროს ბეჭდის ქურდობის ბრალდებით, დაზარალებულის მიერ პოლიციაში გაკეთებული განაცხადების საფუძველზე. ბ. ფ-მ პოლიციაში მიყვანისას აღიარა მხოლოდ მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტი და მიუთითა მისი შენახვის ადგილიც, საიდანაც ის ამოღებულ იქნა.

პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი ჯ. შ. თავის სამუშაო კაბინეტში შეეცადა, კანონსა-წინააღმდეგო მეთოდებით დაკავებულ ბ. ფ-გან დაშინებითა და იძულებით მიეღო სრული აღიარებითი ჩვენება დაზარალებულის კუთვნილი ოქროს სამკაულების ქურდობის ნაწილშიც.

პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის ეს ქმედება დაკვალიფიცირდა არა სსკ 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ჩვენების მიცემის იძულება, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, არამედ წამებით. კერძოდ, წამებით, რაც ჩადენილია მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დაკავებული პირის მიმართ – სსკ 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

მოქმედი პრაქტიკით, წამებად კვალიფიცირდება ისეთი არაკანონიერი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მიზნად ისახავს თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის მძიმე პირობების შექმნასა და მოპყრობას და თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით აყენებს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, რაც ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას იწვევს. განაჩენთა ანალიზით ირკვევა, რომ მსგავს შემთხვევებში, მიზანი მსჯავრდებულთა დაშინება და იძულებაა, შეასრულონ ანდა თავი შეიკავონ ისეთი ქმედების შესრულები-საგან, რომლის განხორციელებაც მათ კანონიერ უფლებას წარმოადგენს. მათ შორისაა, საჩივრების წარდგენა, წარდგენილ საჩივრებსა თუ სხვა სამართლებრივ პროცედურებზე უარის თქმა, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისთვის დასჯა. სასამართლო პრაქტიკა განხილული მუხლის ქვეშ მოიაზრებს დაკავებულისთვის აღიარებითი ჩვენების მიღების სანაცვლოდ ცემას, თავისუფლებაშეზღუდულ პირზე სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის სასუნთქი ორგანოების გადაკეტვით, ძალადობას.²⁸

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, საქმე #2157-აპ.

²⁸ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმები საქართველოში, მიღწევები და გამოწვევები, 2021, გვ. 51-52.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა გარკვეულ პრობლემებს აწყდება წამებისა და სამოხელეო დანაშაულის ურთიერთგამიჯვნასთან დაკავშირებით, არა მარტო დოქტრინაში, არამედ პრაქტიკაშიც. როდესაც საქმე ეხება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიცაა წამება და სამოხელეო დანაშაული, როგორც ჩანს მაინც არასწორად ხდება სისხლის სამართლის კოდექსის ამ ორი მუხლის განმარტება, რაც ქმედების კვალიფიკაციის საკითხს ართულებს და უფრო მეტ დაბნეულობას იწვევს მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს შორის ვინაიდან, ასეთ დროს წყდება ლოგიკური ჯაჭვი დოქტრინალურ და პრაქტიკულ მიდგომებს შორის.

წინამდებარე სტატიის მიზანი იყო ყველა იმ პრობლემის გაანალიზება, რასაც ქართული კანონმდებლობა აწყდება ამ ორი დანაშაულებრივი ქმედების ანალიზისას. აღნიშნული მიზნის მიღწევა ბევრად გაამარტივა კვლევის სისტემური მეთოდის გამოყენებამ და საბოლოოდ, პრობლემების ცალ-ცალკე იდენტიფიცირებამ ხელი შეუწყო მათი გადაჭრის გზების პოვნას.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას, რის შედეგადაც მოხელის მიერ წამების ჩადენისას სადავო არ გახდება ქმედების კვალიფიკაცია წამების მუხლის მე-2 ნაწილით.

კერძოდ, სსკ 335-ე მუხლიდან ამოღებული უნდა იყოს მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი – იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. როდესაც აღნიშნული ცვლილება შევა კანონიერ ძალაში, მაშინ უკვე არ იქნება სადავო, რა მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს მოხელის მიერ ჩადენილი წამება აღიარების, ინფორმაციისა თუ მტკიცებულების მიღების მიზნით. ეს იქნება წამების მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება. რაც შეეხება თავად 335-ე მუხლის არსებობას სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც ზემოთ განიმარტა, ის 333-ე მუხლის სპეციალური ნორმაა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ისეთი ხერხის გამოყენებას, როგორიცაა შანტაჟი, მოტყუება, მუქარა ან სხვა უკანონო ქმედება.

TORTURE AS A MEANS FOR EXTRACTING EXPLANATION, TESTIMONY, AND CONCLUSION BY THE OFFICER

NANO VACHARADZE


Davit Aghmashenebeli University of Georgia

PhD student at the Faculty of Law

The research aims to discuss torture as one of the methods of getting an explanation, testimony, and conclusion by officials, focusing on the accurate characterization of such actions and exploring the challenges inherent in practice, especially in the presence of mutually intersecting formations. The topic aims to bring forward a problematic issue, discuss it in doctrinal and practical terms, find possible ways to solve the problem and present it to readers.

One of the most essential provisions of criminal law is that the actions perpetrated by an individual must be precisely qualified.

It is imperative to determine the specific indicators of the committed action instead of making rough guesses. This ensures that those actions align with the defined criteria in the relevant norm of the criminal code. Confirming full compliance means ensuring that all aspects of the law match the actions carried out by the individual.



Prohibition of torture is an achievement of a civilization based on respect for human dignity. This is especially important, especially in cases of human torture, which is prohibited. The Convention doesn't allow exceptions or deviations from this rule, as explicitly stated in Article 15, Part Two. Accordingly, particular importance and attention should be given to the question of how to qualify the action committed by the official when the one uses torture to force explanation, evidence, and opinion to avoid attempts to use the law in bad faith, as well as inciting the syndrome of impunity or light punishment among the accused persons.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ჰერმენევტიკული კვლევა

ნინა გერსამია

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
მედიატორი**

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის ჰერმენევტიკული კვლევა სიტყვა „შეიძლება“-ს ირგვლივ იქნება აგებული.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი მართალია, მედიაციის პროცესის ბოლო საფეხურს მოიცავს, უფრო მეტიც, არსებობს აზრი, რომ ის მედიაციის პროცესის არცერთ ეტაპად არ მიიჩნევა, მნიშვნელოვანი და ზოგადად, შეიძლება ითქვას მედიაციის ინსტიტუტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი საკითხია. მედიაციისადმი სანდოობის და მისი მრავალი უპირატესობის სასამართლო თუ არასამართლო დავის გადაწყვეტის მექანიზმებთან მიმართებით, სწორედ სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა და ამ პროცესის ნებაყოფლობითობის პრინციპი და მისი ავტონომიური ბუნებაა.

* „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარების თანავტორი.

აღნიშნულ მუხლში სიტყვა – „შეიძლება“ ორი მიმართულებით შეიძლება იყოს განხილული, როგორც მხარეთა შესაძლებლობა და უფლებამოსილება მიმართონ სასამართლოს და სასამართლოს უფლებამოსილება სამედიაციო მორიგების აღსრულების ნაწილში. ამ მსჯელობას განამტკიცებს ამავე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს.¹ აქ ხაზი უნდა გაესვას მხარეთა უფლებამოსილებას, რომელიც სიტყვა „შეიძლება“-ს მიღმა იგულისხმება. კანონმდებელი სავალდებულო აღსრულების სტანდარტს არ უდგენს მხარეებს, მაგრამ უფლებას აძლევს ერთ ან ორივე მხარეს ერთად, საჭიროების და მათი თავისუფალი ნების გამოვლენის შემთხვევაში, მიმართონ სასამართლოს.

როდესაც აღნიშნულ ნორმაზე მიდის მსჯელობა, ნორმის ობიექტური შინაარსის დადგენის მიზნით, პირველ ყოვლისა, მედიაციის შესახებ ევროპულ დირექტივაზე კეთდება აქცენტი (2008/52/EC939). დირექტივის მიღებამ, რომლის იმპლემენტაციის ვალდებულება წევრ სახელმწიფოებს დაეკისრათ 2011 წლიდან, სრულიად ახალი განვითარების პერსპექტივა გაუჩინა მედიაციას ევროპაში. ერთიანი ჩარჩო მედიაციის სტანდარტის ჩამოყალიბებამ, მათ შორის, ხელის შეწყობამ საზღვრებს მიღმა და საერთაშორისო დონეზე მედიაციის სტანდარტის დამკვიდრებამ, განაპირობა წევრი ქვეყნების მოქმედება, რომ მოეხდინათ მედიაციის შესახებ საკანონმდებლო აქტის ინტეგრირება მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში.²

სწორედ ევროპული დირექტივის ტექსტში მოცემულია განსახილველი ნორმის პირველადი ინტერპრეტაცია, რომელიც მედიაციის შედეგად მიღებული ხელშეკრულებების აღსრულებას ეხება. ტექსტში მოცემულია წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები, მხარეთა თუ მხარის სურვილის შემთხვევაში, მედიაციის შედეგად მიღებული წერილობითი შეთანხმების აღსრულების საკითხზე. დირექტივა განმარტავს, რომ ასეთი შეთანხმების შინაარსი ხდება აღსრულებადი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობას, სადაც არის მოთხოვნა ან ამ წევრი სახელმწიფოს კანონი არ ითვალისწინებს მას.³

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე თავი მთლიანად მედიაციის პროცესს ეთმობა. კანონის დადებითი მახასიათებელია, რომ გაწერილია მედიაციის სრული პროცესი და მისი რეგულირების სტანდარტები, რაც პროცესის მსვლელობის წესების ერთგვაროვანი და საბაზისო სტანდარტების დადგენის კუთხით, მისასაღმებელია.⁴ სამედიაციო პროცესის

¹ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი.

² ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, 175-176.

³ Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21 May 2008 [15.05.2018].

⁴ ყანდაშვილი ი., მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელი, თბ., 2022, გვ. 278.

დაწყების ეტაპებამდე ხდება მედიატორთა შერჩევა და არჩევა/დანიშვნა, რასაც მოსდევს უკვე მედიაციის დაწყების, წარმართვის და შემდგომ დასრულების ეტაპები, როგორც სამედიაციო პროცესის შემადგენელი ნაწილები.⁵ სამედიაციო მორიგების აღსრულება ამ ციკლის ბოლო ელემენტს წარმოადგენს, რომელიც ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, როგორც თავად მედიაცია.

მედიაციამ უკვე საკმაოდ ეფექტიანი გზა განვლო – საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მივიწყებული და საკმაოდ ძველი ბჭე-მედიატორთა⁶ ინსტიტუტიდან დაწყებული,⁷ დღეს მსოფლიოში ფართოდ აღიარებული და წარმატებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმად ჩამოყალიბების გზაზე. მისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური პრინციპია ორმხრივი შეთანხმების კონსენსუალური ბუნება, რომელიც ამ ინსტიტუტს თან სდევს ყველა ეტაპზე და ყველა ასპექტში.

ნებაყოფლობითობა მედიაციის განუყოფელი და ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. უმრავლეს ქვეყნებში, სადაც მედიაცია კანონის დონეზე არის რეგულირებული მედიაციის ცნება მოიცავს მითითებას ნებაყოფლობითობაზე,⁸ რაც ხაზს უსვამს და განამტკიცებს მოსაზრებას, რომ აღნიშნული წარმოადგენს მედიაციის არსის ქვაკუთხედს. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სწორედ ის განაპირობებს მედიაციის პროცესისადმი მომხმარებლების მიერ მეტი სანდოობისა და უსაფრთხოების განცდას. ასევე, იცავს და გარანტირებულს ხდის მხარეების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას.⁹

ნებაყოფლობითობა მედიაციის არსის კარგად მახასიათებელი თვისებაა, რომელიც მაქსიმალურად განაპირობებს მხარეების სრულ ჩართულობას პროცესში.¹⁰ მხარეთა მიერ ინიცირებული პროცესი, მათი მხრიდან მეტი ენთუზიაზმის გარანტიას იძლევა შედეგისადმი.¹¹ სწორედ აღნიშნული განაპირობებს მხარეთა პასუხისმგებლობას მიღწეული მორიგების ნებაყოფლობით აღსრულების ნაწილში.

თუმცა, საწინააღმდეგო სურათის მატარებელია 2019 წლის კვლევა, სადაც გამოიკვეთა მედიაციის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით. რესპონდენტებმა შეაფასეს მედიაციის ნაკლოვანებები სასამართლოსთან შედარებით, პასუხები ითვალისწინებდა რეს-

⁵ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე თავი.

⁶ ონიანი ს., სამართლის ჟურნალი, N2, 2013, 16.

⁷ დავითაშვილი გ., სამართლის ჟურნალი N2, 2011, 287.

⁸ Hopt J. K., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 11-12.

⁹ ყანდაშვილი ი., მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, გვ. 279.

¹⁰ Hopt K.J., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 109.

¹¹ ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, გვ. 70.

ობ.: Steadman B.J., Todd F., *Commercial Mediation*, Iuta & Company, 2nd Ed, 2016, Iuta and Company, 24.

პონდენტების სუბიექტურ მოსაზრებებს. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა გამოყო შემდეგი ნაკლოვანება: „მხარეებმა შეიძლება არ ჩათვალონ სავალდებულოდ გადაწყვეტილების შესრულება (14.2%)“. 2016 წლის გამოკითხვაც მსგავს შედეგებს აჩვენებს მედიაციის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. უმეტესწილად, პრობლემაა ის, რომ თუ მხარეები ვერ მორიგდებიან, მაინც მოუწევთ სასამართლოში წასვლა (21%) და გადაწყვეტილების არასავალდებულო ხასიათს ნაკლოვანებად, გამოკითხულთა 12% ასახელებს.¹²

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოცემულობა იცვლება. დღეს, როდესაც მოქმედებს კანონი „მედიაციის შესახებ“ და მის საფუძველზე შექმნილი საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას და სასამართლო თუ კერძო მედიაცია კანონის საფუძველზე ამოქმედდა ქვეყანაში, უკვე ნათელი და რეალური სურათის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყოველ წელს საქმეთა ნაკადი მატულობს.¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების საქალაქო სასამართლოების მედიაციის ცენტრებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარე წელს, არცერთ სასამართლოდან გადმოცემული საქმის სამედიაციო მორიგებაზე მხარეთა მიმართ არ დაფიქსირებულა მომართვა აღსრულების მოთხოვნით,¹⁴ რაც მხარეთა მიერ ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე, მიღწეული შეთანხმების მიმართ ნებაყოფლობით აღსრულებაზე მიუთითებს. ზოგადად მიიჩნევა, რომ მხარის მხრიდან ნებაყოფლობით ამა თუ იმ პროცესში ჩართულობა გულისხმობს, რომ ისინი ითანამშრომლებენ შეთანხმების მიღწევისა და მიღწეული შეთანხმების აღსრულების მიზნით.¹⁵

საგულისხმოა, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის რეგულირება, სადაც მხარეებს მედიაციის პროცესში მიღწეული მორიგების აღსრულების უფრო ფართო შესაძლებლობა აქვთ.¹⁶ მედიაციის პროცესში იურისტებს, როგორც წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში, შეუძლიათ მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს მორიგების აქტის იძულებით აღსრულებადად გამოცხადების შესახებ.¹⁷ ამგვარად, გერმანელი კანონმდებელი სიტყვის – „შეიძლება“ უფრო ფართო გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და აფართოებს მის საზღვრებს და სუბიექტთა წრეს.

¹² ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადებული კვლევა: დავის ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში, მოსახლეობის გამოკითხვა, 12/2019.

¹³ საქართველო მედიატორთა ასოციაციის სტატისტიკური ანალიზი, 2022.

¹⁴ საქართველოს დიდი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, მცხეთა, გორი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი) სასამართლო მედიაციის ცენტრების სტატისტიკა, 2022.

¹⁵ Spencer D., Brogan M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 85.

¹⁶ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., *Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures*, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 176-178.

¹⁷ წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 68.

მხარეთა შეთანხმებით იწყება და სრულდება მედიაციის პროცესი. კონფლიქტის მხარეები თავად ირჩევენ მედიაციას, როგორც მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტის ეფექტიან მექანიზმს, ისევე როგორც სრულიად შეუზღუდავები არიან თავად განსაზღვრონ მედიაციის პროცესის შედეგი, კერძოდ, დაასრულონ პროცესი შეთანხმებით.¹⁸ სწორედ მხარეთა მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სამედიაციო მორიგება ითვლება დადებულიად. თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა სასამართლო მედიაციის შედეგად, მისი აღსრულების საკითხს განიხილავს ის სასამართლო, რომელმაც დავის მხარეთა შეთანხმებით, დასრულების მიზნით საქმე მედიატორს გადასცა, ხოლო თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა კერძო მედიაციის შედეგად – რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის/იურიდიული მისამართის მიხედვით.¹⁹

სამედიაციო პროცესში მიღწეული მორიგების აღსრულების შესაძლებლობა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის უნიკალური ელემენტია, რომელსაც კერძო მედიაციის ინსტიტუტი სხვა საფეხურზე გადაჰყავს. სასამართლო მედიაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მის შედეგად მიღწეული მორიგების სასამართლო წესით აღსრულების შესაძლებლობა. ეს პრინციპი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის სწორედ რომ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კერძო მედიაციაზეც გავრცელდა.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულს, მივყავართ სამედიაციო მორიგებამდე, რომელიც შეიძლება სასამართლოს მხრიდან აღსრულდეს.²¹ აღნიშნულის აღსრულება სასამართლოს ვალდებულებას არ წარმოადგენს, როგორც აუცილებელ ელემენტს. სასამართლო აღსრულებას წინ უდგას რიგი საკითხები, რომელთა გადამოწმების შედეგად ხდება სამედიაციო მორიგების აღსრულება. სასამართლო უარს იტყვის სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონდებლობას ან საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს ან თუ მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.²² თუ ასეთ გარემოებებს ადგილი არა აქვს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ.

აღნიშნული ნორმის ირგვლივ დიდი პრაქტიკის არქონა, არ იძლევა საკითხის რეალური კვლევის საშუალებას. თუმცა, ევროპის ქვეყნების მაგალითზე, რომლებმაც მსგავსი გზა განვლეს ქვეყანაში მედიაციის განვითარების და საკანონმდებლო დონეზე რეგულირების კუთხით, სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა სასამართლოს მხრიდან ფართოდ არის

¹⁸ იქვე, გვ. 180.

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³¹ მუხლის მეორე ნაწილი.

²⁰ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, გვ. 8-9.

²¹ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი ნაწილი.

²² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV¹³ თავის 363³² მუხლი.

რეგულირებული და არაერთ მექანიზმს გვთავაზობს. ავსტრიის მაგალითზე, სადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არაერთი ცვლილება შევიდა მორიგების აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ავსტრიის კანონმდებლობა სასამართლოს გარდა, სააღსრულებო ფურცლის ამოწერის შესაძლებლობას აძლევს არბიტრებს, მუნიციპალურ ორგანოებსა და ნოტარიუსებს.²³

გერმანელი კანონმდებელი აღსრულების საკითხებში, კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას გვთავაზობს, მედიაციის აქტის თავდაპირველი ვერსია ევროპული დირექტივის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. თუმცა, პრაქტიკამ რეალური ცვლილებების საჭიროება მოიტანა და გერმანელმა კანონმდებელმაც არ დააყოვნა.²⁴ დღეს, აღნიშნული თემის საფუძვლიანი კვლევა ევროპული ქვეყნების მაგალითზე, სცილდება ზემოაღნიშნული მუხლის ჰერმენევტიკული კვლევის თემატიკას.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა მედიაციის ინსტიტუტის ქვაკუთხედ პრინციპს ეყრდნობა. ვინაიდან, მედიაციაში როგორც არაფორმალურ პროცესში, მისი ბუნებიდან და არსიდან გამომდინარე, მხარეთა ნების ავტონომიურობის პრინციპი წინა პლანზეა წამოწეული. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სამედიაციო მორიგების აღსრულების მუხლში მხარეთა შესაძლებლობას, მიმართონ სასამართლოს აღსრულების ნაწილში, რომელიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შესაძლებლობას, სამედიაციო მორიგების აღსრულებისას.

მუხლის შინაარსის აღდგენის და დადგენის მიზნით, განხილულია მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივა (2008/52/EC939), რომელიც აღნიშნული ნორმის ქართულ რეალობაში იმპლემენტაციის საფუძველს წარმოადგენდა.

ნორმის მოქმედება პრაქტიკაში და დღეს არსებული სტატისტიკით, აღსრულების ნაწილში მისი გამოყენება ხშირად არ ხდება, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, რასაც ასევე, საფუძვლად ედება სავალდებულო აღსრულების სტანდარტის არარსებობა და მთავარი პრინციპი მხარეთა ნების ავტონომიურობაა. მხარეთა ნების გამოვლენით მიღწეული შეთანხმების აღსრულება მხარეთა ნებაზეა მინდობილი, რაც ნებელობით მიიღწევა, სწორედ მისი ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ინსტიტუტის განვითარება და კერძო თუ სასამართლო მედიაციის ზრდა განაპირობებს მომავალში, აღნიშნული მუხლის ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომ დახვეწის შესაძლებლობას, როგორც მოხდა გერმანიისა და ავსტრიის მაგალითზე, რაზეც წინამდებარე კვლევაში იყო გამახვილებული ყურადღება.

²³ წულაძე, ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ 84-85; იხ. ასევე ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლი.

²⁴ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 136-138.

HERMENEUTICAL RESEARCH OF THE FIRST PARAGRAPH OF ARTICLE 13 OF THE LAW OF GEORGIA „ON MEDIATION“

NINA GERSAMIA

*PhD candidate at Grigol Robakidze University,
Mediator, Attorney*

Mediation is the fastest-developing dispute resolution mechanism in the world and, of course, in Georgia. Therefore, its scientific research is of the utmost importance, considering that the discipline is efficient, although theoretical analysis and scientific study are the basis for its further practical development.

Considering the above, mediation's importance and role as a new dispute settlement mechanism are evident in effectively resolving disputes, as shown in the modern world and Georgia. On the other hand, considering the Georgian perspective, it is essential to correctly analyze the norms of the law and define its scientific meaning for the users, which will generate the basis for the practical interpretation and usage in mediation practice.

This scientific article is a dedicated effort to conduct a theoretical analysis of the current mediation challenges in Georgia. It aims to contribute to the practical development of mediation for jurists and the beneficiaries of mediation services in Georgia.

ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართალში

მონიკა არეშიძე
სამართლის მაგისტრი

შესავალი

XXI საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებამ დაამტკიცა, რომ მათ გარდამტეხი როლის შესრულება შეუძლიათ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. უკვე რამდენიმე ათეული წელია ვითარდება ტექნოლოგიები და მასთან ერთად ვითარდება პროგრამები, რომლებიც დამოუკიდებლად ამუშავებს სხვადასხვა სახის მონაცემს. დღეს მას ჩვენ ხელოვნურ ინტელექტს ვუწოდებთ.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, მატულობს რისკები, რომ: მან ადამიანის შესახებ დაამუშაოს იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს საჭიროა; ის კიდევ უფრო გაუმჭვირვალე გახდება და მისი შემდგომი მოქმედება მეტად ამოუხსნელი იქნება ადამიანისათვის; ხელოვნური ინტელექტი არ არის ანგარიშვალდებული არავისა და არაფრის წინაშე, რამაც მისი კონტროლი შესაძლოა გააძნელოს. სწორედ, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საზოგადოებასა და მეცნიერებში აზრი ორადაა გაყოფილი. ნაწილი მათგანი მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტი არათუ საფრთხის წყარო, არამედ სამომავლო განვითარების უალტერნატივო

საშუალებათა, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელოვნურ ინტელექტს პოტენციურად შეუძლია გადააჭარბოს ადამიანის შესაძლებლობებს და ადამიანის ინტელექტი და უნარი დარჩეს ტექნოლოგიის მიღმა. თუ ჩვენ შევხედავთ ხელოვნური ინტელექტის განვითარების სწრაფ ტემპს, საშიშროება მართლაც, ადვილად შესამჩნევია. მისი განვითარების ტემპის პარალელურად კი, ვხედავთ, რომ მსოფლიოში მისი პრაქტიკული გამოყენება უფრო მეტია, ვიდრე მისი სამართლებრივი შეფასებები და რეგულაციები.

აღნიშნული რისკების ზრდასთან ერთად, საჭირო ხდება ხელოვნური ინტელექტისა და ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ტექნოლოგიების რეგულირება. თუმცა, ტექნოლოგიების შემოსვლა სამართალწარმოებაში, როგორც ბევრ სამართლებრივ გამოწვევას, ისე ბევრ ინოვაციურ ნაბიჯს წარმოშობს. ეს კი, მართლმსაჯულებას სულ სხვა, ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება ხელოვნური ინტელექტის პოტენციური სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, მისი სამართალსუბიექტურობა, სასამართლო სისტემებში გამოყენების პრაქტიკა და ეთიკური სტანდარტები.

ხელოვნური ინტელექტის განმარტება

ხელოვნური ინტელექტის ფენომენის ამოხსნა ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო, დღემდე გრძელდება და სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება.

წამყვანმა მეცნიერებმა ინტელექტი განმარტეს, როგორც ადაპტირების უნარი, რომელსაც აქვს მიზანი. ტექნოლოგიის მეცნიერებმა სტიუარტ რაშელმა და პიტერ ნორვინგმა ხელოვნური ინტელექტის დეფინიცია ოთხ კატეგორიად დაყვეს, რომლებიც ეხება ადამიანის ფიქრისა და ქცევის პროცესებს, ესენია: 1. ადამიანური აზროვნება – გადაწყვეტილების მიღების უნარი; 2. რაციონალური აზროვნება – ლოგიკური და დედუქციური აზროვნება; 3. ადამიანური ქცევა – ობიექტური ქცევა/მოქმედება; 4. რაციონალური ქცევა – საუკეთესო შედეგი ობიექტური ქცვიდან გამომდინარე.¹ ხელოვნური ინტელექტის ძირითადი ფუნქციაა ადამიანის თავის ტვინის ფუნქციონირების მიბაძვა. ევროპული საბჭოს განცხადებით, „ხელოვნური ინტელექტი არის ნი წლის ახალგაზრდა დისციპლინა, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, თეორიასა და ტექნოლოგიას (იგი მოიცავს მათემატიკურ ლოგიკას, სტატისტიკას, ალბათობას, გამოთვლით ნეირობიოლოგიას და კომპიუტერულ მეცნიერებებს), რომლის მიზანია მიაღწიოს ადამიანის კოგნიტური შესაძლებლობების იმიტაციას მანქანების მეშვეობით.“

ხელოვნური ინტელექტი ლიტერატურაში ორ ნაწილად იყოფა – ვიწრო და ზოგადი.

¹ Claussen-Karlsson Matilda, Artificial Intelligence and the External Element of the Crime (An Analysis of the Liability Problem), Motala, Örebro Universitet, 2017, 15-16.

ვიწრო გაგებით, ხელოვნური ინტელექტია ადამიანთა ყველა მიღწევა. მას შეუძლია წინასწარგანსაზღვრული პრობლემა გადაჭრას. იგი ყველაზე მეტად გამოყენებადი კატეგორიაა კაცობრიობისთვის. მას შეუძლია ითამაშოს თამაშები, იდენტიფიცირება მოახდინოს ფოტოების, ადამიანის, ხმის ა. შ. ან/და მართოს ა/მანქანა და სამუშაო გარემო მეტად მოქნილი გახადოს.

ვიწრო გაგებით, ხელოვნური ინტელექტი თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფა. ესაა წესზე (კოდზე) დაფუძნებული სისტემა, მანქანური სწავლება და სიღრმისეული სწავლება.² ვიწრო ხელოვნური ინტელექტის კატეგორიებს ახასიათებთ თვითსწავლის უნარი, ხოლო რაც შეეხება ზოგად ხელოვნურ ინტელექტს, ის უფრო სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროა.

ხელოვნური ინტელექტი თვითმართვად ავტომობილებში

ხელოვნური ინტელექტი ვიდრე თავის განვითარებას სამართალში ჰპოვებს, ის უკვე წინ მიიწევს ტექნოლოგიებში. დღესდღეობით, არაერთ ქვეყნაში ვხვდებით რობოტ მომსახურე პერსონალს, სამხედრო რობოტებს, დრონებს, ე. წ. ჭკვიან კამერებს, სავაჭრო სისტემებს, თვითმმართველ ავტომობილებს და სხვა. ეტაპობრივად იზრდება მათი ინოვაციურობაც, ფუნქციებიც და ინტელექტის უნარიც, რაც ცალკე განსახილველი საკითხია. წინამდებარე სტატიაში კი, უფრო დეტალურად თვითმმართველ ავტომობილებს შევხებით.

თანამედროვე მსოფლიოში თვითმმართველი ავტომობილების რიცხვი ნელ-ნელა იზრდება. ეს უკანასკნელი განსხვავდება სხვადასხვა დონის მიხედვით. ათვლა იწყება 0-დან და მთავრდება მე-5 დონეზე. 0 დონე – ეს არის შემთხვევა, როდესაც მძღოლი სრულად პასუხისმგებელია ავტომობილის მართვაზე; I დონე – ეს არის მძღოლისთვის დახმარების გაწევა, ზოლისა და საკრუიზო კონტროლის შენარჩუნებაში; II დონე – ამ დროს სისტემას შეუძლია როგორც საჭის მართვა, ისე აჩქარება (ერთდროულადაც); III დონე – სისტემას შეუძლია A პუნქტიდან B პუნქტამდე დამოუკიდებლად, ადამიანის ჩარევის გარეშე, გადაადგილდეს, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციებში საჭირო გახდება ადამიანის მკვეთრი მოქმედება/ჩარევა; IV დონე – ავტომობილი სრულად დამოუკიდებელია, ადამიანის ჩარევის გარეშე გადაადგილდება, მაგრამ იმოძრავეს სისტემაში არსებულ გეოგრაფიულ არეალში და კონკრეტული ამინდის შესაბამისად; V დონე – სრულად ავტომატიზებული და ავტონომიურია ავტომობილი, სადაც ადამიანის ჩარევა 0-ზეა დაყვანილი და მას შეუძლია მოძრაობა აბსოლუტურად ყველა მდგომარეობისა და პირობის მიუხედავად.³

² Benoit Dupont, Yuan Stevens, Hannes Westermann, Michael Joyce “Artificial Intelligence in the Context of Crime and Criminal Justice”. Korean Institute of Criminology. Universite de Montreal. გვ.11-15. December, 2018.

³ <https://www.synopsys.com/automotive/what-is-autonomous-car.html>

დღეს, მსოფლიო გიგანტები, როგორცაა უბერი (Uber), გუგლი (Google) და ტესლა (Tesla), ბაიდუ (Baidu) აწარმოებენ ავტონომიურ-თვითმმართველ ავტომობილებს, რომლებსაც არ სჭირდებათ ადამიანის მიერ საჭეზე ხელის მოკიდება და პედლებზე ფეხის მიჭერა. ავტომობილებს სისტემებში აქვთ ხელოვნური ინტელექტი, რომელიც აკონტროლებს ყველაფერს გარშემო. ხელოვნური ინტელექტის მთავარი ფუნქციაა ყველა საფრთხის თავიდან არიდება, მგზავრებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ასევე, ტრანსპორტირების უსაფრთხოება.

ჯერ კიდევ, 2009 წლიდან გუგლმა დაიწყო თვითმმართველ ავტომობილებზე ფიქრი და დროთა განმავლობაში შექმნა პროექტი, რომელსაც ეწოდა Waymo. თავდაპირველად, გამოჩნდა Waymo-one, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელთა გადაადგილებაზე, ხოლო 2020 წლისთვის, ბაზარზე გამოჩნდა Waymo via, რომელიც კომერციული საქონლის ტრანსპორტირებისთვისაა განკუთვნილი. Waymo გზებზე მოძრაობს ერთი მხრივ, ხელოვნური ინტელექტის, ხოლო მეორე მხრივ, კამერების, ლიდარის⁴ და რადარის მეშვეობით. ეს სისტემები დეტალურად აღიქვამენ ყველა ნიუანსს 360 გრადუსით. საბოლოოდ კი, ქმნიან ავტომობილის დამოუკიდებლად გადაადგილების საფუძველს. ისინი აღიქვამენ მომდინარე საფრთხეს, ზომავენ მანძილს და რაც მთავარია, სწრაფად რეაგირებენ.

განსხვავებით Waymo-გან, Tesla თავის ავტომობილებში არ იყენებს ლიდარის სისტემას. Tesla-ს აქვს კამერები და ულტრაბგერითი სენსორები, რომელიც ავტომობილს დამოუკიდებლად მართვაში ეხმარება, ასევე, მაღალი გარჩევადობის რუკები და GPS სისტემები.

ხელოვნური ინტელექტის მქონე ავტომობილების მიერ სისხლისსამართლებრივი და პოტენციური სისხლისსამართლებრივი დანაშაულები

ამერიკის შეერთებულ შტატებში არაერთი შემთხვევა ფიქსირდება თვითმმართველი ავტომობილით ჩადენილი ავტოკატასტროფისა. მაგალითად, 2018 წლის მარტში, არიზონაში, ლამის საათებში, Uber-ის თვითმმართველი ავტომობილი დაეჯახა ქვეითს, რომელიც ველოსიპედით გადადიოდა გზაზე. სამწუხაროდ, ქვეითი გარდაიცვალა. ავტომობილში, მძღოლის სავარძელში იყო ადამიანი (მისის რაფაელა ვასქუეზი) რომელიც ავტომობილის მართვაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა.

⁴ Lidar – ლაზერული მანძილსაზომი. ძირითადად, იგი შედგება ლაზერის, სკანერისა და სპეციალიზებული GPS სისტემისგან. ლიდარის ორი ტიპი არსებობს, ტოპოგრაფიული და ბათიმეტრიული. ტოპოგრაფიული ლიდარი როგორც წესი, იყენებს ახლო ინფრაწითელ ლაზერს მიწის რუკისთვის და მანძილის გასაზომად, ხოლო ბათიმეტრიული ლიდარი იყენებს წყლის გამჭოლ მწვანე შუქს ზღვის ფსკერისა და მდინარის ამალღების გასაზომად. ულტრაბგერითი სენსორები, რომელიც ავტომობილს დამოუკიდებლად მართვაში ეხმარება. Tesla-ს აქვს მაღალი გარჩევადობის რუკები და GPS სისტემები.

ამ ფაქტზე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ დაიწყო გამოძიება. ორ წელზე მეტი ხნის გამოძიების შემდეგ, გამოიკვეთა პასუხისმგებელი პირი. ეს უკანასკნელი სწორედ მძღოლის სავარძელში მყოფი მისის რაფაელა ვასქუები აღმოჩნდა. პოლიციის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნი ვასქუები იმყოფებოდა ავტონომიურ-თვითმმართველ ავტომობილში, რომელიც დამოუკიდებლად მოძრაობდა, იგი ვალდებული იყო ყურადღება გამოეჩინა მოძრაობისას. მგზავრობის განმავლობაში ქ-ნ ვასქუებმა დროის 34% გაატარა მობილურ ტელეფონში, სადაც ტელეგადაცემას უყურებდა, ნაცვლად იმისა, რომ კონცენტრირებული ყოფილიყო მგზავრობაზე. სწორედ საბედისწერო მომენტშიც იგი იყურებოდა მობილურ ტელეფონში და არ განახორციელა ისეთი მანევრი, რომელიც ელინ ჰერცბერგის სიცოცხლეს გადაარჩენდა. მისი ყურადღება და კონცენტრაცია არ იყო მიმართული გზისკენ, მიენდო თვითმმართველ ავტომობილს, რამაც საფრთხე ვერ/არ აღიქვა და დაეჯახა ქვეითს. რაფაელა ვასქუებს 2020 წლის აგვისტოში ბრალი წარუდგინეს.⁵ საბოლოოდ კი, ვასქუების საქმე საპროცესო შეთანხმებით დასრულდა და მას სამწლიანი პატიმრობა მიესაჯა ავარიის-თვის, რამაც ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ავტომწარმოებლები მძღოლის სავარძელში მყოფ პირებს აფრთხილებენ, რომ აუცილებელია საჭესთან ყოფნისას მათი სრული მობილიზება, კონცენტრაცია და ყურადღება. მართალია, ავტომობილი დამოუკიდებლად ასრულებს მანევრებს, მაგრამ მძღოლებს ეს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.

მსგავსი შემთხვევა ჰქონდა Tesla-ს, რა დროსაც ავტომობილში მყოფ მძღოლს ავტოპილოტის რეჟიმი ჰქონდა ჩართული, გადაადგილდებოდა მაღალი სისწრაფით და შეეჯახა წინ მიმავალ ავტომანქანას. Tesla-მ განაცხადა, რომ „მისი (მძღოლის) ხელები ავტოავარიამდენ წამის განმავლობაში საჭეზე არ დაფიქსირებულა.“⁶ ავტომწარმოებელს კი, თავის მხრივ, სავალდებულო აქვს წესი, რომლის მიხედვითაც Tesla-ში მყოფ ყველა მძღოლს საჭეზე ხელი აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მოკიდებული, რაც პრაქტიკაში არ ხორციელდება და ამიტომაც Tesla-ს ხშირი ავტოავარია უფიქსირდება.

მსგავსი რამდენიმე შემთხვევა ჰქონდა Waymo-საც, სადაც ზოგჯერ ქვეითი ზოგჯერ კი, სხვა ავტომობილი იყო დამნაშავე თუმცა, ამ შემთხვევებში არავინ გარდაცვლილა.

საინტერესოა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობის საკითხი Waymo-ს Robo Taxi-ის შემთხვევაში, რომელსაც მძღოლი საერთოდ არ ჰყავს. ერთი მხრივ, არის მწარმოებელი/შემქმნელი კომპანია, რომლის საკუთრებაშია Robo Taxi, ხოლო მეორე მხრივ, სახეზე არ გვყავს მძღოლი – პერსონა.

⁵ <https://www.bbc.com/news/technology-541075359>

⁶ <https://www.tesla.com/blog/update-last-week%E2%80%99s-accident>

სხვა მაგალითი რომ მოვიტანოთ – მძღოლის სავარძელში მყოფი პირი მაქსიმალურად კონცენტრირებულია სავალი გზისკენ, აკონტროლებს საჭეს და სარკეებს, მაგრამ უეცრად, ხელოვნურმა ინტელექტმა და ავტომობილში არსებულმა სისტემებმა, ავტომობილს არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია. კარგ შემთხვევაში, ავტომობილი ადგილზე გაჩერდება და მხოლოდ საავარიო სიტუაციას შექმნის, ხოლო უარეს შემთხვევაში, დაეჯახება სხვა ავტომობილს ან ქვეითს. ამ შემთხვევაში, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ავტონომიურ-თვითმმართველ ავტომობილში მყოფმა მძღოლმა (თუ მასაც არ დაუზიანდა ჯანმრთელობა)? ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა? და ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან რთულ ამოცანას ემსგავსება და გამოძიება ჩიხში აღმოჩნდება.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. Uber-ის შემთხვევამ შექმნა სამართლებრივი პრეცედენტი, რა დროსაც, თვითმმართველი ავტომობილის მძღოლზე გადავა პასუხისმგებლობა, მაგრამ თუ ორი თვითმმართველი ტაქსი დაეჯახა ერთმანეთს, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა? როგორ უნდა წარიმართოს გამოძიება, რა საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს, რა ტიპის ექპერტიზა უნდა დაინიშნოს და საერთოდ, რა როლი აქვს სასამართლოს ან/და სახელმწიფოს? მაშინ, როდესაც თვითმმართველი ტაქსის მართვაზე მხოლოდ ხელოვნური ინტელექტი, ლიდარის, რადარისა და GPS სისტემებია პასუხისმგებელი.

ერთი შეხედვით, თვითმმართველი ავტომობილები განვითარების უმაღლეს წერტილზე დგას და ამის შემდეგ, მხოლოდ მფრინავი ავტომობილები თუ შეიძლება რომ წარმოვიდგინოთ, მაგრამ ამ ყველაფრის უკან დგას საკმაოდ ბევრი დასაფიქრებელი და საკამათო საკითხი. თვითმმართველი ავტომობილების ავტომწარმოებლები ამტკიცებენ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ხელოვნურ ინტელექტზე და გარკვეულ სისტემებზე მომუშავე ავტომობილი გაცილებით უფრო უსაფრთხო ტრანსპორტია, ვიდრე ეს შეიძლება იყოს ადამიანის მიერ მართული ავტომობილი. მაგალითად, Tesla-ს ამის დასამტკიცებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტოავარიების სტატისტიკა მოჰყავს.⁷ ეს აზრი შეიძლება, ერთი მხრივ, მართალია და თვითმმართველ ავტომობილს არ მართავს ალკჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, არასრულწლოვანი, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი და ა. შ. მაგრამ მეორე მხრივ, გვაქვს სისტემა, რომლის აღქმადობამ კონკრეტული საფრთხე შეიძლება ვერ/არ გათვალოს და მოხდეს უბედური შემთხვევა. ამ ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ალბათ უფრო დრო და ციფრები გვაჩვენებს თუ რა სჯობს, მაგრამ ამ ყველაფრის სამართლებრივი შეფასება უდავოდ საჭირო, პროდუქტიული და მნიშვნელოვანია.

⁷ <https://www.tesla.com/VehicleSafetyReport>

ხელოვნური ინტელექტი და სამართალსუბიექტობა

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომპლექსური დარგია განსხვავებით, სამართლის სხვა დარგებისგან.

საქართველოს სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ამიტომაც ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები აღწერს ქმედების შემადგენლობებს, ესე იგი განისაზღვრება ადამიანის რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად. აღნიშნული კოდექსის პირველივე მუხლშია ჩამოყალიბებული – „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას“ [...] კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“⁸

აგრეთვე, სისხლის სამართალი ორიენტირებულია დაიცვას სამართლებრივი სიკეთეები. იგი ორი სახის არსებობს. ესენია: ინდივიდუალური და უნივერსალური. ინდივიდუალურია – სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება; უნივერსალურია – კონსტიტუციური წეს-წყობილება, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, საყოველთაო მშვიდობა და ა. შ.⁹

სისხლის სამართალი რომ შემოვიდეს ასპარეზზე და დაიცვას ჩამოთვლილი სამართლებრივი სიკეთეები, საჭიროა დადგეს შედეგი. ესე იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველია მოქმედება, რომელიც ადამიანის მიერ იქნება ჩადენილი.¹⁰ ეს წინადადება კი, ჩვენ მიერ განსახილველ საკითხს რომ შევუსაბამოთ, გამოდის, რომ ყოველი დანაშაულის უკან, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ჩაიდენს, არის ადამიანი და იგი უნდა დაისაჯოს სისხლისსამართლებრივად. ცხადია, ეს შეხედულება ვერ იქნება მართებული, რადგან ხელოვნური ინტელექტი იყოფა რამდენიმე კატეგორიად და ვიდრე პასუხისმგებლობის ან ბრალეულობის საკითხს გადავწყვეტთ, აუცილებელია გაირკვეს, თუ რომელი კატეგორიის (რომელი დონის) ხელოვნურ ინტელექტთან გვაქვს საქმე. თუმცა, მანამდე მთელი რიგი სამართლებრივი საკითხების განხილვაა საჭირო. იმისათვის, რომ დავადგინოთ ხელოვნურ ინტელექტს შესწევს თუ არა უნარი ჩაიდინოს დანაშაული და მივიღოთ ქმედება თავისი შედეგით, საჭიროა განვიხილოთ დღევანდელი ქართული კანონმდებლობით, არის თუ არა იგი სამართლის სუბიექტი.

⁸ საქართველოს კანონი 2287, 22/07/1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1, (სსმ 41(48), 13/08/1999), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

⁹ ტურავა მ., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), მეცხრე გამოცემა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2013, გვ. 16.

¹⁰ Claussen-Karlsson Matilda, Artificial Intelligence and the External Element of the Crime (An Analysis of the Liability Problem), Motala, Örebro Universitet, 2017, 22.

სამართლის სუბიექტის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ცნების არსებობა დაკავშირებულია თვით სამართლის არსებობასთან.¹¹ სამართლის სუბიექტი ორმაგი ბუნების მქონე ცნებაა. ერთი მხრივ, სამართლის სუბიექტი წარმოგვიდგება, როგორც მართლწესრიგის ნაწილი, მეორე მხრივ, სამართლის სუბიექტი გვევლინება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სათანადო უფლებამოსილებითა და ვალდებულებებითაა აღჭურვილი.¹² კანონმდებლობაში სამართლის სუბიექტებად აღიარებული არიან მოქალაქენი, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური ერთობები, რომლებსაც იურიდიული ნორმების საფუძველზე შეუძლიათ იყვნენ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ანუ უფლებებისა და მოვალეობების მატარებლები.¹³

აღნიშნულს თუ დავეყრდნობით, დღესდღეობით, ხელოვნური ინტელექტი როგორც სამართლის სუბიექტი, ვერცერთ ნაწილში ვერ ჯდება. იგი არ არის ადამიანი და არც ორგანიზაცია (იურიდიული პირი), რათა მივაკუთვნოთ სამართლის სუბიექტის სტატუსს. პროფესორი ზვიად გაბისონია თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად აღიარების საკითხში, „მეცნიერები განიხილავენ ორ ვარიანტს. პირველ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი განიმარტება მხოლოდ როგორც ტექნიკური საშუალება ნივთის სამართლებრივი რეჟიმის უფლებით. მეორე შემთხვევაში კი, ხელოვნურ ინტელექტს შეიძლება მიენიჭოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის სტატუსი ე. წ. „ელექტრონული პირის“ სახით – იურიდიული პირის მსგავსად, სამართლის ფიქციის საფუძველზე. აღნიშნული ორივე ვარიანტი მოკლებულია სრულყოფილ სამართლებრივ იურიდიულ კონსტრუქციას. ხელოვნური ინტელექტის სამართლის ობიექტად მიჩნევის კვალიფიკაცია არ ითვალისწინებს მის სუბიექტურობის ნიშანს – მის უნარს, დამოუკიდებლად იაზროვნოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. მეორე შემთხვევაში კი, წარმოიშობა უფრო ღრმა მსოფლიო სამართლებრივი პრობლემა: არის თუ არა ხელოვნური ინტელექტი პიროვნება, მსგავსი თვით ადამიანისა. ამ საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებული ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების მომავალი მოდელი. კერძოდ, შეძლებს თუ არა ხელოვნური ინტელექტი გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტი და იყოს საკუთარ ქმედებებზე დამოუკიდებლად პასუხისმგებელი პირი. ნათელია, რომ ამისათვის ხელოვნურ ინტელექტს დასჭირდება შესაბამისი დამოუკიდებელი ნებელობა, ნების გამოვლენა.“¹⁴

¹¹ ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომც. მერიდიანი, თბ., 2011, გვ. 197.

¹² ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. მერიდიანი, თბ., 2015, გვ. 255.

¹³ ლოხუანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2016, გვ. 345.

¹⁴ გაბისონია ზ., ხელოვნური ინტელექტის არსი და მისი სამართლის სუბიექტად ცნობის პრობლემა,“ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ჟურნ. იუსტიცია #1, თებერვალი, 2022 წელი, გვ. 129, <https://justice.gov.ge/files/TnAA9PEyKguc.pdf>

ევროპულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება დელიქტური პასუხისმგებლობების რამდენიმე მოდელი: 1. დელიქტური პასუხისმგებლობების დაკისრება ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობების მფლობელ სუბიექტებზე; 2. დელიქტური პასუხისმგებლობების დაკისრება პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელზე; 3. დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება ხელოვნური ინტელექტის მომსახურე ოპერატორზე.¹⁵

2017 წელს, ევროპის პარლამენტმა განსაზღვრა ტექნოლოგიის მთავარი თვისებები, რომლის მიხედვითაც, მას უნდა ჰქონდეს უნარი გამოცდილებით შეიძინოს ახალი ცოდნა და ჰქონდეს ადაპტაციის უნარი. ეს კი სხვა არაფერია თუ არა ახალი სამართლის სუბიექტის წარმოქმნის წინაპირობა. სამართლის თეორიაში შემოვიდა ტერმინი „ელექტრონული პირი,“ რომელიც საკმაოდ ბუნდოვანი იყო და დაბნეულობას იწვევდა, მაგრამ იურისტებისთვის ამ ტერმინის შემოტანა ისეთივე პრაქტიკული მნიშვნელობისაა, როგორც თავის დროზე „იურიდიული პირის“ ცნების შემოტანისას მოხდა.¹⁶

აქედან გამომდინარე, მიუხედავად აბსტრაქტულობისა, მანქანური სწავლებისა და სიღრმისეული სწავლების კატეგორიის ხელოვნულ ინტელექტს აქვს თვითგანვითარების უნარი, რომელიც მრავალი სახის ოპერაციას ასრულებს. ეს ოპერაციები შეიძლება იყოს ადამიანისთვის სასიკეთო ან ზიანის მომტანი. სამართლის მეცნიერებს კი, მოუწევთ სიღრმისეული მსჯელობა განავითარონ ხელოვნური ინტელექტის გარშემო. შეიძლება საჭირო გახდეს სუბიექტთა ტრანსფორმირება და ხელოვნური ინტელექტის დამატება, რათა შესაძლო დაწესებულებებში დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება.

ხელოვნური ინტელექტი სასამართლოში

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ტექნოლოგიის განვითარებამ ხელი შეუწყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას. ეს გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო ექსპერტებს ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით, შეუძლიათ მარტივად დაწერონ მაღალი სიზუსტის დასკვნები, გამომძიებლებს შეუძლიათ ვიდეო კამერების მეშვეობით გახსნან დანაშაული, ფინანსური დანაშაულის შემთხვევაში, კომპიუტერული სისტემებიდან ამოიღონ ინფორმაცია და დაადგინონ ობიექტური რეალობა. ცალსახად, ეს ყოველივე, სამართალწარმოებისთვის დადებითი ეფექტის მატარებელია. სასამართლო სისტემები გადატვირთულია მოჭარბებული სისხლის სამართლის საქმეებით. სწორედ ამ და სხვა მიზეზთან ერთად, ჩინელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ალგორითმი, რომელსაც შეუძლია თუნდაც

¹⁵ იქვე, გვ. 132.

¹⁶ იქვე, გვ. 138.

ზეპირსიტყვიერად ნათქვამი მტკიცებულებების გაფილტვრა და იმის დადგენა კონკრეტული პირი იყო თუ არა საშიში საზოგადოებისთვის. ამ სისტემას System 206 ეწოდება, თუმცა დროთა განმავლობაში, ალგორითმი დაიხვეწა და დღეის მდგომარეობით, მას შეუძლია მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაში კი, იგულისხმება, რომ სისტემას შეუძლია ერთი მხრივ, გაფილტვროს მტკიცებულებები, ხოლო მეორე მხრივ, წარუდგინოს ბრალი კონკრეტულ პირს – ესე იგი, ის ითავსებს პროკურორის ფუნქციას. დღეს სისტემა „პროკურორი ხელოვნური ინტელექტის“ სახელითაა უკვე ცნობილი (Prosecutor AI). South China Morning Post-ის სტატიაში მკაფიოდაა აღნიშნული, რომ სისტემას შეუძლია 8 ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებში, 97% სიზუსტით წარადგინოს ბრალი. ესენია: პოლიტიკური წინააღმდეგობა, საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული თაღლითობა, თაღლითობა, აზარტული თამაშები, ავტომობილის უპასუხისმგებლო მართვა, თავდასხმა, ოფიცრის ხელშეშლა და ქურდობა.¹⁷ იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტის მქონე პროკურორს შეძლებოდა დღევანდელი შედეგის მიღწევა, 2015 წლიდან 2020 წლამდე, მექანიზმი „დაატრენინგეს“ 17 000-ზე მეტ საქმეზე. ამ საქმეებიდან მექანიზმს შეუძლია საჭირო ინფორმაციის იდენტიფიცირება და არასაჭირო ინფორმაციის გაფილტვრა. გადაწყვეტოს კონკრეტული დანაშაულის შემთხვევა, გამოკვეთოს კონკრეტული ეჭვმიტანილი პირი და ამის შემდეგ კი, ბრალი წარუდგინოს.¹⁸

გარდა ამისა, მაღალიზიაში კერძოდ, ქალაქ საბაჰსა და სარავაკში დანერგეს ხელოვნური ინტელექტი (საპილოტე რეჟიმში), რომელიც მოსამართლეს რეკომენდაციას უწევს სასჯელის შეფარდებაში.¹⁹ ხელოვნური ინტელექტი ჯერ აანალიზებს 2014 წლიდან 2019 წლამდე სისხლის სამართლის საქმეებს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა სასჯელის ზომისა და სახის შესახებ რეკომენდაციას თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მოსამართლეზეა.²⁰

2020 წლის მაისში, გააანალიზეს საბაჰსა და სარავაკოში განხილული საქმეები, სადაც ხელოვნურმა ინტელექტმა მიიღო რეკომენდაცია კონკრეტული სასჯელის დანიშვნის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მოსამართლეების 67%-მა არ მიიღო მხედველობაში აღნიშნული რეკომენდაცია იმ მიზეზით, რომ სასჯელი არ იყო საკმარისად შემაკავებელი კონკრეტული დანაშაულის კატეგორიისთვის.²¹ სტატიაში ავტორები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სამართლიანი

¹⁷ https://www.scmp.com/news/china/science/article/3160997/chinese-scientists-develop-ai-prosecutor-can-press-its-own?fbclid=IwAR200GZPH1ZzUPZ3vHnYEDrYx4PWewHEYwIVyNchRCTdyzV7Ne19P1B_QaY

¹⁸ <https://cimmersant.ge/post/chinuri-xelovnuri-intelekti-echvmitanilistvis-bralis-wayenebas-shedzlebs>

¹⁹ <https://interestingengineering.com/chinese-scientists-created-an-ai-prosecutor-that-can-press-charges>

²⁰ Gong, Rachel; Lim Claire “Artificial Intelligence in the Courts: AI Sentencing in Sabah and Sarawak,” Khazanah Research Institute”. 18 August, 2020, 1, https://www.krinstitute.org/assets/contentMS/img/template/editor/200821%20AI%20in%20the%20Courts%20v3_0_2092020.pdf

²¹ იქვე, გვ. 4-5.

სასამართლოს უფლება და აუცილებელია განისაზღვროს ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული რეკომენდაციის გასაჩივრების მექანიზმი. ასევე, ავტორები იმედს გამოხატავენ, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული სასჯელის ზომა და სახე მხოლოდ რეკომენდაციაა და მხარეებს სასამართლოს წინაშე შეუძლიათ წარადგინონ ალტერნატიული სასჯელ(ებ)ის შუამდგომლობა.²²

ბოლო წლებია, ყურადღების ცენტრში ნიდერლანდები მოექცა. მათ შეიმუშავეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზა (ADM), რომელიც დაკავშირებულია ხელოვნურ ინტელექტთან. ეს არის სისტემა, რომელიც დავებს წყვეტს და ფაქტობრივად, არბიტრის ფუნქცია აქვს დაკისრებული. მხარეებს სისტემაში შეუძლიათ ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტები და დოკუმენტების დამუშავების შემდეგ, სისტემა გამოიტანს ვერდიქტს. ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, არბიტრი, რომელიც ადამიანია, განიხილავს სისტემის მიერ გამოტანილ ვერდიქტს და ხელს აწერს მას. ცხადია, თავდაპირველ ეტაპზე, სისტემას კრიტიკოსები გამოუჩინდნენ და ისინი აღნიშნავდნენ, რომ ვერდიქტის გამოტანა იყო გაუმჭირვალე პროცესი. ამის მიუხედავად, ელექტრონული სასამართლოს სისტემამ დიდი მოწონება დაიმსახურა. აღნიშნულია, რომ ონლაინ დავების გადაწყვეტა ხელს უწყობს სწრაფ მართლმსაჯულებას, სასამართლოს განტვირთვას და რესურსების დაზოგვას, რაც ძვირადღირებულ და ხანგრძლივ საქმეებს ახასიათებთ. ეს არის სასამართლოს ალტერნატიული საშუალება დროული გადაწყვეტილების მისაღებად.²³

ამერიკის შეერთებულ შტატებში Northpointe.Inc-ის მიერ შეიქმნა ალგორითმი – COMPAS (Correctional Offender Management Profiling for Alternative Sanctions). პროგრამა ორიენტირებულია გააკეთოს პროგნოზი რეციდივისა და ძალადობის განმეორების რისკებისა. როდესაც პირს აღეკვეთება თავისუფლება, იგი პასუხობს COMPAS-ის კითხვებს. კონკრეტულ კითხვას კონკრეტული ქულა აქვს მინიჭებული და დაჯამების დროს, თუ ქულათა ჯამი გარკვეულ ნიშნულს გადაცდა, მაშინ COMPAS-ის ალგორითმი ადგენს რეციდივის ნიშნებს. სამწუხაროდ, აღნიშნულ ალგორითმს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩინდა, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ ფერადკანიანი პატიმრები მაღალ რისკ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ და დანაშულის განმეორების მაღალი პროცენტულობა ენიჭებოდათ. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ გათავისუფლებიდან 2 წლის შემდეგ, თეთრკანიან პატიმრებს უფრო მეტი რეციდივის შემთხვევა ჰქონდათ, ვიდრე ფერადკანიანებს.²⁴ მიუხედავად ამისა, ალგორითმი მაინც წარმატებით მუშაობს.

²² იქვე, გვ. 6.

²³ Appelman, Naomi; Fathaigh O Ronan, Automating Society 2020, Report. P. 165. Algorithm Watch. Germany, October 8, 2020, <https://automatingsociety.algorithmwatch.org/wp-content/uploads/2020/12/Automating-Society-Report-2020.pdf>

²⁴ <https://www.propublica.org/article/how-we-analyzed-the-compas-recidivism-algorithm>

ხელოვნური ინტელექტი და ეთიკური სტანდარტები

დღეის მდგომარეობით, არსებობს ეთიკური ნორმები, რითაც დარეგულირებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. ცნობილია, რომ ეთიკური სტანდარტები შესასრულებლად სავალდებულო არ არის თუმცა, უკვე ჩამოყალიბებული ნორმები სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს.

- „2018 წლის დეკემბერში, European Commission for the Efficiency of Justice–მა ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია სამართალწარმოებასთან. ესენია:
- I. ფუნდამენტური უფლებებისა და პრინციპების პატივისცემა – ხელოვნური ინტელექტის შექმნა და დანერგვა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითად უფლებებს;
 - II. არა დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელოვნური ინტელექტი არ უნდა იყოს საბაბი უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციისთვის;
 - III. ხარისხისა და უსაფრთხოების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ სამართალწარმოებაში ელექტრონული მონაცემები და მონაცემების დამუშავება უნდა იყოს უსაფრთხო;
 - IV. გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, რაც გულისხმობს, რომ მონაცემთა დამუშავების მეთოდები უნდა იყოს ამ პრინციპების დაცვით და აგრეთვე, გასაგები ინდივიდისთვის;
 - V. „გამომყენებლის/მომხმარებლის კონტროლის ქვეშ“ – პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მკაფიო და ნათელი ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, სწორი არჩევანის გასაკეთებლად.“²⁵

„ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან ეთიკურ პრინციპებს შორის გამოყოფენ გამჭვირვალობას, სამართლიანობას, პასუხისმგებლობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ზიანისგან დაცვას – ეს ხუთი ეთიკური პრინციპი თითქმის ყველა, აქამდე შემუშავებულ დოკუმენტშია დასახელებული და ყველაზე ფართოდაა გამოყენებული.

„ასევე მნიშვნელოვანია, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხებველო ორგანოს (European Data Protection Supervisor – EDPS) ხელოვნური ინტელექტის ეთიკური მხარის შესახებ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც:

²⁵ Boahemaa, Fuso Jovia, “The impact of Artificial Intelligence on Justice system”. გვ. 6. Trento Biolaw selected student paper. Paper #25. Universita Di Trento, Jean Monnet, Co-funded by the Erasmus + programme of the European Union. file:///C:/Users/Admin/Downloads/paper+25.pdf

- პიროვნების ღირსება ციფრულ ეპოქაში არ უნდა იქნას შელახული;
- პიროვნება და პირადი მონაცემები არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული;
- ციფრული ტექნოლოგიები საფრთხეს უქმნის დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებს;
- ციფრული მონაცემების დამუშავება ახალი ფორმის დისკრიმინაციის შესაძლებლობებს აჩენს;
- მონაცემების „საქონლად“ ქცევა იწვევს ღირებულების/მნიშვნელობის გადატანას ინდივიდიდან მისი პერსონალური მონაცემების მიმართ.“²⁶

ამდენად, ხელოვნური ინტელექტის საკითხის გარშემო ჩამოყალიბდა ეთიკური სტანდარტები, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა პროგრამებისა და სისტემების შემქმნელებისთვის.

ხელოვნური ინტელექტის არსებობა მართალია, უფრო მოქნილს ხდის აწმყოს, ხოლო მომავალს მარტივს, მაგრამ ამან არ უნდა შელახოს ადამიანის უფლებები, დაარღვიოს პერსონალური მონაცემები და მისი მუშაობის სისტემა ადამიანისთვის გამჭირვალე უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის გავრცელებას საზღვრები არა აქვს, მაგრამ ესეც ადამიანზე და მის სურვილზეა დამოკიდებული. შემქმნელებს აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ ე. წ. „კეთილი“ მიზნებისთვის გამოიყენონ AI. მას რასაც „ჩაუდებენ“ კოდად, ზუსტად ისევე იმოქმედებს. შესაბამისად, მაინც ყველაფერი ადამიანზე (შემქმნელზე) და მის ნებელობაზეა დამოკიდებული.

დასკვნა

გამოკვლეული ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა, რომ ხელოვნურ ინტელექტს არა აქვს უნარი ამოწუროს თავისი რესურსი და გაჩერდეს ერთ საფეხურზე. მას აქვს უნარი განვითარების, თვითსწავლისა და წინა გამოცდილების რეალიზების. სწორედ ამიტომ, მისი რესურსებისა და შესაძლებლობების კვლევა აქტიური ტემპით უნდა გაგრძელდეს. ადამიანებს აქვთ შიში, რომ ტექნოლოგიები გადაფარავს ყველას და ყველაფერს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადამიანი, რაც უფრო მეტ წინაღობას ხვდება, მით მეტ გამოსავალს პოულობს.

²⁶ გოდერძიშვილი ნ., ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები, ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი (IDFI) (პოლიტიკური დოკუმენტი), თბ., 2021, გვ. 30, https://idfi.ge/public/upload/Article/1111Artificial-Intelligence- GEO_Web%20Version.pdf

ზოგადად, ტექნოლოგიების სამართალი არ მოიცავს მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს, მაგალითად, მხოლოდ ნორმებს, ის მოიცავს ტექნოლოგიებს, ფიზიკას, ადამიანის ქიმიურ აგებულებას, რათა შემდგომ ზუსტად მოხდეს ადამიანის გონების მიბაძვა. სწორედ ამიტომ, ეს უკანასკნელი ინტერდისციპლინებულია და ჩამოყალიბებისთვის საჭიროებს დიდ დროს.

ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეჟიმის მასშტაბები ჯერ კიდევ, არ არის ზუსტად დადგენილი. არ არის ერთიანი პრაქტიკა ხელოვნური ინტელექტის მიერ ან მისი მეშვეობით/მისი გამოყენებით ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამოძიების და შემდგომ გადაწყვეტილების მიღების. თუმცა, Uber-ის და სხვათა პრეცედენტები ცხადყოფს, რომ გარკვეული პრეცედენტები ყალიბდება და რეგულაციებიც სამართლებრივ ასპარეზზე გამოჩნდება.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტისა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირი მალე ბუნებრივი მოვლენა გახდება, რისთვისაც საჭიროა მეცნიერების მზადყოფნა და მზაობა.

ARTIFICIAL INTELLIGENCE IN CRIMINAL LAW

MONIKA ARESHIDZE

Master of Criminal Law

The development of technologies in the 21st century has proven that they can play a transformative role in our daily lives. For several decades, technologies have been developing, and along with them, programs have been growing that independently process various types of data. Today, we call it artificial intelligence.

With the development of artificial intelligence, the risks of processing more information about a person than necessary are increasing. The risks are that it will become even more opaque, and its subsequent actions will be more incomprehensible to humans. The risks of AI not being accountable to anyone or anything could make it difficult to control. The public and scientists are divided into two groups based on the above circumstances. One part believes that artificial intelligence is not a source of danger but an alternative means of future development, while the other part believes that artificial intelligence can potentially exceed human capabilities and that human intelligence and ability remain beyond technology. The dangers are easy to see if we look at the rapid pace of AI development. Along with the pace of its development, we see that its practical use in the world is more than its legal evaluations and regulations.

Along with the increased risks, regulating artificial intelligence and technologies working on artificial intelligence becomes necessary. However, introducing technology into litigation has brought many legal challenges and innovative steps. This will take justice to a completely different, new stage.

This article discusses artificial intelligence's potential criminal offenses, legal subjectivity, use in judicial systems, and ethical standards.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01

